

პრივატიზაციის მეორე ტური

A6



"თქვენი აფხაზეთი"

A8



შაშის შიში

B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 4 მაისი, 2005 წელი. №98 (958) | ფასი 50 თეთრი

# ბუშის სტუმრობამ პარლამენტის მუშაობის გრაფიკი შეცვალა

გიორგი ასანიშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერის ღირსეულად მისაღებად საქართველოს პარლამენტში აქტიურად ემზადებიან: ე. წ. "პრეზიდენტის ფლიგელში" სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, საპატიო სტუმრის აპარტამენტის მოსაწყობად გუშინ აქ კრწანისის რეზიდენციიდან ავეჯის გადმოტანაც დაიწყეს...

ტექნიკური პერსონალის გარჯასთან ერთად, თავად კანონმდებლებიც ცდილობენ, რომ თავისი მუშაობის გრაფიკი ჯორჯ ბუშის ვიზიტის პროგრამას დაუქვემდებარონ - ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ მიმდინარე კვირაში პლენარული სხდომები აღარ გაიმართება და დეპუტატები, სრული შემადგენლობით, მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, რიგგარეშე სესიაზე შეიკრიბებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირაში პარლამენტარებს "ლაით რეჟიმი" ელით (მხოლოდ საკომიტეტო მოსმენები გაიმართება), ბიუროს სხდომას სიმწვავე მაინც არ მოკლებია. დეპუტატები მთავრობის ზოგიერთ ნაბიჯს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

გაგრძელება A3 გვერდზე



პარლამენტი ქართული სტუმართმოყვარეობით აპირებს ჯორჯ ბუშის დახვედრას.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# სახელისუფლებო კრიზისი იმერეთში უმართავი ხდება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

სტიქიის გამო უკვე რამდენიმე დღეა, ქუთაისში კრიზისის მართვის შტაბი მუშაობს. სტიქიისგან განსხვავებით, მხარეში დღემდე უმართავი რჩება არსებული სახელისუფლებო კრიზისი. "ცივი ომი" ქუთაისის მერიასა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას შორის იმდენად გახურდა, რომ სიტუაციიის განსამუხტად საქმეში ჩართვა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გიგი უგულავას მოუხდა. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელსა და იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის, ასევე, მოვალეობის შემსრულებელს ცენტრალური ხელისუფლებისგან მკაცრი შენიშვნები და გაფრთხილება მიეცათ. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის აღმოფხვრა მერიასა და სამხარეო ადმინისტრაციას შორის დღემდე ვერ ხერხდება. უფრო მეტიც, დაპირისპირებაში, გულორდავას გუნდის წინააღმდეგ, ქუთაისის საკრებულო ჩაერთო, რის შედეგადაც საგუბერნატორო უწყებასა და წარმომადგენლობით ორგანოში მერის მოვალეობის შემსრულებლის იმპიჩმენტის თემამ ამოყვინთა.

**"როცა ვინმე თავის მოვალეობას არ ასრულებს, ან კანონს არღვევს, საკრებულოს ყოველთვის აქვს იმპიჩმენტის საშუალება და ამას წინ ვერავინ დაუდგება, რაც არ უნდა მუშტის ცემა დაიწყონ გულზე,"** - აცხადებს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე "24 საათთან" საუბარში.

ბესიკ გულორდავას იმპიჩმენტის საკითხმა პირველად რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ქაჯაიას კულუარულ საუბრებში გაიჟღერა, რაც საკრებულოს 27 აპრილის სხდომას მოჰყვა. აღნიშნულ სხდომაზე ქუთაისის სათათბირო ორგანოს ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის სამსახურის სამოქმედო პროგრამა უნდა დაემტკიცებინა. მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა საკრებულოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა. უკმაყოფილონი იყვნენ იმ შემოქმედებითი გაერთიანებებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებიც, რომელთა დაფინანსების საკითხი ახალი პროგრამით კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩა.

კულტურის სფეროს დაფინანსებისთვის ქუთაისის ადგილობრივ ბიუჯეტში 150 000 ლარია გამოყოფილი. აქედან, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამით, 62940 ლარი კონკურსის წესით უნდა განაწილდეს სხვადასხვა ორგანიზაციებზე. 65410 ლარი კი კალენდარული ღონისძიებების დასაფინანსებლად ახალმა მთავრობამ უცვლელად დატოვა. 20000 ლარი კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისთვის ჩაისვა. ქუთაისის საკრებულოსთვის მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა მიუღებელი აღმოჩნდა და სანაცვლოდ დადგენილების ალტერნატიული ვარიანტი წარმოადგინა. ალტერნატიული ვარიანტით საკრებულომ მერიის მიერ გაუქმებული ყველა კულტურული ღონისძიების დაფინანსება უცვლელად დატოვა.

**"საკრებულომ ის ალტერნატიული ვარიანტი მიიღო, რომელიც საკრებულოს მდივანმა შემოიტანა და რომელსაც საფუძვლად დაუდეს გიორგაძის მთავრობის დადგენილება, რაც საკრებულოში ოფიციალური წესით შეტანილი არ ყოფილა. ახალმა ხელისუფლებამ ეს დადგენილება შეაჩერა, გადასინჯა პროგრამები და საკრებულოში ახალი დადგენილებით შევიდა. წესით და კანონით, საკრებულოს სწორედ ამ ახალ დადგენილებაზე უნდა ემსჯელა და მასში მხოლოდ არაარსებითი ცვლილებების განხორციელების უფლება ჰქონდა. ამდენად, შეიძლება დავა სასამართლოში წავიდეს, საკრებულოს მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე. ასევე, სადავოა ამ სხდომის მთლიანი პროცედურა,"** – განუცხადა "24 საათს" მერიის მუდმივმა წარმომადგენელმა საკრებულოში თამარ ებრალიძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ყველაზე სახიფათო პროფესია

*3 მაისს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ გუშინ გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ჟურნალისტის პროფესია ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო პროფესიად შეიძლება ჩაითვალოს. გასულ წელს ჟურნალისტიკის ისტორიაში სამწუხარო რეკორდი დაფიქსირდა - 129 მოკლული ჟურნალისტი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა. რაც მთავარია, ჟურნალისტებზე თავდასხმა ბოლო დროს არა მარტო ტერორისტებისა და სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა მიერ ხორციელდება, არამედ - ზოგიერთ ქვეყანაში თავად სახელისუფლებო სტრუქტურები "ზრუნავენ" არასასურველი პროფესიის ადამიანთა მოღვაწეობის შეზღუდვაზე.*

გაგრძელება A5 გვერდზე




"შეწყვიტეთ ჟურნალისტთა მკვლელობა".

## საქართველო - მისაბაძი ქვეყანა

### პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა მერიის სხდომათა დარბაზში შეკრებილი საზოგადოების წინაშე

მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის.

თქვენთან შეხვედრა ჩემთვის მართლაც საჩუქარია.

მე მოგიწოდებთ, რომ კარგად ისწავლოთ, რადგან ცუდად სწავლა კარგი პროფესიული კარიერის შექმნის გარანტიას არ იძლევა.

მიუხედავად ამინდისა, მიხარია, რომ ასეთ ნათელ სახეებს ვხედავ.

ცუდი ამინდი ჩვენ ვერ შეგვაშინებს.

მართალია, გუშინ წვიმდა, მაგრამ ამის მიუხედავად, სათამაშო მოედნები გავხსენით და ბევრი სხვა საქმეც გავაკეთეთ.

თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ბოლო წელიწადნახევარი ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იყო.

ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ამ ვიზიტით საქართველოში ერთბაშად ყველა პრობლემას, რა თქმა უნდა, ვერ მოვაგვარებთ.

ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს ლიდერი ჩამოდის, დადასტურებაა იმისა, რომ დემოკრატიისა და თავისუფლების გავრცელების საქმეში, საქართველო რეგიონული ლიდერია.

ჩვენი ქვეყნის როლი გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ზოგიერთს წარმოუდგენია.

საქართველოში არა მხოლოდ სამაგალითო რევოლუცია მოხდა, არამედ მთავარი მოვლენები მომდევნო წელიწადნახევარში გახდა ნათელი - დემოკრატიის პირობებში შეიძლება იყო წარმატებული.

ყველაზე მეტად ამ რეგიონში კლეპტოკრატიულ კორუმპირებულ მმართველებს სწორედ ამის ეშინოდათ.

მე კარგად მახსოვს, რას ამბობდნენ რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

ისინი ვარაუდობდნენ, რომ საქართველო დაიყოფოდა ოთხ-ხუთ ნაწილად, ხელისუფლებაში მოვიდოდა გამოუცდელი გუნდი, რომელიც ვერაფერს მიაღწევდა, კორუფცია კიდევ უფრო მასსშტაბურ ხასიათს მიიღებდა, ქვეყანა დაიშლებოდა და საქართველო არასტაბილურ ზონად გადაიქცეოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სტიქიამ კახეთსაც შეუტია

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*დღეიდან საქართველოს მთავრობას სტიქიისგან მიყენებული ზარალის დათვლა კახეთშიც მოუწევს. ხშირი წვიმების გამო, ლაგოდეხის რაიონში ადიდებულმა მდინარე კაბალმა ორი სოფელი დატბორა. იმ შემთხვევაში, თუ მდინარის ჯებირები დროულად არ გამაგრდა, წყალდიდობა ათობით სოფელს ემუქრება.*

სოფლების - განჯალის და კაბალის მოსახლეობა წყალდიდობისგან თავის დაცვას საკუთარი ძალებით ამაოდ ცდილობდა. მდინარე კაბალმა დამცავი დამბები გადაანგრია და ათობით ოჯახი დატბორა. სტიქია განსაკუთრებით სოფელ განჯალას უტევდა. **"მე ასეთი რამ არ მინახავს. წყალი ჩვენს უბანში რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე მოდიოდა, თან ქვაღორღი და შინაური ფრინველები მოჰქონდა,"** - იხსენებს განჯალელი ალამან იქურ ოღლი, რომელსაც კალაპოტიდან გადმოსულმა მდინარემ სახლის კედლები დაუზიანა და კარმიდამო დაუტბორა, ხოლო წვრილფეხა საქონელი და ქათმები წყალმა გასტაცა. სტიქიამ დატბორა სოფელ განჯალის საშუალო სკოლა, რომლის პირველი სართული წყლითაა ავსებული და სწავლა, სავარაუდოდ, რამდენიმე დღით შეჩერდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## საზოგადოება

### ჰოსფისი - ევროპისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი...



თბილისში ამიერკავკასიაში პირველი ჰოსფისი – უიმედო ონკოლოგიური ავადმყოფების თავშესაფარი - გაიხსნა. თუმცა, ახალი კლინიკა ჯერჯერობით დაავადების ბოლო სტადიაში მყოფი, ძალიან მცირე რაოდენობის პაციენტების მიღებას მოახერხებს.

A4

## უცხოეთი

### ბირთვული ტექნოლოგიები - უდიდესი გამოწვევა მსოფლიო უსაფრთხოებისთვის




A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 4/5 | 5/5 | 6/5 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 22 | 27 |
| ქუთაისი | 12 | 14 | 24 |
| ბათუმი | 9 | 11 | 22 |
| სოხუმი | 10 | 12 | 21 |
| ფოთი | 10 | 11 | 23 |
| თელავი | 20 | 22 | 26 |
| ზუგდიდი | 12 | 14 | 24 |
| გორი | 11 | 14 | 20 |
| ახმეტა | 20 | 22 | 26 |
| ჭიათურა | 10 | 14 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3484 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4618 |
| რუბლი | 0.0657 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | მედიცინა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# აფხაზეთის პროფკავშირები - ბრძოლა საკუთრებისათვის

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაციის მიერ სოხუმში გამართულ ყრილობას 150-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. ორგანიზატორთა განცხადებით, ყრილობის ჩატარება ჯერ კიდევ გასულ წელს იგეგმებოდა, მაგრამ ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო გადაიდო. ყრილობის წევრებმა მისალოცი დეპეშებიც მიიღეს, უმეტესწილად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების პროფკავშირებისაგან, მათ შორის - რუსეთიდან და ყაზახეთიდან.

უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაციამ კავშირი დაამყარა რუსეთის რეგიონულ პროფკავშირებთან. ეს კი, ძირითადად, ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელებაში გამოიხატება. თუმცა, აფხაზეთის პროფკავშირთა მენეჯმენტის მთავარ საზრუნავად კვლავაც საკუთრების გადაუჭრელი პრობლემა რჩება. საქმე ისაა, რომ საბჭოთა პერიოდში ათობით ობიექტი - სასტუმროები, პანსიონატები და დასასვენებელი სახლები, აფხაზეთის პროფკავშირთა ბალანსზე იყო. დღეს მათ სხვა მეპატრონეები ჰყავს.

ტურისტული დანიშნულებით გამოყენებულ ობიექტებს საკმაოდ სერიოზული მოგებაც მოაქვთ და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაციას ამასთან არანაირი კავშირი არ აქვს. უკვე არა ერთი წელიწადია, ის ხელისუფლებისგან საკუთრების დაბრუნებას უშედეგოდ ითხოვს. პროფკავშირთა ხელმძღვანელ აზარეტ აიბას განცხადებით, მათ ხელისუფლებას 44-ჯერ მიმართეს, მიმართეს სასამართლოსაც. აიბას თქმით, სასამართლო მხოლოდ აჭიანურებს საქმეს, ანდა გადაწყვეტილებას კერძო მფლობელთა სასარგებლოდ იღებს. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზით აფხაზეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ფედერაცია ერთ-ერთ ოპოზიციურ ძალად იქცა. არჩევნების დროს ის სერგეი ბაგაფშის ღია მხარდამჭერი იყო.

ხელისუფლება პროფკავშირთა ასეთ მცდელობებს სკეპტიკურად უყურებს და, ბუნებრივია, პრობლემაც არ წყდება. ჯერ ერთი, დღეისათვის აფხაზეთში არ არსებობს პროფკავშირებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის დამარეგულირებელი კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, უცნობია, რა სტატუსით სარგებლობს საბჭოთა პროფკავშირების საკუთრება. მეორეც, ბევრი აფხაზეთის პროფკავშირს "თვითმარქვიასაც" უწოდებს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე კერძო პირის ინტერესს გამოხატავს და რომლის ერთადერთი მიზანიც შენობების მითვისებაა. სხვათა შორის, ახალ პროფკავშირთა ლიდერად აზარეტ აიბა ხუთი წლითაა არჩეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრძოლა საკუთრებისთვის მომავალშიც გაგრძელდება.

# კოფი ანანი ოპტიმისტურად არის განწყობილი

*გაერო-ს გენერალურმა მდივანმა აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე თავისი რეგულარული მოხსენება გაერო-ს უშიშროების საბჭოს წარუდგინა.*
*გენერალური მდივანი საკუთარ მოხსენებას ყოველ სამ თვეში ერთხელ წარადგენს და ის შეიცავს განახლებულ ინფორმაციას აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მუშაობაზე. აფხაზეთის ვითარებასა და დარეგულირების პერსპექტივებზე უკანასკნელ მოხსენებაში კოფი ანანის განწყობა ოპტიმისტურია.*

**"ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა კონფლიქტის დარეგულირებისათვის დიალოგის განახლებისაკენ მისწრაფება გამოამჟღავნეს,"** – ნათქვამია გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებაში. კოფი ანანის მოსაზრებით, აღინიშნება დამაიმედებელი ტენდენცია, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს იმაზე, რომ კონფლიქტის დარეგულირებაში პროგრესის მისაღწევად ახალი შესაძლებლობები გამოიკვეთა.

მისი თქმით, ამ პოტენციალის განხორციელება დამოკიდებული იქნება მხარეთა სურვილზე, მონაწილეობა მიიღონ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში და იმ პოლიტიკური საკითხების მოგვარებაში, რომელთაც კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

**"ჩემში ოპტიმიზმს იწვევს ორივე მხრიდან მომავალი ცნობები. მხარეები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებაში, ასევე უსაფრთხოების, დევნილთა დაბრუნების, ეკონომიკური თანამშრომლობის თუ ნდობის განმტკიცების საკითხების პრაგმატული განხილვით დაინტერესებულნი არიან,"** – ნათქვამია გენერალური მდივნის ახალ მოხსენებაში.

გენერალური მდივნის მოსაზრებით, უდავოდ მისასალმებელია ქართულ-აფხაზური მხარეების მზადყოფნა, განაახლონ დიალოგი სამშვიდობო მოლაპარაკებების ხანგრძლივი დროით შეწყვეტის შემდეგ. **„ეს ხელს შეუწყობს ახალი ეტაპის დაწყებას, რომელშიც პროგრესის ახალი შესაძლებლობები გამოინახება,"** - აცხადებს კოფი ანანი და მხარეებს მოუწოდებს, მალე გამონახონ საერთო ენა, რათა პრაქტიკული თანამშრომლობა დროზე განახლდეს. **„ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევას ხანგრძლივი და კოორდინირებული საგარეო მხარდაჭერა სჭირდება,"** - აცხადებს გენერალური მდივანი. იგი კმაყოფილია აპრილში ჟენევაში გამართული შეხვედრებით, რომელშიც მეგობარი ქვეყნების - დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, რუსეთის, აშშ-ს და საფრანგეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, და დარწმუნებულია, რომ აღნიშნულმა მოლაპარაკებებმა დაპირისპირებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას ახალი იმპულსი მისცა. ამ შეხვედრაზე, პირველად 2004 წლის შემდეგ, ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა კონფლიქტის მოგვარების კონკრეტულ წინადადებებზე იმსჯელეს.

*24 საათი*

# კახელები დაზარალებულ მოსახლეობას ეხმარებიან

სტიქიისგან დაზარალებულ დასავლეთ საქართველოს რაიონების მოსახლეობას დახმარების ხელი კახელებმაც გაუწოდეს. გუშინ, სახელისუფლებო პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ინიციატივით, ადგილობრივმა მოსახლეობამ რაჭა-ლეჩხუმისა და ლენტეხის დაზარალებულ სოფლებს 15 ათასი ლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება - საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთები - გაუგზავნა. დაზარალებული რეგიონების მოსახლეობისთვის ტვირთის გადანაწილება თბილისში, პარტიის ოფისში მოხდება. როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელები აცხადებენ, აქცია ერთჯერადი ხასიათის არ იქნება და იგი მომავალშიც გაგრძელდება.

ამჯერად ჰუმანიტარულ აქციაში მონაწილეობას ყვარლის, ახმეტის, სიღნაღის, თელავის და გურჯაანის მოსახლეობა იღებს. დღეს დახმარებას სტიქიისგან დაზარალებულ ოჯახებს დარჩენილი სამი რაიონიც გაუგზავნის.

*24 საათი*

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„ხალხის ტრიბუნა" ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე





### „ის, რაც ძალიან ჰგავს თვითცენზურას, რეალურად ცენზურაა"

წამყვანი: სოფო გელოვანი,რატი გარსევანიშვილი

გადაცემაში მონაწილეობდნენ: ია ანთაძე,ჟურნალისტი; მალხაზ რამიშვილი,გაზეთი „ახალი ვერსიის" გამომცემელი

ია ანთაძე: ის,რაც ძალიან ჰგავს თვითცენზურას,რეალურად ცენზურაა - ჟურნალისტები აღარ ხვამენ მწვავე შეკითხვებს. რევოლუციის წინა პერიოდში თუ იყო პრობლემები ხელისუფლებასთან ეს იყო მედია-მფლობელის და მისი ბუნდის პრობლემა მთლიანად. ჟურნალისტები და მედია-მფლობელები ერთად იბრძოდნენ. დღეს კი,ჟურნალისტი აბსოლუტურად დაუცველია და მოქცეულია ამ წნეხის ქვეშ, სადაც გაერთიანებულია ხელისუფლებისა და მედია მფლობელების ინტერესები.

მალხაზ რამიშვილი: გაცილებით დიდია ბეჭდური ელექტრონულ მედიაზე,ვიდრე ბეჭდვითზე. როგორც ჩანს,ხელისუფლება პრესას არ აღიქვამს მისთვის საშიშად. სახეზე გვაქვს პრესის ვუალირებული და არა პირდაპირი შეზღუდვა. სიტუაცია ძალიან მარტივია: ვისაც სურს გაუშვას ეთერში ან დაბეჭდოს მძაფრი ჟურნალისტური გამოძიება,მას არა აქვს ფინანსური შესაძლებლობა დაფინანსოს ასეთი ჟურნალისტი,ხოლო ვისაც აქვს ამის ფინანსური შესაძლებლობა,ის აფინანსებს ამ ძვირადღირებულ საქმიანობას და შემდეგ ამ მასალებს თაროზე დებს.

# სტიქიამ კახეთსაც შეუტია

პირველი გვერდიდან

ალსანიშნავია, რომ მდინარე კაბალის ადიდება, უკვე მრავალი წელია სანაპიროზე განლაგებულ სოფლებს საშიშროებას უქმნის. მაგრამ, ჯერჯერობით, ცენტრალური ბიუჯეტიდან აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად რაიონის ბალანსზე ერთი თეთრიც არ დამჯდარა. **"რაც გამგებლად მოვედი, შესაბამის უწყებებს ვეხვეწები, რომ მდინარის დამბების გასამაგრებლად თანხები გამოიყოს, მაგრამ ამაოდ. სწორედ უყურადღებობის გამოა, რაც დღეს მოხდა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ სოფლები კიდევ იოლად გადაურჩა სტიქიას, რადგან მდინარე დღისით ადიდდა. ეს ღამე რომ მომხდარიყო, მერწმუნეთ, მსხვერპლიც იქნებოდა,"** - ამბობს ლაგოდეხის გამგებელი თამაზ გოძიაშვილი.

სტიქიამ არც სოფელი კაბალი დაინდო, თუმცა აქ ზარალი ნაკლებია, რადგან მოსახლეობამ მოვარდნილი წყლისგან თავის დაცვა საკუთარი ძალებით მოახერხა. თუმცა სასოფლო - სამეურნეო სავარგულები განჯელების მსგავსად მათაც დაეტბორათ.

ზარალს სპეციალურად შექმნილი კომისია აფასებს. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიდარა, მდინარე უკვე ათობით სოფელს უქმნის საფრთხეს. ამ დროისთვის სამხარეო ადმინისტრაციის უშუალო დახმარებით, მდინარეზე კალაპოტის შესაცვლელად მობილიზებულია ტექნიკა.



ზვიად ჩიაბძის ფოტო

დატბორილი ეზო სოფელ განჯალში.

# კონკურსსა და ტენდერს შორის გამოკიდებული ფოთის თეატრი

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

ქალაქის მთავრობა ფოთის ახალი დრამატული თეატრის საპროექტო წინადადებაზე ტენდერს ოფიციალურად აცხადებს. კონკურსი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჩატარდა და გამარჯვებული ავტორიც გამოვლინდა, კანონდარღვევად შეფასდა.

ღვთისმშობლის შობის სახელობის გურია-სამეგრელოს ეპარქიის საკათედრო ტაძარი ფოთის ცენტრში 1906-1907 წლებში აიგო. რეკონსტრუქციის შემდეგ, 1936 წლიდან დღემდე, შენობაში ვალერიან გუნიას სახელობის დრამატული თეატრია განთავსებული.

ბოლო წლების ხმაურიანმა აქციებმა შედეგი გამოიღო: საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 16 იანვრის №52 განკარგულებით, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, შეიქმნა სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი კომისია; გადაწყდა შენობის ეკლესიისთვის დაბრუნებისა და თეატრისთვის ახალი ნაგებობის აშენება. ვადად 2003-2005 წლები განისაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის იმავე განკარგულებით თეატრის მშენებლობისთვის ასიგნებათა გამოყოფა ფინანსთა სამინისტროს, ფოთის მთავრობასა და ნავსადგურის ხელმძღვანელობას დაევალა, რეალური თანხის მობილიზება მხოლოდ ადგილობრივ ბიუჯეტში გახდა შესაძლებელი, ისიც მიმდინარე წელს, მხოლოდ 500 ათასი ლარის ოდენობით და პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის სამყოფი, თუმცა, ასევე რეალურად დგება ხსენებული 500 ათასი ლარის ათვისების საფრთხეც.

ქ. ფოთის მთავრობის 2004 წლის 23 აპრილის №33 დადგენილების ("ქ.ფოთში ახალი თეატრის შენობის საპროექტო წინადადებაზე კონკურსის ჩატარების შესახებ") შესაბამისად, კონკურსი 2004 წლის 3 მაისს გამოცხადდა. საკონკურსო მასალები ვადებისა და პირობების დაცვით მხოლოდ შვიდმა კონკურსანტმა წარმოადგინა. პირველ ტურში შერჩეული სამი საპროექტო წინადადების ავტორებს, პრემიის სახით, 3-3 ათასი ლარი გადაეცათ. საბოლოო გამარჯვებულად ჟიურიმ არქიტექტორ ვლადიმერ ხმალაძის ნამუშევარი აღიარა. შესაბამისად მისთვის გადაცემული პრემია 5 ათასი ლარით განისაზღვრა.

**"საკონკურსო მონაცემები შეთანხმდა ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროსთან, არქიტექტორთა კავშირთან. ყველა პროცესი გამჭვირვალედ წარიმართა. გვაქვს გამარჯვებული ნამუშევარი და საქმე უკვე პროექტის განხორციელებამდე იყო მისული,"** - ამბობს ქალაქის მაშინდელი მთავარი არქიტექტორი ნუგზარ ტუღუში.

პროექტის განხორციელებამდე კი ქალაქში ცნობილი მოვლენები განვითარდა: ორთვიანი პაუზის შემდეგ, ახალი მერი დაინიშნა, ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა. ფოთის თეატრის მშენებლობის შემდგომ ეტაპზე გადასვლის ნაცვლად კი ირკვევა, რომ უკვე ჩატარებული კონკურსიც ხელახლაა გამოსაცხადებელი.

**"ეკონომიკის განვითარების სამინისტრომ წერილობით გვაცნობა, რომ დარღვეულია შესყიდვების შესახებ კანონი, რომელიც არა კონკურსის, არამედ ტენდერის ჩატარებას ითვალისწინებს,** - განმარტავს "24 საათთან" საუბრისას ადგილობრივი თვითმმართველობის ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ილია მელქაძე და გამორიცხავს, რომ ყველა განვლილი პროცედურის ხელახალი დაწყების მოტივი ვინმეს პიროვნულ ინტერესს უკავშირდებოდეს, - **ეს არავის კაპრიზი არ არის, არქიტექტორმა, რომელმაც პროექტი განსახილველად წარმოადგინა, თავისი საავტორო უფლებების შესაბამისად, სრული თანმიმდევრობა დაიცვა. კომისიამაც შეიმუშავა შესაბამისი დოკუმენტაცია და თუ აღმოჩნდა, რომ კონკურსი არ პასუხობს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის პარამეტრებს, ეს არა ჩვენი სამსახურის, არამედ იმ უწყების ბრალია, ვისი პირდაპირი მოვალეობაა, საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მოგვაწოდოს ინფორმაცია,"** - ამბობს მელქაძე.

ხსენებული კანონდარღვევის შესახებ მელქაძის წინამორბედისთვისაც იყო ცნობილი, თუმცა, როგორც ნუგზარ ტუღუში ირწმუნება, არსებობდა ალტერნატივაც, რომლის განსახორციელებლად ქალაქის მთავრობისა და საკრებულოს კეთილი ნება იყო საჭირო. **"ქალაქის ხელმძღვანელობას, თეატრისა და მრევლის დაპირისპირებიდან გამომდინარე, თეატრის მშენებლობა უნდა დაეფიქსირებინა, როგორც ფორს-მაჟორული სიტუაცია და ქვეყნის პრეზიდენტისთვის მიემართა შესაბამისი თხოვნით. ამ შემთხვევაში გამარჯვებულ ავტორთან დაიდებოდა პირდაპირი ხელშეკრულება და 2-3 თვეს მოვიგებდით, მაგრამ ქალაქმა მშენებლობა გადაუდებელ საქმედ არ აღიარა,"** - აცხადებს ქალაქის ყოფილი მთავარი არქიტექტორი.

პრობლემის გადაწყვეტას, ანუ კანონშესაბამისობის დარეგულირების ალტერნატივას დასაშვებად მიიჩნევს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, საკონკურსო კომისიის ჟიურის წევრი დავით აბულაძე. **"ძალიან მარტივი იყო პრობლემის იმავე კანონით მოგვარება, რომლის დარღვევასაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გვედავება: გამარჯვებული ავტორი არსებობს და პირველი ეტაპი ჩაითვლებოდა დასრულებულად. პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციის დამუშავებაზე კი გამოცხადდებოდა ტენდერი. ძველი თუ ახალი კანონით, ფაქტობრივად, მაინც მის ჩარჩოებში ვექცეოდით. ის, რაც ახლა ხდება, გაცილებით მეტი უკანონობაა. იგივე ავტორის გამარჯვების შემთხვევაში ამ უკანონობაზე არ იქნება რეაქცია, თუ სხვა ავტორი გამოვლინდა და ვლადიმერ ხმალაძემ იჩივლა, დარწმუნებული ვარ, სასამართლო პროცესს მოიგებს",** - განმარტავს აბულაძე.

ტენდერი ესკიზურ წინადადებასა და მუშა ნახაზების შედგენაზე ცხადდება. 5,5 ათასი კვ. მეტრ ტერიტორიაზე განსათავსებელი, ახალი, 450 მაყურებლისთვის გათვალისწინებული თეატრის მშენებლობის ღირებულება, სავარაუდოდ, 2 მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს. 2005 წლის ბოლომდე ობიექტის დასრულება გამორიცხულია. საეჭვოა წლეულს ბიუჯეტიდან გამოყოფილი 500 ათასი ლარის ათვისებაც.

**"თანხის ათვისება დამოკიდებულია სამშენებლო ფორმაზე და, რა თქმა უნდა, ამინდზეც. სამუშაოები სავარაუდოდ სექტემბერში დაიწყება, თუ 500 ათასი ლარი ბოლომდე ვერ ავითვისეთ, იგი შემდეგ წელში გადავა,"** - ამბობს ქალაქის მერი ივანე სალინაძე.

უცნაურია, მაგრამ ქალაქში იმ 20 ათასამდე ლარზე არ საუბრობენ, რომელიც კონკურსის ორგანიზებისთვის დაიხარჯა. ყოფილ და ახალ ხელისუფლებას თავთავისი არგუმენტები აქვს, ხსენებულ თანხას "წყალში გადაყრილად" კი არავინ აღიარებს.

## მოკლედ

### აფხაზეთის დევნილი მთავრობა კოდორის ხეობის მოსახლეობას სტაბილურობის შენარჩუნებას ურჩევს

"საქართველოს მთავრობის წევრებისადმი მიწოდებულმა დეზინფორმაციამ განაპირობა ის კომენტარები, რომლებიც ხეობისა და მისი მოსახლეობის მისამართით გავრცელდა. როგორც ჩანს, ეს იმ ძალების ინსპირირებულია, რომელთაც იქ სიმშვიდე და სტაბილურობა ხელს არ აძლევთ," - ნათქვამია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის განცხადებაში.

ამ განცხადებასთან ერთად ირაკლი ალასანიას უწყება თავის ინტერნეტ-გვერდზე ათავსებს რუსული საინფორმაციო სააგენტოს - "ახალი ამბები - საქართველოს" - ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, ირაკლი ოქრუაშვილი "მონადირეს" უსაქმურების ბანდას უწოდებს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსთვის ამ ბატალიონის გადაცემას მოითხოვს.

ალასანიას უწყებაში აცხადებენ, რომ ხეობის მოსახლეობამ მთელი ამ წლების მანძილზე არაერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია და შეინარჩუნა საქართველოს იურისდიქცია.

"ეჭვი არ გვეპარება, რომ კოდორის ხეობის პატრიოტი მოსახლეობა, ამ გაუგებრობის მიუხედავად, როგორც სჩვევია, შეინარჩუნებს სტაბილურობას, რაც ქვეყნის გაერთიანების აუცილებელ პირობას წარმოადგენს," - ნათქვამია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთარობის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ბატალიონ "მონადირის" მეთაურმა ბესო კვიციანმა თავდაცვის სამინისტროს ულტიმატუმი წაუყენა. "თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ბატალიონის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, მისი სამხედრო მოსამსახურეები ნაწილს მანამ არ დატოვებენ, ვიდრე ხეობაში მათი შემცვლელი არ ჩავა," - აცხადებდა ბესო კვიციანი. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას განაგრძობს. "ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით, გუშინ რიყედან ცაგერის რაიონში სხვადასხვა სახის სურსათით, თბილი ტანსაცმლით და პირველადი მოხმარების ნივთებით დატვირთული 9 სატვირთო ავტომანქანა გაემგზავრა. ადგილზე ჩატანილ ტვირთს "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები გაანაწილებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** რუსეთის პრეზიდენტის კვალდაკვალ, აფხაზეთში მცხოვრებ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, მილოცვის ტექსტით, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმაც მიმართა.

"ოდესღაც ჩვენს დიდ სამშობლოს პატარა აფხაზეთმა 22 გმირი აჩუქა," - აცხადებს ბაგაფში. ყველაფერთან ერთად, აფხაზეთის პრეზიდენტი ომის ვეტერანებს მადლობას უხდის იმისათვის, რომ ისინი სამშობლოს სადარაჯოზე ქართულ-აფხაზური ომის დროსაც დადგნენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ბაღდათის რაიონში ახალი გამგებელი წარადგინეს. საქართველოს პრეზიდენტმა ამ თანამდებობაზე ადგილობრივი გია რობაქიძე დანიშნა, რომელიც მანამდე გამგებლის პირველი მოადგილე იყო. ბაღდათის რაიონის ყოფილი გამგებელი ნიკო ჟვანია პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა თანამდებობიდან. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია მას ხეტყის უკანონო ბიზნესში ადანაშაულებდა. ნიკო ჟვანიას წინააღმდეგ ამ ბრალდებით ბაღდათში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც გამოვიდნენ. ახალი გამგებელი 44 წლისაა, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და პარლამენტის წევრებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჩვენი თანამემამულეების ხსოვნის პატივის მისაგებად, ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე გაემგზავრება. ვიზიტი არაოფიციალურია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების თარიღის აღნიშვნა ტექსელზე დაიწყება და უკრაინაში გაგრძელდება, სადაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ჩავა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ ძალთა გაერთიანებამ" ამერიკის საელჩოს შენობის წინ მდუმარე აქცია გამართა. აქციის მონაწილენი საქართველოს მთავრობის გადადგომას, 1991-1992 წლების მოვლენების შეფასებასა და ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების გამოძიებას მოითხოვდნენ. აქციაზე ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოტანილი იყო შესაბამისი ტრანსპარანტები. აქციას მანანა არჩვაძე-გამსახურდიაც ესწრებოდა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველო - მისაბაძი ქვეყანა

პირველი გვერდიდან

ჩვენ ისტორიული პროცესის მომსწრენი ვართ.

უნდა გვესმოდეს, რომ პრაქტიკულად ახალი ქართული სახელმწიფო იქმნება, თავისი ინსტიტუტებით, მენტალიტეტით, უნარ-ჩვევებით, განსაკუთრებული ტრადიციებით.

მიუხედავად იმისა, რომ ათასწლიანი ერი ვართ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმატებული გამოცდილება არასოდეს გააჩნდა.

ბოლო პერიოდში ჩვენ შევძელით სახელმწიფოს შექმნა, რა თქმა უნდა, ეს არ არის მდიდარი და კომფორტული სახელმწიფო.

ჩვენი ბიუჯეტი შევარდნაძის დროს იყო სამას ორმოცდაათი მილიონი დოლარი, წელს კი, მილიარდ ცხრაასი მილიონი დოლარი იქნება.

რას ნიშნავს გაზრდილი ბიუჯეტი: ეს არის გზები, რომელიც შენდება, ლამაზდება ქალაქი, მუნიციპალური ტრანსპორტი, უმთავრესი სახელმწიფო ფუნქციები - პოლიცია და სასწრაფო.

ახლანდელი წყალდიდობის დროს ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ქართული სახელმწიფო არსებობს.

არ დარჩენილა სტიქიით დაზარალებული არც ერთი ოჯახი, რომელსაც სახელმწიფო არ დაეხმარა.

ჩვენი რევოლუციის ერთი წლის თავზე უკრაინაშიც იგივე განმეორდა.

უკრაინელებმა დაინახეს, რომ ჩვენ წარმატებას მივაღწიეთ და მათთვის ეს დიდი სტიმული იყო.

იგივე განმეორდა ყირგიზეთშიც, ეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსაც ეხება, რომელთა წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ საქართველო მათთვის მაგალითია.

ის, რომ პრეზიდენტი ბუში ჩამოდის ქვეყანაში, რომელსაც ამერიკა მთელი მსოფლიოსათვის დემოკრატიისა და თავისუფლების მისაბაძ მაგალითად აღიარებს, ადასტურებს იმას, რომ ეს საქართველოსა და თითოეული თქვენგანის განსაკუთრებული როლი და მისიაა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველო არის თავისუფალი.

როდესაც კიევის უნივერსიტეტში პირველ კურსზე ვსწავლობდი, სუკ-მა აღძრა საქმე იმის თაობაზე, რომ უცხოურ ჟურნალებს ვკითხულობდი, იმის გამო, რომ თავისუფალ აზრს გამოვთქვამდი.

ეს რეჟიმი რომ შენარჩუნებულიყო, ვერასოდეს წავიდოდი საზღვარგარეთ, ვერასოდეს შევძლებდი პროფესიულ წინსვლას, იმ საქმით დაკავებას, რომელიც მიყვარდა და ვერც იმას შევძლებდი, რომ დღეს ამ აუდიტორიის წინაშე გამოვსულიყავი.

ოჯახი, რომელშიც გავიზარდე, რეპრესიების მსხვერპლი იყო. ამიტომ ჩემთვის და თქვენთვის თავისუფლება ძალზე მნიშვნელოვანია.

ჩვენ გვძულს ის წარსული, რომელიც ყველა შესაძლებლობას გვიკეტავდა, დახურული საზოგადოება, რომელიც შენს ბედს წყვეტდა.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მე მხოლოდ ამის გამო ვარ დემოკრატიის მომხრე.

მე ბევრი ადამიანი მინახავს, რომელსაც საბჭოთა რეჟიმის დროს ჩაგრავდნენ, ხოლო შემდეგ, თვითონ გახდა მჩაგვრელი.

მთავარია, ადამიანს საკუთარი ძალის და ნიჭის სჯეროდეს.

თუ ეს ასეა, იგი წინ წავა. ასეთ ადამიანს გაფრთხილება, თავისუფალი დებატები და აზრის გაცვლა-გამოცვლა სჭირდება.

ღია საზოგადოგებაში ეს უმთავარესია.

რატომ არის კორუფცია უბედურება? მარტო იმიტომ არა, რომ ვილაცამ ქრთამი აიღო და ბიუჯეტში ფული არ შეიტანა.

კორუფცია უბედურებაა იმიტომ, რომ ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი, შეთანხმების შედეგად, ინაწილებს თანხას და სხვისი ნიჭისა და შრომის მიუხედავად, საკუთარ შვილებს საზღვარგარეთ სასწავლებლად აგზავნის, სამსახურსაც მათივე შვილები შოულობენ.

დღეს პრესის დღეა, ყველა წარმომადგენელს ვულოცავ ამ დღეს.

ჩვენ ქართული პრესა გადასახადებისაგან გავათავისუფლეთ.

ზოგიერთი, ტელევიზიის მეშვეობით, საზოგადოებას ამცნობს, რომ მათთვის საეთერო სივრცე დახშულია, ამ განცხადებას ისინი ტელეეთერით აკეთებენ. სასაცილო არ არის?

რამდენჯერ გინახავთ ასეთი ადამიანები ყველაზე რეიტინგულ გადაცემაში? იგივეს უყვებიან უცხოელებსაც, რომლებსაც ამის სჯერათ.

ამას წინათ წერილიც მომწერეს იმის თაობაზე, რომ საკუთარ აზრს მკვეთრად გამოვხატავ.

საქართველოს პრეზიდენტი იმისთვის აირჩიეს, რომ მან თავისი აზრი გამოხატოს და ბოლომდე დაიცვას.

მე პოლიტიკური პარტიის ლიდერი ვარ, მაქვს გარკვეული შეხედულებები და მყარი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს სახელმწიფო.

ხშირად ვუტევ ჩემს ოპონენტებს, მაგრამ ამის საშუალება მათაც უნდა ჰქონდეთ.

მე მჯერა იმის, რომ თავისუფალი პოლიტიკური დებატების დროს, შესაძლებელია ჭეშმარიტებამდე მისვლა.

წინა მთავრობა სტუდენტების პოლიტიზებას ეწინააღმდეგებოდა.

ეს გაუმართლებელია! სტუდენტი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული უნდა იყოს პოლიტიკით, რადგან ეს მის მომავალს ეხება, ამაზე უშუალოდ მისი ბედია დამოკიდებული.

მთავარი არის ის, რომ საერთო ეროვნული ინტერესები დავიცვათ, ნორმალური საზოგადოება შეთანხმებული იყოს, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკოსთა შეფასებებს, ეს მათი პირადი არჩევანია. ეს ეხება როგორც პრეზიდენტს, ასევე სხვა პოლიტიკურ ლიდერებსაც.

ჩვენ დალაილამები პოლიტიკაში არ გვყავს. კრიტიკის და შეცდომის გარეშე შეუძლებელია რამეს მიაღწიო.

რაც მეტი კრიტიკაა, შეცდომები მით ნაკლებია. მე, როგორც მმართველი, ვაღიარებ, რომ სახელმწიფო აპარატს მკაცრად ვაკონტროლებ.

მგონი ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ მსურს, ეს აპარატი პატიოსანი და წესიერი იყოს.

მაგრამ მუდმივი კონტროლის გარეშე, თუ არ იქნებიან ამ წნეხის ქვეშ გუბერნატორები, გამგებლები, პოლიციის უფროსები, პარლამენტარები, მაშინ საზოგადოება წინ ვერ წავა.

ეს არის თავისუფლების არსი.

ეს არის განსხვავება დაჭაობებულ საზოგადოებასა და წინ მიმავალ განვითარებად საზოგადოებას შორის.

ამიტომ არის საქართველო ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველასთვის მისაბაძი.

სხვა რომელ ქვეყანაში არის შვიდი ნაციონალური და ოცდახუთი დამოუკიდებელი რეგიონული სატელევიზიო არხი? მთელ საბჭოთა სივრცეში ერთად აღებული, გაცილებით ნაკლები დამოუკიდებელი არხია.

ეს ჩვენთვის რთულია, მაგრამ საზოგადოების განვითარებისთვის კარგია.

ეს არის პირველი. მეორე - არის პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე.

საქართველო გაფუჭებულ და ჭაობში ჩაფლულ ავტომობილს მაგონებს, ჩამქრალი ძრავით, ბენზინის გარეშე.

ამ ავტომობილის ახალმა მძღოლმა, ძრავა წვალებით შეაკეთა, დაქოქა და ჭაობიდან ამოსვლა დაიწყო.

ამ დროს, მგზავრთა ერთი ნაწილი მძღოლს სწრაფად ამოსვლას სთხოვს, ხოლო მეორე - გადადის და მანქანას აწვება.

ამ შემთხვევაში, ავტომობილი სწრაფად წავა წინ.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ამოვიყვანოთ ამ ჭაობიდან ქვეყანა, მით უმეტეს, რომ მიზანთან ახლოს ვართ.

საალდგომო შეხვედრისას, საქართველოს პატრიარქმა პრეზიდენტ კენედის სიტყვები გაიმეორა - ჩვენ საკუთარ თავს ყოველდღეს იმას კი არ უნდა ვეკითხებოდეთ, თუ რა გაგვიკეთა ჩვენმა ქვეყანამ, არამედ იმას, თუ რა გავუკეთეთ ჩვენ მას.

ეს სიტყვები გაცილებით ადრე ილია ჭავჭავაძემ თქვა – "კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე და ყოველ დღე შენს თავს კითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე?"

ჩვენ მართლაც დიდი მისია გვაკისრია - დავამტკიცოთ, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში ამ რეგიონში შესაძლებელია წარმატებული და განვითარებული იყო, არანაკლებ ევროპული, ვიდრე ნებისმიერი დასავლეთ ევროპული ქვეყანა.

ეს ჩვენი ერთობლივი ამოცანაა, რა თქმა უნდა, ხელისშემშლელი ფაქტორიც ბევრია.

ეს კონფლიქტების საკითხს ეხება.

აფხაზეთი ჩვენი მთავარი ტკივილია, რადგან უსამართლობის გამო, საზოგადოების დიდი ნაწილი, ყველაზე მშვიდობის მოყვრე ხალხი, იქიდან გამოაგდეს.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, სამშვიდობო გეგმა წარმოვადგინეთ.

რამდენიმე დღის წინათ, ცხინვალის რეგიონის ხელმძღვანელობას სტიქიით დაზარალებულთათვის დახმარება შევთავაზეთ - ვაძლევდით საწვავს, პროდუქტებს, ფულად დახმარებას, ტექნიკას, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა ჯავის და ცხინვალის მოსახლეობას: ჩვენ თქვენი დახმარება გვინდოდა, მაგრამ მათ, ვინც ამ რეგიონს განაგებს, უარი გითხრეს.

დახმარებისთვის ჩვენ ახლაც მზად ვართ.

თქვენ გაშინებენ, რომ პასპორტების პრობლემა შეგექმნებათ.

მზად ვარ, ცხინვალში ქართული საპასპორტო განყოფილება ხვალვე გავხსნა, და მსურველებს საქართველოს მოქალაქეობა მივცე.

თუ ეს ცხინვალში არ მოხერხდება, გორში გეპატიჟებით, საპასპორტო განყოფილება პირველი მოთხოვნისთანავე ქართულ პასპორტებს გასცემს.

ივნისში, ყველა სამშვიდობო და კონფლიქტის გადმწყვეტ ორგანიზაციას დიდი კონფერენციის გასამართად ვიწვევთ, სადაც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით, ჩვენ სამშვიდობო გეგმას კრიტიკულად განვიხილავთ.

ჩვენ რეზერვისტთა ბანაკი კონფლიქტის ზონიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით გადავიტანეთ, რადგან არ გვინდოდა, რომ ეს პროვოკაციის საბაბი გამხდარიყო.

უფრო მეტიც, კონფლიქტის ზონაში ჩვენ სამშვიდობოთა რაოდენობა შეგნებულად შევამცირეთ, რადგან არ მეშინია, ქართული სახელმწიფო საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ ამ პირობებში საკუთარი მოქალაქეები დაიცვას.

არ მინდა, მტერს საბაბი მივცეთ, მაგრამ ცალ კარში თამაში არ შეიძლება.

ყველა საღად მოაზროვნე მშვიდობის მოყვარე ძალას, დიალოგისაკენ მოვუწოდებ. არ შეიძლება, რომ 22 წლის ბიჭი სამშობლოს ღალატის ბრალდებით სარდაფში მხოლოდ იმისთვის ჩააგდონ, რომ 500 ბავშვი ჩაქვში დასასვენებლად წაიყვანა, არ შეიძლება სახელმწიფო იყოს თავისუფალი, როცა მის ტერიტორიაზე ასეთი რამ შესაძლებელია.

ჩვენ ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით საკმაოდ ამბიციური გეგმები გვაქვს.

ვიწყებთ ანტიბიუროკრატიულ რეფორმას, რაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს კომპეტენტურ მოხელეებს შევავიწროვებთ, მაგრამ სახელმწიფოს ფუნქციებს მკვეთრად შევამცირებთ.

ყველანაირი ნებართვებისა ლიცენზიების 95 პროცენტი უნდა გაუქმდეს.

ჩვეულებრივ ქვეყნებში ასეთი ბიუროკრატია ავად თუ კარგად მუშაობს, საქართველოში ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს ბიუროკრატია პატარა ფუნქციებით, მაღალი ხელფასით. მაგრამ რაც არ უნდა მაღალი ხელფასი მივცეთ, ეს უნდა გავაკონტროლოთ.

ჩვენ ყველა ეს ფუნქცია უნდა მოვაშოროთ იმისათვის, რომ თქვენ გაწმენდილ გზაზე გაიაროთ.

ჩვენს ადმინისტრაციაში ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციური ცვლილებაა.

ყოველთვის როცა მსგავს რამეს აკეთებ, მტრები გიჩნდება, ეს მე კარგად ვიცი. ჩვენ დავითხოვეთ პოლიციელების 80 პროცენტი, თუმცა საპატრულო პოლიცია ხალხმა ძალიან შეიყვარა.

მაგრამ ამ 80 პროცენტს ეს მწარედ ახსოვს.

ისინი სააკაშვილის მტრები არიან, ვისაც ქრთამის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ.

ანალოგიური რეფორმა ჩავატარე, როცა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, გავათავისუფლე მოსამართლეები, რაც მოსამაართლეეთა იმ ნაწილსაც კარგად ახსოვს.

ჩვენ როგორც საზოგადოებას, უნდა გვესმოდეს, რომ ამ რეფორმების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა და მკვეთრი განვითარება, ვინაიდან საქართველო ძალზე ჩამორჩენილია.

ჩვენ გზების პროგრამა დავიწყეთ. თბილისში გზების გასაკეთებლად 200 მილიონი დოლარია საჭირო.

წელს უკვე 50-60 მილიონი დოლარი დავხარჯეთ.

დავიწყეთ სამეგრელოს დიდი გზის მშენებლობა.

ახალციხეში და ნინოწმინდაში გზა განადგურებულია, არავის არ ახსოვს ქართული სახელმწიფო, არ უჩვენებს ქართული ტელეარხები, მიუხედავად ამისა, ჩვენი სომეხი თანამოქალაქეები თავის შვილებს ქართულ ენას მაინც ასწავლიან.

ბავშვებმა საქართველოს ჰიმნის ტექსტი ზეპირად ისწავლეს, მაგრამ ვინაიდან მათ არ ჰყავდათ მუსიკის პედაგოგი და არ ჰქონდათ მაგნიტოფონი, სიმღერა არ შეეძლოთ. ამის მიუხედავად, ყოველ დილით, როდესაც ხუთჯვრიან დროშას აღმართავდნენ, ჰიმნს ლექსად ამბობდნენ.

ამ ხალხს უნდა მივხედოთ, იმიტომ რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. აზერბაიჯანელებისთვის, სომხებისთვის, ებრაელებისთვის, ოსებისთვის, რუსებისთვის და ეროვნული უმცირესობების სხვა წარმომადგენლებისათვის იქმნება ადმინისტაციული სკოლა 6-9 თვიანი სწავლებით.

მათ უნდა დაინახონ, რომ ქართულ სახელმწიფო აპარატში, შემცირებულში, მაგრამ მაღალანაზღაურებადში, არაკორუმპირებულში, მათთვისაც არის ადგილი.

ეს მთელი რეგიონისთვის უნიკალური მოდელია.

ჩვენ, როგორც დემოკრატიულმა ქვეყანამ, უნდა ვაჩვენოთ, რომ დემოკრატია ყველას აძლევს შანს, მიუხადავად მათი წარმომავლობისა და მატერიალური მდგომარეობისა.

ჩვენ მართლაც მნიშვნელოვანი რეფორმების ეტაპზე ვიმყოფებით.

პრეზიდენტი ბუშიც ამის მხარდასაჭერად ჩამოდის.

რუსულ პრესაში პრეზიდენტ ბუშის ვიზიტს ყოფილი გენერალური მდივნების ვიზიტებს ადარებენ.

მახსოვს ის დრო, როდესაც ბრეჟნევის ჩამოსლის წინ 4 თვე მატარეს ეგრეთ-წოდებულ "მარშიროვკებზე".

ის, ვინც ამ პარალელებს ავლებს, არ ესმის, რომ მაშინ საქართველო იყო დაპყრობილი და დამონებული ქვეყანა, გენერალური მდივანი კი, ჩვენი მთავარი დამმონებელი, რომელიც ჩვენ ქვეყანაში მონობის განსამტკიცებლად ჩამოდიოდა.

პრეზიდენტი ბუში თავისუფალი სამყაროს ლიდერია, რომელიც ასევე თავისუფალ ქვეყანაში თავისუფლების და დემოკრატიის მხარდასაჭერად ჩამოდის.

ის, ვინც ამ განსხვავებას ვერ ხედავს, საბჭოთა კავშირში და წითელი ხალიჩების დროში დარჩა.

ეს ასაკის ბრალი არ არის, მე ახალგაზრდებიც ვიცი, რომლებიც ამ განსხვავებას ვერ ხედავენ.

ეს არის განსხვავება ძველ და ახალ საქართველოს შორის.

ქართველი ჯარში არ მსახურობდა და თუკი ასეთი ხდებოდა, ან მზარეული იყო, ან მეკუჭნავე.

დღეს კი, ჯარში სამსახური საამაყოა.

ამას წინათ, ერთ-ერთ მანევრს დავესწარი და დავრჩი კიდეც, დილით 5 საათზე ათას სამას ორმოცდაათი კაცის ხმაშეწყობილმა ომახიანმა სიმღერამ გამაღვიძა, რომელსაც ისინი ვარჯიშისას ასრულებდნენ.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ საქართველოში ეს შესაძლებელი იყო.

ქვეყნის იდენტურობის ერთ-ერთი ნიშანი არის ის, რომ გვყავს გამართული პოლიცია, სამსახურები, არმია.

რა თქმა უნდა, უნდა დაიწეროს სიმღერები სიყვარულზე, ბუნებაზე, მაგრამ ამავე დროს უნდა დაიწეროს სიმღერები და ლექსები საქართველოზე, რაც ბოლო წლების განმავლობაში არ გაკეთებულა.

რადგან ჯარის თემას შევეხე, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ჯარისკაცები არიან ერაყში და კოსოვოში, რაც საქართველოს დემოკრატიული და საერთაშორისო როლის განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია.

პირადად მე, ამით ძალიან ვამაყობ.

*საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური*

## სახელისუფლებო კრიზისი იმერეთში უმართავი ხდება



*"ჩვენ ამ პროგრამას მაინც განვახორციელებთ", ამბობს ბესიკ გულორდავა.*

პირველი გვერდიდან

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე გელა ქათამაძე დარწმუნებულია, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს სასამართლოში პრობლემები არ შეექმნება. თავის მხრივ, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა კონსულტაციების გზით გაარკვია, რომ მისი მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად საკრებულოს თანხმობა არ სჭირდება.

**"ჩვენ ამ პროგრამას მაინც განვახორციელებთ, რადგან ქუთაისი ვერასოდეს იქნება გელასი, ვანოსი და თამაზის, ხაზარაძის და კომუნისტური ნომენკლატურის ადამიანების,"** - აცხადებს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი.

**"მე, პირადად, შეურაცხყოფას არ ვაყენებ არავის, მაგრამ შესრულებული სამუშაო აჩენს, ვის რა შეუძლია. მე არასოდეს მითქვამს, რომ ბესო არაპროფესიონალია, მაგრამ გაკეთებული საქმე აჩენს კაცს. იარლიყების მიწებება კი, რომ ვილაცას ბაბუა ან ბებია ჰყავდა ნაცისტი, ნებისმიერ ადამიანზე შეიძლება,"** - აცხადებს გელა ქათამაძე.

კულუარებში საუბრობენ, რომ ბესიკ გულორდავას გადაყენების შემთხვევაში, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის პოსტს სწორედ გელა ქათამაძე გადაიბარებს. იგი ზურაბ ქაჯაიასთან ჯერ კიდევ შაშიაშვილის დროიდან თანამშრომლობს. იმ პერიოდში ქათამაძე ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას ხელმძღვანელობდა.

**"ვფიქრობ, რომ შეიძლება მართვის საკმაო გამოცდილება მქონდეს, მაგრამ ქუთაისში არსებული პრობლემების ფონზე, როცა მე ეს პრობლემები ვიცი, ჩემთვის ეს დაუძლეველი იქნება. ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად ვერ გავრისკავ და ვერ შევებმები ამას. ისე, შემიძლია დღესვე დავტოვო საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი და თანაშემწედ დავუდგე ჭკვიან მერს,"** - აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მხარისა და ქალაქის მთავრობებს შორის არსებულ დაპირისპირებაში კვლავაც აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორმა იმერეთში გოჩა ჩხეტიამ საკრებულოს "შავრაზმელი დეპუტატების" სია გამოაქვეყნა. "**გელა ქათამაძე, ვანო ჟორჟოლიანი, თამაზ ჭაბუკიანი, ამირან ხვადაგიანი, ალეკო ბაძგარაძე და ბადრი ალფაიძე არიან ის ადამიანები, ე.წ. "პროსტიტუტკები", რომლებიც ინტერესებზე და ფულზე იყიდებიან და საითაც ძალას დაინახავენ, იქით მიდიან. ამ ხალხმა დროებით მოძებნა ძალიან კარგი მოკავშირე ზურაბ ქაჯაიას სახით, რომელიც არის დამყაყებული და შავრაზმელი ჩინოვნიკი,"** - აცხადებს გოჩა ჩხეტია "24 საათთან" საუბარში.

თავად ზურაბ ქაჯაია დამატებითი კონსულტაციებისა და მითითებების მისაღებად თბილისში იმყოფება. მას ქუთაისში მაჟორიტარი დეპუტატის ნინო ბურჯანაძის კადრად იცნობენ, თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მითითებით, ალბათ, ქუთაისში დაბრუნებული ქაჯაია, მორიგ კონფრონტაციას მოერიდება, მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყნის ხელისუფლება იმერეთში ახალი რწმუნებულის დანიშვნას უახლოეს მომავალში გეგმავს.

## წინ, ევროპისკენ, თვითკმაყოფილების გარეშე!

### ხელისუფლება სტუდენტებს საინტეგრაციო პროცესებში ჩართვას სთავაზობს

*გუშინ ევროპის დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც აღინიშნა. სტუდენტებით სავსე დარბაზში სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე, უნივერსიტეტის რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის დირექტორი კახაბერ გოგოლაშვილი საერთაშორისო საკითხებით ახალგაზრდების დაინტერესებას ცდილობდნენ.*

ირმა კახურაშვილი

გიორგი ბარამიძის განცხადებით, წლების განმავლობაში საქართველომ "ცივილიზებული ევროოჯახის წევრობა" დაიმსახურა, მაგრამ ამისათვის ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. თუმცა, როგორც სტუდენტობამ დაასკვნა, ეს გზა ნელ-ნელა "მოკლდება". სახელმწიფო მინისტრის თქმით, ახალი ხელისუფლების ხელში სახელმწიფო ბიუჯეტი სამჯერ გაიზარდა, დაიფარა საპენსიო დავალიანებები და გაორმაგდა პენსიები, შემცირდა კონტრაბანდა და კრიმინოგენული ფონი... ბევრი სტუდენტი ასეთ ხმამაღალ განაცხადს ღიმილით, თუმცა თავშეკავებულად შეხვდა, რასაც ბარამიძის რეპლიკა მოჰყვა: **"თვითკმაყოფილების გრძნობით გამსჭვალულნი არ ვართ, მაგრამ..."** მან არც ის დაივიწყა, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2004 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" წევრად ცნობა იყო.

ამ პოლიტიკის მიზანი ე.წ. ახალი გამყოფი ხაზების აცილებაა, რომლებიც ევროპას მის მეზობელ ქვეყნებს აშორებს. "ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" მის წევრ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის სხვადასხვა ღონისძიებებში, პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებასა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში. გიორგი ბარამიძის განცხადებით, "**კარგი იქნებოდა, ევროპა უფრო აქტიურად ჩართულიყო კონფლიქტების მოგვარების სფეროში, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა."** მინისტრმა არც საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების სიკეთე დაივიწყა და სტუდენტობა დააიმედა: წლის ბოლომდე საქართველოს ხელისუფლება სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოებში შეიმუშავებს დოკუმენტს, რომელიც სხვა ქვეყნებთან სამეგობრო გეგმებს განსაზღვრავს (ამ დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობა სტუდენტებსაც შეუძლიათ). ეს კი ინტეგრაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ, ევროკავშირის წარსულში მოკლე ექსკურსის შემდეგ, ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის მოთხოვნებთან და ევროსტანდარტებთან დაახლოება უსურვა. "**დღევანდელი ევროკავშირი 25 ევროპული სახელმწიფოს გაერთიანებაა და 460-მილიონიან მოსახლეობას მოიცავს. შარშან ჩვენ ბალტიისპირეთიც შემოგვიერთდა. ჩვენ შევქმენით ახალი ვალუტა – ევრო და ვართ უმსხვილესი დონორი, რომელიც მსოფლიო ქვეყნებს ყველაზე მეტი ჰუმანიტარულ დახმარებით უზრუნველყოფს,**" – განაცხადა ელჩმა.

სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის დირექტორის კახაბერ გოგოლაშვილის განცხადებით, ევროკავშირის პოლიტიკის მიზანი საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების მხარდაჭერაა. მისი მოწოდებით, საქართველომ ნებისმიერი შიდა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოაგვაროს. თუმცა, ამჟამინდელი, რუსეთთან გართულებული ურთიერთობების გამო, ამ იდეის ხორცშესხმა შეუძლებელია. სხვათა შორის, 1998 წლიდან ევროკომისიამ კონფლიქტის ზონების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში სამხრეთ ოსეთისთვის 7,5 მილიონი ევრო და აფხაზეთისთვის – 10 მილიონი ევრო გამოჰყო. პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებასა და ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ითვალისწინებდა.

სტუდენტებთან შეხვედრისას, მსხვილი მეწარმეებისთვის საინტერესო ინფორმაციამ გაიჟღერა. სულ მალე საქართველოს ხელისუფლება მათთან რამდენიმე შეხვედრას გეგმავს, რომლებიც ევროპაში ქართული პროდუქტის გატანას და ადგილზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მიეძღვნება.

## ბუშის სტუმრობამ პარლამენტის მუშაობის გრაფიკი შეცვალა

პირველი გვერდიდან

**"ეს სადავო კანონპროექტი მთავრობას ცოცხალი თავით არ გააქვს უკან. რაკი ასეა, კი ბატონო, დავტოვოთ დღის წესრიგში და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავად ნახოს, რას იტყვიან დეპუტატები მასზე,"** - პარლამენტის თავმჯდომარე აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ მთავრობა დაჟინებით ითხოვს, ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებს საიდუმლო ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება მიენიჭოთ. სპიკერის თქმით, ამ საკითხზე კანონმდებლები მთავრობისგან დამატებით არგუმენტებს ითხოვენ, მაგრამ ისინი დღემდე არ მოუსმენიათ.

**"არ არის საჭირო ისეთი დამატებითი ბარიერების შექმნა, რომლებიც ამა თუ იმ სამინისტროს უფრო დახურულს გახდის,"** - მიიჩნევს პარლამენტის თავმჯდომარე.

მთავრობა და პარლამენტი ვერც იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე თანხმდებიან, რომლებიც დაინვალიდებული, მარჩენალდაკარგული ოჯახებისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ინვალიდთათვის საპენსიო შეღავათების ამოქმედებას ითვალისწინებს. დეპუტატების სურვილს, რომ ეს შეღავათები ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავისთვის შესულიყო ძალაში, როგორც ჩანს, აღსრულება არ უწერია.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტარები მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრის უკანონო ქმედებებმაც გაალიზიანა. პრეზიდენტ სააკაშვილის იმ ზეპირი განცხადების საფუძველზე, რომ ლიცენზიების გაცემის საკითხი უნდა გამარტივდეს, რამდენიმე მინისტრმა შესაბამისი უწყების თანამშრომლები თვითნებურად გაათავისუფლა სამსახურიდან. დეპუტატები ამ მინისტრების გვარების საჯაროდ დასახელებისგან თავს იკავებდნენ, თუმცა, ბოლოს მაინც გამჟღავნდა, რომ ერთ-ერთი მათგანი მიხეილ სვიმონიშვილია.

**"ის, რაც პრეზიდენტმა მოითხოვა, კანონის საფუძველზე უნდა დარეგულირდეს და არა ამა თუ იმ მინისტრის ერთპიროვნული განკარგულებით,"** - მთავრობის წევრებს პრეტენზიებს, სხვებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც უყენებს.

ვინაიდან მიმდინარე კვირა შედარებით "თავისუფალია", პარლამენტის თავმჯდომარემ ამ გარემოებით ისარგებლა და 5 მაისს მშობლიურ ქუთაისში გამგზავრება გადაწყვიტა, სადაც, მისივე თქმით, **"მეტად საინტერესო და სერიოზული ღონისძიებები ჩატარდება."** კერძოდ, დაგეგმილია ნინო ბურჯანაძის შეხვედრები ქუთაისის პედაგოგიურ და შემოქმედებით კოლექტივებთან, აგრეთვე, მოეწყობა აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის გასვლითი სხდომა, რომელზეც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების პრობლემატიკაზე იმსჯელებენ.

რაც შეეხება მომავალი კვირისთვის დაგეგმილ პარლამენტის რიგგარეშე სხდომას, რიგ საკითხებთან ერთად, მასზე განხილული იქნება ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტიც, რომელიც წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ 20 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებს. აღნიშნულ პროექტს მთავრობა საკანონმდებლო ორგანოში დღეს წარადგენს.

# ენერგოპრივატიზაცია იწყება

## ხელისუფლება სადისტრიბუციო ბაზარს "თავიდან იშორებს"

*სააღდგომოდ, ხელისუფლებამ ენერგოობიექტების საპრივატიზებოდ გამოტანა გადაწყვიტა და გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაც" (სგსე) "შეაპარა". სგსე-სთან ერთად, ხელისუფლებას აჭარის ენერგოკომპანიის გაყიდვაც აქვს განზრახული. ფაქტობრივად, საქართველოს მთელი სადისტრიბუციო ბაზარი, უკვე პრივატიზებული, კახეთის ენერგოკომპანიისა და "თელასის" გარდა, ერთიანად იყიდება. სადისტრიბუციო ბაზარს თან რამდენიმე საშუალო ჰესიც უნდა მიჰყვეს.*

მაია ურუშაძე

ენერგოპრივატიზაციის განსახორციელებლად მთავრობა ეკონომიკურ რეფორმებში სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძის მიერ შემოთავაზებულ მოდელს ირჩევს, მაგრამ მცირედი კორექტირებით. ბენდუქიძის მიერ მომზადებული რეფორმის პროექტის მიხედვით, ენერგოსადისტრიბუციო სექტორისა და გენერაციის ობიექტები ერთ ლოტში უნდა გაერთიანდეს, ამ ლოტების მყიდველ კომპანიებს კი ენერგოობიექტებში გადახდილი თანხა ინვესტიციის განსახორციელებლად უკან უნდა დაუბრუნდეთ.

უკვე ცნობილია, რომ გენერაციის ობიექტებიდან გამანაწილებელი კომპანიების შესყიდვის მსურველებს ამ ეტაპზე იმერეთის ხუთ ჰიდროელექტროსადგურს - ლაჯანურჰესს, გუმათჰესების კასკადს, ძევრულაჰესს, შაორჰესსა და რიონჰესსაც შესთავაზებენ.

ჰიდროელექტროსადგურების ცალკე გაყიდვა არ განიხილება. თუმცა, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის კახა დამენიას განმარტებით, ენერგოობიექტების პრივატიზების ფორმის შერჩევა, სავარაუდოდ, დაინტერესებულ კომპანიებთან კონსულტაციის შემდეგ მოხდება. მათთან შეთანხმებით გადაწყდება, ასევე, რა სახის ობიექტები გაერთიანდება ერთ საპრივატიზებო ლოტში.

თუმცა, ენერგეტიკის სამინისტროს ამ სქემაში კორექტივები შეაქვს. **"თუ ინვესტორები მხოლოდ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებით დაინტერესდებიან, მაშინ ჰესები ცალკე გაიყიდება,"** – აცხადებს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური.

მისივე მოთხოვნით, ენერგოობიექტების პრივატიზების პროცესი მომავალი წლის აგვისტომდე არ დასრულდება. მინისტრის თქმით, აღნიშნული დრო საჭიროა იმისთვის, რომ ენერგოობიექტები სათანადო ფასად გაიყიდოს.

რაც შეეხება სადისტრიბუციო ბაზარს, აქ საპრივატიზებოდ ორი გემრიელი ლუკმაა წარმოდგენილი.

პირველი მათგანი, რეგიონების ელექტროოპერატორი "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", რომელსაც ამერიკული "პი-ეი კონსალტინგი" 2003 წლის 7 მაისიდან მართავს, წლების განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო. მოუწესრიგებელი აღრიცხვიანობის გამო, დარგი მილიონებს უკვალოდ კარგავდა. თუმცა, ამ კომპანიის გაყიდვისგან ხელისუფლება თავს ყოველთვის იკავებდა. პარალელურად, რეგიონების ელექტრომომარაგების კომპანიები პერიოდულად ადგილობრივი თვითმმართველობის გავლენის ქვეშ ექცეოდა, რის გამოც საბოლოოდ, რეგიონების ენერგოსადისტრიბუციო სექტორში ვითარების გამოსწორება ამერიკულმა საკონსულტაციო ჯგუფმა ითავა და ორწლიანი მართვის პერიოდში გამრიცხველიანების ფართომასშტაბიანი სამუშაოები ჩაატარა.

ახლა კომპანია შედარებით უფრო "პრეზენტაბელურად" გამოიყურება, თუმცა დონორები მის გაყიდვას ჯერ ნაადრევად მიიჩნევენ.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლება იმედოვნებს, რომ კომპანიის გაყიდვით ბიუჯეტსაც შეავსებს და სექტორის კომერციალიზებასაც მოახერხებს, რის შედეგადაც დარგი მომგებიანად უნდა იქცეს.

რაც შეეხება მეორე კომპანიას – აჭარის ელექტროგამანაწილებელ ქსელებს – წინასწარი ინფორმაციით, ის სგსე-სთან ერთ ლოტში უნდა გაერთიანდეს.

საყურადღებოა, რომ ჯერჯერობით, ქართული ეკონომიკის ყველაზე მსხვილი ლუკმის რეალური მყიდველი მხოლოდ ერთი მიმართულებით ჩანს. კერძოდ, ჩრდილოეთით: "რაო ეეს როსიიში" არ მალავენ, რომ საქართველოზე ენერგეტიკული გავლენის დაკარგვა არავითარ შემთხვევაში არ სურთ და ამისთვის სოლიდური თანხების გაღებასაც აპირებენ. ამ ვითარებაში ხელისუფლებას, შესაძლოა, ენერგეტიკული უსაფრთხოების ადრე დეკლარირებული პრიორიტეტების გადასინჯვა მოუხდეს.

უკვე ცნობილია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზებით დაინტერესებული ადგილობრივი თუ უცხოური კომპანიებისთვის ინტერესთა გამოხატულების კონკურსს 15 მაისამდე გამოაცხადებს. ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აკონკრეტებს, რომ ენერგოობიექტების შესყიდვის სურვილის დაფიქსირება ინვესტორებს უახლოესი 15 დღის განმავლობაში ექნებათ, რის შემდეგაც მთავრობა მათთან მოლაპარაკებების პროცესს დაიწყებს.

თუმცა, ენერგეტიკის სამინისტროს დაჟინებული მოთხოვნით, უკვე გადაწყვეტილია, რომ დიდი ენერგოპრივატიზაცია მომავალ წლამდე არ ჩატარდება – სგსე-სა და აჭარის ენერგოკომპანიას ახალი მფლობელი მხოლოდ მომავალი წლის სექტემბრისთვის ჩაიბარებს და ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოტენციურ ინვესტორთან მოლაპარაკება წარმატებულად შედგება.

ამასობაში კი, ენერგოსექტორის კურატორები შიდა სიმძლავრეების გაზრდას აპირებენ. ცნობილი ხდება, რომ "თბილსრესის" სახელმწიფო ბლოკებით რუსული "ვნეშტორგბანკი" ინტერესდება. გილაურის ინფორმაციით, ბანკი მზად არის, "თბილსრესის" სახელმწიფო ბლოკების ტერიტორიაზე გაზის ახალი, 300-მეგავატიანი ტურბინა დაამონტაჟოს, რისთვისაც 100-150 მილიონი დოლარის დახარჯვას გეგმავს. თუმცა, გილაური აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ალტერნატიული ინვესტორებიც მოძებნასაც ცდილობს. იგი ამ საკითხის წამოწევას ორ ამერიკულ კომპანიასთან - "ჯენერალ ელექტრიკსა" და "ფრად ენდ ვითენთთან" აპირებს, რისთვისაც გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობასთან. გილაური მსოფლიო ბანკს "ხუდონჰესის" მშენებლობის პროექტის დაფინანსების გზებზეც უნდა ესაუბროს. **"დონორი ორგანიზაციებისგან შეიქმნება კონსორციუმი, რომელიც "ხუდონჰესის" სამშენებლო სამუშაოებს დააფინანსებს. "ხუდონჰესის" მშენებლობისთვის 600 მლნ. დოლარია საჭირო. დონორების მიერ საქართველოში რამდენიმე პროექტის განხორციელებას, სჯობს, ერთი და მსხვილი პროექტი – "ხუდონჰესი" განხორციელდეს,"** – აცხადებდა მინისტრი უშუალოდ აშშ-ში გამგზავრების წინ.


### შპს "აჭარის ენერგოკომპანია" აცხადებს წინადადებების მიღებას მრიცხველებისათვის რკინის კარადების დამზადებაზე

კარადის ძირითადი მახასიათებლებია:

| N | კარადების ჩამონათვალი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | 30 მრიცხველიანი კარადა | 4 |
| 2 | 15 მრიცხველიანი კარადა | 33 |
| 3 | 12 მრიცხველიანი კარადა | 20 |

1. ფოლადის ფურცელი 2 მმ.
2. ორგმინა 4 მმ.
3. შიდა საკეტი 2ც.
4. საღებავი "ანტიკოროზიული"
5. კუთხოვანა 30 მმ.

ნახაზები იხილეთ: www.aec.ge

გთოხვთ მოგვაწოდოთ მხოლოდ კარადების ფასები სხვა მოწყობილობების გარეშე და გათვალისწინებული იქნას:
1. მოწოდების ადგილი
2. გადახდის პირობები

**წინადადებები მოწოდებული იქნას არა უგვიანეს ა.წ. 12 მაისისა.**
**შემდეგ მისამართზე:**
**ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N103,**
**მობილური: 899 559155**
**ფაქსი: (995 222) 76345, 76346 ელ. ფოსტა: aec@aec.ge**


# ჰოსფისი - ევროპისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი...

თამარ მაისურაძე

*თბილისში ამიერკავკასიაში პირველი ჰოსფისი – უიმედო ონკოლოგიური ავადმყოფების თავშესაფარი - გაიხსნა. თუმცა, ახალი კლინიკა, ჯერჯერობით, დაავადების ბოლო სტადიაში მყოფი, ძალიან მცირე რაოდენობის პაციენტების მიღებას მოახერხებს.*

"კაცი თუ გინდა დაწყევლო, ავად გახდომა უნდა უსურვო," – ასეთია ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსებული ავადმყოფების უმრავლესობა ექიმთან დაავადების პირველ ეტაპზე ვერ მიდის. მიზეზი – ყველასთვის ნაცნობი უფულობაა, შედეგად კი, საავადმყოფოებში პაციენტები მძიმე დიაგნოზით წვებიან.

ყველაფერ ამის ფონზე, სახელმწიფო (შეძლებისდაგვარად) პაციენტებისთვის ხელის გამართვას ცდილობს. ერთ-ერთი, მორიგი მცდელობა გუშინ, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ბაზაზე გახსნილი პალიატიური მზრუნველობის კლინიკაა - ეგრეთ წოდებული ჰოსფისი, სადაც პაციენტები მკურნალობენ და ცხოვრობენ. ჰოსფისი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული. ამიერკავკასიის ქვეყნებში კი ამ დაწესებულების გახსნის პატივი პირველს საქართველოს ერგო. **"ასეთი დაწესებულების არსებობა ქვეყნის ცივილურობის დონის მაჩვენებელია. მომავალში მსგავსი კლინიკების გახსნას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც ვგეგმავთ,"** – განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა.


*სანდრა რულოვსი და ლადო ჭიპაშვილი საზეიმო ცერემონიალზე.*

საქართველოს პირველი ლედის, სანდრა რულოვსის თქმით კი, მართალია, ჰოსფისის გახსნა პაციენტის კეთილდღეობას ემსახურება, თუმცა პარალელურად ამ კლინიკის არსებობა პაციენტის ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვისაც მისაღებია.

ონკოპრევენციის ცენტრის კოორდინატორ რემა ღვამიჩავას თქმით, ჰოსფისში ის პაციენტები იმკურნალებენ, რომელთა შველა, გამოჯანმრთელება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. **"დასავლეთში კარგად აპრობირებულმა მეთოდმა საქართველოში ახლა დაიწყო განვითარება და ჩვენ მოხარულები ვართ, რომ პირველი ჰოსფისის გახსნა ჩვენ შევძელით,"** – გვითხრა მან.

პალიატიური მზრუნველობის კლინიკის გახსნაში სახელმწიფოს მონაწილეობა არ მიუღია, როგორც ექიმები ამბობენ, ჰოსფისი ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სახსრებით გაიხსნა. სამაგიეროდ, სახელმწიფო იქაური პაციენტების მკურნალობის დაფინანსებას თავის თავზე იღებს. საწოლდღის (საავადმყოფოში გატარებული ერთი დღის) ღირებულება 55 ლარია. აქედან 80 პროცენტს, 44 ლარს სახელმწიფო გადაიხდის, ხოლო 20 პროცენტს - 11 ლარს თავად პაციენტი, რომელიც ყოველდღიურად საჭირო მედიკამენტებთან ერთად სამჯერადი კვებითაც უზრუნველყოფილი იქნება.

ამჟამად ჰოსფისში მხოლოდ 10 პაციენტის მოთავსებაა შესაძლებელი. ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში კი, დაახლოებით, 250 პაციენტი წევს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ სახელმწიფომ თავის მოქალაქეებს დაავადების საწყის ეტაპზე ექიმთან მისასვლელი გზა უნდა გაუადვილოს, რათა საავადმყოფოებში საწოლები ავადმყოფების გარდაცვალების შემდეგ არ თავისუფლდებოდეს.


### პროფესიული განვითარების შესაძლებლობები
### BP საქართველო

bp

BP, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ენერგოკომპანია, საქართველოში უმსხვილეს ინვესტორთა შორისაა წარმოდგენილი. 1999 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციას და მალე დავასრულებთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობას. ეს არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მიმართულია საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის როლის გაფართოებისაკენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფანში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები უზრუნველყოფს კასპიის ენერგორესურსების წარმატებულ ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში ენერგომომარაგების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს.

BP-მ აიღო ვალდებულება წარმატებით განახორციელოს ამ მნიშვნელოვანი პროექტების ექსპლუატაცია და ჩამოაყალიბოს ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობა საქართველოსა და მის ხალხთან. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ გვესაჭიროება განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მენეჯმენტი და კადრები. ამიტომ ვაცხადებთ კონკურსს გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მცირერიცხოვანი კანდიდატების სამუშაოზე მისაღებად, რომლებიც პერსპექტივაში დაიკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს ჩვენს ორგანიზაციაში.

წარმატებულ კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ განათლების შესაბამისი დონე და დოკუმენტურად დადასტურებული სამსახურებრივი მიღწევები, იქნება ეს კერძო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორებში.

BP მსურველებს სთავაზობს პროფესიული განვითარების ჩამოყალიბებულ პროგრამას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც საჭიროებისამებრ ახლავს ფორმალური ტრენინგების კურსი. გამარჯვებულ კანდიდატებს BP წაუყენებს უმაღლეს მოთხოვნებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მხრივ, მაგრამ სანაცვლოდ სთავაზობს ანაზღაურების მიმზიდველ პაკეტს და წამყვან საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციაში სამსახურებრივი წინსვლის ბრწყინვალე შესაძლებლობებს.

სავარაუდო ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

გამოცდილების, კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების მიზნების მიხედვით, წარმატებული კანდიდატები დაიკავებენ თანამდებობებს სხვადასხვა დეპარტამენტში, როგორიცაა ექსპლუატაცია; ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (HSE); კომუნიკაციის და საგარეო საქმეთა; ბიზნეს-სერვისები და უშიშროება.

**საქმიანობის სახეებს მიეკუთვნება:**
- საქაჩ სადგურზე ან თბილისში განთავსებული ექსპლუატაციის ჯგუფთან მუშაობა
- ურთიერთობის წარმართვა სამთავრობო უწყებებთან, საზოგადოებასთამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მას-მედიასთან.
- BP-ს მუშაობის და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტექნიკური, იურიდიული, კომერციული ან HSE სფეროებში; ამ სტანდარტების სიღრმისეული ცოდნის განვითარება .
- პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და ანგარიშგება.
- შესყიდვების, კონტრაქტების, ლოგისტიკის ან ბიზნეს-სერვისების სხვა დამხმარე სფეროების მართვა.

შესრულებული სამუშაო სისტემატურად შემოწმდება და მოხდება მისი შედარება ორგანიზაციაში მომუშავე მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების მიღწევებთან. გარდა ამისა მოხდება სამსახურებრივი წინსვლის მიზნების პერიოდული მოდიფიცირება კანდიდატების გრძელვადიანი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით.

**ძირითადი უნარები და კვალიფიკაცია**
- ინიციატივიანი, შემოქმედებითი და თვითჩამოყალიბების გამოკვეთილი უნარი;
- მონაცემთა გაანალიზების, პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომების მოძებნის და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- კომუნიკაციის და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის კარგად განვითარებული უნარი;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის დადასტურებული უნარი, რთული ამოცანების დასახულ ვადებში შესრულების უნარი;
- საერთო მიზნის მისაღწევად გუნდური მუშაობის გამოცდილება;
- ხელმძღვანელის თვისებების გამომჟღავნების დადასტურებული უნარი.

**პროფესიული გამოცდილება**
წარმატებულ კანდიდატს სასურველია გააჩნდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბიზნესისი სფეროში, სამთავრობო უწყებებში, დიპლომატიურ სამსახურში, მსხვილ დონორ ორგანიზაციაში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

*აუცილებელია:*
- მინიმუმ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება არჩეულ სფეროში სწრაფი სამსახურებრივი წინსვლის დემონსტრირებით.

*სასურველია:*
- საერთაშორისო ბიზნესში მუშაობის ან მასთან ინტენსიური კონტაქტის გამოცდილება.

**განათლება**
- უმაღლესი განათლების დიპლომი ან სამეცნიერო ხარისხი ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების, იურიდულ, სამშენებლო საინჟინრო ან მანქანათმშენებლობის, ან სხვა შესაფერის დარგში. სასურველია საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება.
- აუცილებელია ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა,.

***განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 10 მაისი.***

**როგორ მოგვმართოთ/დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**
თუ თვლით, რომ თქვენ გაქვთ ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ჩV-ის ასლი და შეავსოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არსებული განცხადების ფორმა. განაცხადების მიღების ბოლო დღეა სამშაბათი 10 მაისი, 2005 წელი.

**ყველა მიღებული განაცხადი დადასტურდება, მაგრამ ეს იმის ნიშანი არ იქნება, რომ კანდიდატი მიწვეულია ინტერვიუზე ან მიღებულია სამუშაოზე.**

**კადრების დეპარტამენტი**
**ბპ საქართველო**
**საბურთალოს ქუჩა 38**
**თბილისი, საქართველო**


# ლარსიდან საფრთხე აღარ გვემუქრება

ნანა ქადაგიშვილი

საქართველოს მოსახლეობა ეპიდემიის გავრცელების საფრთხეს გადაურჩა. გასული ოთხი თვის განმავლობაში საქართველო-რუსეთის საზღვრის, ზემო ლარსის გამშვებ პუნქტზე გაჩერებული 350 ტონა ინდური ხორცი, რომელიც ჩვენს მოსახლეობას უკვე სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა, 1 მაისს იაღლუჯას ნაგავსაყრელზე განადგურდა. სანიტარულმა და ვეტერინარულმა სამსახურებმა ეს ფაქტი, გარკვეული მიზეზების გამო, მოგვიანებით გაახმაურეს.

გაყინული ხორცით დატვირთულმა, რუსული წარმოების 26-მა ავტომანქანამ საქართველოს ტერიტორია ტრანზიტით 2004 წლის დეკემბერში გადაკვეთა, მაგრამ კოლონამ რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა ვერ მოახერხა და ნეიტრალურ ტერიტორიაზე გაჩერდა. ოთხი თვის განმავლობაში უპატრონოდ მიტოვებული ხორცი დადნა, აყროლდა და ლარსის საზღვართან მცხოვრებთ სერიოზული საფრთხე დაემუქრა. **"კიდევ ცოტა რომ მოგვეცადა, შეიძლება, ეპიდემია გავრცელებულიყო. ჩვენმა ექსპერტებმა ეს ხორცი რომ ნახეს, ლაბორატორიულ კვლევას უკვე აღარ ექვემდებარებოდა,"** – განაცხადეს სანიტარული და ვეტერინარული სამსახურების ხელმძღვანელებმა.

სანიტარებსა და ვეტერინარებთან ერთად, სამი სამინისტროს (სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, გარემოს დაცვის), ფინანსური პოლიციისა და საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლები გაფუჭებული 350 ტონა ხორცის განადგურებას ორი დღე მოუნდნენ (ერთი ტონა ხორცის განადგურება 45 ლარი დაჯდა). ხორცი იაღლუჯას ნაგავსაყრელზე ორმეტრიან ორმოში ჩამარხეს და სამარხსა და 26 მანქანას, რითიც ეს ხორცი გადაჰქონდათ, დეზინფექცია ჩაუტარეს. თუმცა, ეს ამბავი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაახმაურეს, რადგან, როგორც სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი აცხადებს, ყოფილა ფაქტები, როცა ჩამარხული გაფუჭებული პროდუქტი ადამიანებს იმავე დღესვე ამოუთხრიათ და უჭამიათ. ჩამარხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი ხორცის ამოთხრას აღარავინ დაიწყებსო, - იმედოვნებენ სანიტარული სამსახურის წარმომადგენლები.

რაც შეეხება ხორცისა და მანქანების მფლობელებს, მათ ვინაობას საქართველოს ფინანსური პოლიცია დაადგენს და მანქანებს პატრონს დაუბრუნებს.

# სომხეთმა იმპორტი შეგვიწყვიტა

სომხეთის დახურულმა სააქციო საზოგადოებამ "საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ" პირველი მაისიდან "თელასს" ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. თუმცა, ამას თბილისის ელექტრომომარაგებისთვის პრობლემები არ შეუქმნია. წყალდიდობებმა თავისი საქმე გააკეთა და დღეს ჰიდროელექტროსადგურებში წყლის მარაგი საკმარისზე მეტია. როგორც "თელასში" განაცხადეს, დედაქალაქი სრულად არის დატვირთული, რადგან შეჩერებული იმპორტის კომპენსაცია სწორედ ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის ხარჯზე ხდება.

რაც შეეხება ექსპორტის შეწყვეტას, ამ გადაწყვეტილების მთავარ მიზეზად კორპორაციის წარმომადგენლები სომხურ დრამთან მიმართებაში ამერიკული დოლარის კურსის ვარდნას ასახელებენ, რის გამოც ელექტროენერგიის იმპორტი არარენტაბელური ხდება. "ჩვენ დენს სომხურ ვალუტაში ვყიდულობთ და დოლარებში ვყიდით. ამ ვითარებაში, დოლარის დევალვაცია ჩვენს კოლოსალურ ზარალს იწვევს. ამ დღეში არიან სომხეთის სხვა ექსპორტიორებიც," - აცხადებენ კორპორაციაში. სომხური მხარე ირწმუნება, რომ უშუალოდ ექსპორტის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინ, მათ "თელასთან" უშედეგო მოლაპარაკებები აწარმოეს და "თელასი" ამჟამად ტარიფის მომატებისთვის მზად არ აღმოჩნდა.

კორპორაცია სომხეთიდან საქართველოს დღე-ღამეში საშუალოდ 2,45 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას აწვდიდა. კილოვატსაათის ტარიფი 2,75 ცენტს შეადგენდა. **24 საათი**

# ბირთვული ტექნოლოგიები - უდიდესი გამოწვევა მსოფლიო უსაფრთხოებისთვის

ჩრდილოეთ კორეის მიერ 1 მაისს ტაქტიკური რაკეტის გამოცდას აშშ-ს მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. ოფიციალურმა ფხენიანმა მოკლე რადიუსის მოქმედების რაკეტები იაპონიის ზღვაში გამოსცადა. რუსეთის საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩრდილოეთი კორეა დიდი სიშორის მოქმედების რაკეტებსაც ფლობს, რომელთაც ჰავაის კუნძულებამდე მიღწევაც შეუძლია. როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ბირთვული საფრთხე მხოლოდ აშშ-ს არ ემუქრება. გარდა ამისა, მან ისიც აღნიშნა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალურ ვაშინგტონს არც საკუთარი თავის და არც მოკავშირეების დაცვა არ გაუჭირდება. ეს აშშ-ს მხრიდან ჩრდილოეთ კორეის მისამართით გამოთქმული კიდევ ერთი გაფრთხილებაა.




როგორც ცნობილია, ჩრდილოეთი კორეა ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლებას ჯერ ისევ არ თანხმდება. ოფიციალური ფხენიანის მოქმედება კი სულ უფრო აღიზიანებს ვაშინგტონს. **“ჩვენ მოკავშირეებთან (იაპონია, სამხრეთ კორეა, რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი) ერთად კოორდინირებული ქმედება გვმართებს, რათა ჩრდილოეთ კორეის უადგილო მოქმედებები აღვკვეთოთ. ჩვენ არ გვსურს, რომ ოფიციალური ფხენიანი ფლობდეს ბირთვულ იარაღს,”** - აცხადებს თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი ენდრიუ ქარდი. დემოკრატი სენატორი კარლ ლევინი კი ჩრდილოეთ კორეის მხრიდან მზარდი ბირთვული საფრთხის მიზეზს აშშ-ს არასწორ პოლიტიკაში ხედავს. მისი თქმით, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის აშშ-მ ჩრდილოეთ კორეასთან უშუალოდ უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები. დემოკრატი კოლეგის აზრს არ იზიარებენ რესპუბლიკელები. საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრი, რესპუბლიკელი ნორმ კოულმანი დარწმუნებულია, რომ ჩრდილოეთ კორეასთან ორმხრივი მოლაპარაკებები ბილ კლინტონის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი სუსტი წერტილი იყო, რადგან იმ წლებში ფხენიანი წარმატებით ახერხებდა ვაშინგტონის გაცურებას.

ჩრდილოეთ კორეის ქმედებებით აშშ-ზე ნაკლებად არც იაპონიაა შეშფოთებული. როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან 40-წუთიანი შეხვედრის შემდეგ იაპონიის საგარეო უწყების მეთაურმა ნობუტაკა მატიმურამ აღნიშნა, ოფიციალური ტოკიო პეკინთან ერთად ყველა ღონეს იხმარს, რათა ექვსმხრივ მოლაპარაკებებს რეალური შედეგი მოჰყვეს.

ჩრდილოეთ კორეის მიერ იაპონიის ზღვაში ტაქტიკური რაკეტების გამოცდას გაერო-ს შტაბბინაში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის თემაზე საერთაშორისო კონფერენციის დაწყება მოჰყვა, რომელიც მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდება. კონფერენციაზე განიხილება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 35 წლის წინ ხელმოწერილი შეთანხმების მოქმედების ეფექტურობა.

კონფერენციის დაწყებისთანავე მკაცრი შეფასებები გაკეთდა ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მისამართით. “ბოროტების ღერძად” აღიარებული ქვეყნების მისამართით განსაკუთრებით კრიტიკული იარაღის კონტროლის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტივენ რადემეიკერი იყო. მისი თქმით, ბირთვული იარაღის შექმნისაკენ ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მისწრაფება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას. ირანი კი კვლავინდებურად უარყოფს ბირთვული იარაღის შექმნის ამბიციას. როგორც რამდენიმე დღის წინ გამართულ მორიგ მოლაპარაკებაზე ირანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰასან როუჰანიმ განაცხადა, მისი ქვეყანა უკმაყოფილოა კონსულტაციების ტემპებით და ამიტომ, ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობას უკვე მიღწეული შეთანხმებების გვერდის ავლით გააგრძელებს. დიპლომატის თქმით, ისფაჰანში არსებულ ობიექტზე სამუშაოები ამ კვირაში დაიწყება. ირანის პოზიციების სიმყარეს ადასტურებს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერიც, რომელიც ირანელ კოლეგასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. ფიშერის თქმით, ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან ქამალ ხარაზისთან “გულახდილი საუბრისას” კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ოფიციალური თეირანი ბირთვულ ამბიციებზე უარის თქმას არ აპირებდა.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ დაწყებულ კონფერენციაზე კრიტიკა აშშ-ს ადმინისტრაციის პოლიტიკის მისამართითაც გაისმა. კრიტიკის მიზეზი ვაშინგტონის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმების დატოვება გახდა. გარდა ამისა, აშშ ბირთვული იარაღის ახალ სახეობებზე მუშაობასაც აგრძელებს. აშშ-სა და რუსეთს ბირთვული არსენალის სწრაფად შემცირებისკენ კოფი ანანმაც მოუწოდა. გაერო-ს გენერალური მდივნის თქმით, ყველა სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს ბირთვული საფრთხის შემცირება, რამაც საბოლოოდ მსოფლიოს ბირთვული იარაღისაგან გათავისუფლება უნდა მოიტანოს შედეგად. გაერო-ს გენერალური მდივნის მოწოდების მიუხედავად, საერთაშორისო კონფერენციის შედეგების შესახებ ოპტიმისტურ პროგნოზს ანალიტიკოსები ვერ აკეთებენ.

მათი შეფასებით, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ნაკლოვანი მხარე ისაა, რომ სახელმწიფოებს, ამ ხელშეკრულების ფარგლებში, შეუძლიათ ბირთვული ტექნოლოგიების განვითარება (რაც ატომური იარაღის შექმნისთვის აუცილებელია) და შემდეგ უკვე ყოველგვარი სანქციის გარეშე შეთანხმების დატოვება.

მცირეოდენი ინფორმაციისთვის კი უნდა აღინიშნოს, რომ გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერიათ - ინდოეთს, პაკისტანსა და ისრაელს.

*24 საათი*

# ყველაზე სახიფათო პროფესია

პირველი გვერდიდან

“ხშირად ამბობენ, რომ მედიის თავისუფლება და, ზოგადად, სიტყვის თავისუფლება – დემოკრატიის ჟანგბადს წარმოადგენს. თუ ეს სიმართლეს შეეფერება, ევროპის ზოგიერთ ნაწილში დემოკრატია თავისუფლად ვერ სუნთქავს,” - ასე შეაფასა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ რენე ვან დერ ლინდენმა გუშინ პრესის თავისუფლების მდგომარეობა ევროპაში. სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი ცენზურა - ადმინისტრაციული ან სამართლებრივი შეზღუდვებიდან დაწყებული, პატიმრობით, მუქარით, ძალადობითა და მკვლელობით დამთავრებული - სიტყვის თავისუფლების ამ უკვე ტრადიციულ საფრთხეებს ახალიც შეემატა. პასე-ს თავმჯდომარის აზრით, მსოფლიოში პრესის თავისუფლებას, ერთი მხრივ, საინფორმაციო საშუალებების ცალკეულ ოლიგარქთა ხელში თავმოყრა უქმნის საფრთხეს, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლების მიერ, ვითომდა, ანტიტერორისტული ინტერესების დასაცავად დაწესებული შეზღუდვები. “უსაფრთხოების ინტერესებით მოტივირებული ცენზურა მხოლოდ და მხოლოდ ტერორისტთა ინტერესებს ემსახურება,” - აცხადებს ვან დერ ლინდენი.

რუსეთი პირველად მოხვდა იმ ქვეყნების ხუთეულში, სადაც თავისუფალი მედიის მუშაობა ყველაზე მეტად დგას საფრთხის წინაშე. საერთაშორისო ორგანიზაცია “ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის” მიერ გამოქვეყნებულ სიაში რუსეთზე უარესი მდგომარეობა მხოლოდ ფილიპინებზე, ერაყში, კოლუმბიასა და ბანგლადეშშია დაფიქსირებული.

ქვეყნების რეიტინგი, სადაც მედიისთვის არაკეთილსასურველი გარემოა შექმნილი, ხუთწლიანი კვლევის შედეგებს ემყარება. 2000 წლიდან დაწყებული პროექტი სხვადასხვა ქვეყანაში მედიის წარმომადგენელთა საქმიანობის ხელისშემშლელ ფაქტორებს სწავლობს. საგულისხმოა, რომ ზემოთ მოყვანილ ხუთეულში მოკლულ ჟურნალისტთა რიცხვი, თითქმის, უტოლდება დანარჩენ მსოფლიოში დაღუპული მედიის წარმომადგენლების ანალოგიურ მაჩვენებელს.

კომიტეტის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ჟურნალისტების უმრავლესობა თავდასხმის შედეგადაა მოკლული და არა საბრძოლო მოქმედებების დროს; მაგალითად, ბოლო 5 წლის განმავლობაში 190 ჟურნალისტიდან 121 “კილერის” ხელით დაიღუპა. ორგანიზაციის მონაცემებით, რუსეთში 7 ჟურნალისტი გახდა შეკვეთილი მკვლელობების მსხვერპლი. მათ შორის ყველაზე გახმაურებული იყო ჟურნალ "ფორბსის" რუსული გამოცემის რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის მკვლელობა.

სიაში პირველ ადგილს ფილიპინები იკავებს, შემდეგ - ერაყი, კოლუმბია და ბანგლადეში. რაც შეეხება ამ ქვეყნებში ჟურნალისტთა მკვლელობის მოტივებს - ამბოხებები, ნარკოტრეფიკინგი, სხვადასხვა სახის ორგანიზებული დანაშაულები და ხელისუფლების ორგანოების კორუმპირებულობა წამყვან ადგილს იკავებს. თითქმის, ყველა გახმაურებული მკვლელობის საერთო მახასიათებელი თავდასხმას წინმსწრები მუქარებია.

კომიტეტის ხელმძღვანელთა აზრით, ასეთ სავალალო მდგომარეობაში ბრალი, პირველ რიგში, ხელსუფლებას მიუძღვის. ”ამ ხუთი ქვეყნის ხელისუფლებების მიერ სათანადო გამოძიების ჩატარების უუნარობა, რასაც შედეგად დამნაშავეთა დაუსჯელობა მოსდევს, შესანიშნავი სტიმულია მათთვის, ვინც ძალადობით ცდილობს თავისუფალი სიტყვის ჩახშობას, - აღნიშნავს სააგენტო ბი-ბი-სი-სთან ინტერვიუში კომიტეტის ხელმძღვანელი ენ კუპერი, - ვითარება საკმაოდ რთულია, თუმცა - არა უიმედო. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ საქმე ეხება არამხოლოდ მოკლულთა უფლებების დაცვას, არამედ საზოგადოების უფლებას, მიიღოს სრული ინფორმაცია. ჟურნალისტები ვერ იმუშავებენ ძალადობისა და დაუსჯელობის ატმოსფეროში”. კუპერის სიტყვებით, ჩამოთვლილი ხუთი ქვეყნის ხელმძღვანელობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გასახსნელად.

*24 საათი*

# საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის განცხადება

**საზოგადოებრივ (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, დამატებითი საკონკურსო პირობების დადგენისა და კონკურსის ჩატარების შესახებ**

ვაცხადებთ კონკურსს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში არსებულ შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის თბილისის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი:

| თანამდებობის დასახელება | საშტატო რიცხოვნება | თანამდებობრივი სარგო (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
|---|---|---|
| ბიუროს ადმინისტრატორი | 1 | 400 |
| ადვოკატი | 4 | 350 |

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის ზესტაფონის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი:

| თანამდებობის დასახელება | საშტატო რიცხოვნება | თანამდებობრივი სარგო (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
|---|---|---|
| ბიუროს ადმინისტრატორი | 1 | 300 |
| ადვოკატი | 3 | 250 |
| კონსულტანტი | 1 | 150 |

**საკონკურსო პირობები**

**ტერიტორიული ბიუროს ადმინისტრატორის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება (სასურველია მართვისა და მენეჯმენტის სფეროში;)
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ორგანიზატორული ჩვევები;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- სასურველია გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა ტესტირება.

**ტერიტორიული ბიუროს ადვოკატის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება
- სასურველია ჰქონდეს საადვოკატო საქმიანობის გამოცდილება სისხლის სამართლის საქმეებზე;
- ჰქონდეს გუნდური მუშაობის უნარი;
- ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს;
- **სასურველია** გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

**ტერიტორიული ბიუროს კონსულტანტის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს;
- ჰქონდეს გუნდური მუშაობის უნარი.

**საზოგადოებრივ (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში არსებული ვაკანტური თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:**

- წერილობითი განცხადება სამსახურის უფროსის სახელზე;
- ავტობიოგრაფია (**CV**);
- უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები;
- სამოტივაციო წერილი (თქვენი აზრით რატომ შეესაბამებით აღნიშნულ თანამდებობას)
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (თუკი ვაკანსიის საკონკურსო პირობა ამას ითვალისწინებს):
- ორი სარეკომენდაციო წერილი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ორი ფოტოსურათი.

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი ჩატარდება ტესტირების, ხოლო მეორე - გასაუბრების ფორმით.

ტესტირება ტარდება წერილობითი ფორმით. ტესტი შედგება 50 შეკითხვისაგან და 3 კაზუსისგან. თითოეულ კითხვაზე გაცემული სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით, ხოლო თითოეული კაზუსი - 10 ბალიანი სისტემით.

კონკურსანტის ამოცანაა ტესტის 4 სავარაუდო პასუხიდან აირჩიოს ერთი სწორი პასუხი და სათანადი აღნიშვნა დაიტანოს სწორი პასუხების ფურცელზე.

ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი.

ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0, ხოლო მაქსიმალური 80 ქულა.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) გამსვლელ კონკურსანტთა რაოდენობა განისაზღვრება სამსახურში არსებული ვაკანტური თანამდებობების ოთხმაგი ოდენობით.

გასაუბრებაზე მიწვეულ იქნებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც ტესტირების შედეგად დააგროვებენ ქულების მეტ რაოდენობას დადგენილი წესით, მაგრამ არანაკლებ ქულების მაქსიმალური ოდენობის 75%-ისა.

ტესტირების ეტაპის ჩასაბარებლად კონკურსანტს ეძლევა 3 ასტრონომიული საათი.

კომისია ტესტირების შედეგებს გამოაქვეყნებს ტესტირების ჩატარებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

ტესტირების ჩატარების თარიღი და ადგილი ეცნობებათ კონკურსანტებს 16 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (თბილისი, გრიბოედოვის ქ.19) და ქ. ზესტაფონის გამგეობის (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. 11) შენობაში შესაბამისი განცხადების საჯაროდ გამოცხადების გზით.

თბილისის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე განცხადებები მიიღება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში (ქ. თბილისი, გრიბოედოვის 19) **27 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით**, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა **14.00-დან 17.00 საათამდე**.

ზესტაფონის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობეზე განცხადებები მიიღება ქ. ქუთაისის "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ოფისში (ნინოშვილის ქ. N3) **27 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით**, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა **14:00-დან 17.00 საათამდე**.

## ორი სიტყვით

**ესპანეთი.** ესპანეთის პარლამენტის ხუთკაციანი დელეგაცია თეირანში 3 მაისს ჩავიდა. ეს ირანისა და ესპანეთის ურთიერთობების ისტორიაში პირველი შემთხვევაა. ესპანეთის პარლამენტის უშიშროების კომიტეტის წევრები ირანელ კოლეგებთან ერთად ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხებს განიხილავენ. როგორც ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში იუწყებიან, უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ირანთან ერთობლივი ხელშეკრულების პროექტზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა.

გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ირანის ხელისუფლებამ მოწვევა უკვე ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ხოსე ანტონიო ალონსოსაც გაუგზავნა. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამ ვიზიტის ფარგლებში მოეწერება ხელი ანტიტერორისტულ შეთანხმებას. რაც შეეხება ვიზიტის თარიღს, საბოლოო რიცხვზე მხარეები ჯერ არ შეთანხმებულან.

ესპანელ ანალიტიკოსთა შეფასებით, ირანთან ურთიერთობების აქტივიზაცია, აშშ-ს მხრიდან გაფრთხილებების მიუხედავად, უდავოდ მიუთითებს ორი ქვეყნის პოზიციების დაახლოებაზე, რასაც არც ოფიციალური მადრიდი უარყოფს და ირანს “მეგობრულ სახელმწიფოს” უწოდებს. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**სომალი.** გუშინ სომალის დედაქალაქის ერთ-ერთ საფეხბურთო მოედანზე აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად, წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა ხუთი და დაიჭრა ათეულობით ადამიანი. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლის დროს, სავარაუდოდ, ყუმბარა აფეთქდა. თავად პრემიერ-მინისტრი ალი მუჰამედ გედი უვნებლად გადარჩა.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრად დანიშნეს, გედი პირველად ჩავიდა ქვეყნის დედაქალაქში. შეგახსენებთ, იმის გამო, რომ სომალის დედაქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ქალაქად ითვლება, ქვეყნის დროებითი მთავრობა მეზობელი კენიის დედაქალაქში - ნაირობიში ფუნქციონირებს. თუმცა, დონორი-ქვეყნები მის სომალიში სასწრაფო დაბრუნებას მოითხოვენ.

საგულისხმო ფაქტია - პრემიერ-მინისტრმა აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე განაცხადა, რომ მთავრობა მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდება მოგადიშოში, რაც იქ უსაფრთხოების მოთხოვნები სრულად იქნება დაკმაყოფილებული. **ბი ბი სი**

■ ■ ■

**ევროპა.** ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის გიუნტერ ფერჰოიგენის თქმით, მეორე მსოფლიო ომის დასრულება ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის ახალი ოკუპაციის დასაწყისს ნიშნავდა. “ჩვენ არ შეგვიძლია მე-20 საუკუნის ისტორიის ხელახლა გადაწერა. ესტონეთისა და ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებისთვის მეორე მსოფლიო ომის დასრულება, გათავისუფლებას კი არა, ახალი ოკუპაციის დასაწყისს ნიშნავდა,” - განაცხადა ფერჰოიგენმა ორი დღის წინ ესტონეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას. **ინტერფაქსი.**

■ ■ ■

**ჩინეთი.** ოფიციალური პეკინი ტაივანის პრეზიდენტთან ჩენ შუი ბიანთან მოლაპარაკებას არ გამართავს, ვიდრე მისი პარტია კუნძულის დამოუკიდებლობის პუნქტს წესდებიდან არ ამოიღებს. ამის შესახებ გუშინ ჩინეთის კომპარტიის მაღალჩინოსანმა ვან ძაისიმ პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელიც ჩინეთში ტაივანის ოპოზიციური გომინდანის პარტიის ლიდერის ლიან ჩანის ვიზიტის დასრულებას მიეძღვნა. გარდა ამისა, პეკინი ჩენ შუიბიანის მთავრობისგან 1992 წელს მიღებული ერთიანი ჩინეთის დეკლარაციის აღიარებას მოითხოვს, რომელშიც ნათქვამია, რომ კუნძული და კონტინენტი ერთი სახელმწიფოა. გუშინვე ჩენ შუი ბიანმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ჰუ ძინტაო კუნძულზე მიიწვია და განაცხადა, რომ ასეთი ვიზიტი, უთუოდ, ხელს შეუწყობს ჩინეთსა და ტაივანს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ტაივანის პრეზიდენტმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მის ადმინისტრაციასთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყებისკენ ჯერ კიდევ კვირას მოუწოდა. მან განაცხადა, რომ პეკინს ხალხის მიერ არჩეულ ლიდერთან უნდა ჰქონდეს კონტაქტები. ჩენ შუი ბიანმა ჩინეთის ლიდერს პირადი წერილიც გაუგზავნა.

ტაივანის მმართველი, დემოკრატიული, პროგრესული პარტია ჩინეთისგან კუნძულის ფორმალური დამოუკიდებლობის იდეით გამოდის, იმ დროს, როცა პეკინი მას საკუთარ მეამბოხე პროვინციად თვლის. გომინდანის ნაციონალური პარტია კი, პირიქით - ორი ჩინეთის გაერთიანების მომხრეა, იმ პირობით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დემოკრატია განვითარდება. **ინტერპრესი**

# პრივატიზაციის მეორე ტური

*უახლოეს ერთ თვეში კიდევ ოთხი მსხვილი სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციის პროცესი უნდა დასრულდეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ მიმართ ინტერესს რამდენიმე სერიოზული, როგორც ქართული, ასევე უცხოური ბიზნეს-ჯგუფი გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანის ვინაობა ამ დროისთვის მკაცრად არის გასაიდუმლოებული, "24 საათმა" პოტენციური მყიდველების ვინაობის დადგენა მაინც მოახერხა. ვინ გახდება სს "აზოტის", სს "ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხნის", "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნისა" და "ბათუმის ნავთობბაზის" ახალი მფლობელი, ეს, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს გაირკვევა.*

ეთერ მამულაშვილი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ამ ოთხ მსხვილ ობიექტზე – "ინტერესთა გამოხატულების შესახებ" გამოცხადებულ კონკურსში განცხადებების მიღების ვადა გუშინ საღამოს ამოიწურა. მეხუთე მათგანზე - სს "რუსთავის მეტალურგიულ კომბინატზე" კი ვადა კიდევ ერთი თვით, 2 ივნისამდე გაგრძელდა.

ოთხივე საწარმოს პრივატიზაციის პროცესის დასრულება მაისის ბოლომდე არის დაგეგმილი. სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ეს პროცესი გამჭვირვალე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება. "უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის", როგორც ამას სამინისტროში ამბობენ, ამ ობიექტების გაყიდვის შესახებ განცხადება, დაახლოებით ორი თვის წინ, საქართველოს ხელისუფლებამ, ქართული პრესის გარდა, ბრიტანულ ყოველდღიურ გამოცემაში Financial Times-ში დაბეჭდა, რაც ეკონომიკის სამინისტროს 8000 ფუნტი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

უშუალოდ ოთხი მსხვილი საპრივატიზებო ობიექტის გაყიდვის წინ, "24 საათი" ამ საწარმოებში დღეისათვის არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვას გთავაზობთ:

### "აზოტი" შესაძლოა "იტერას" ვალებში გაიქვითოს

რა წილს ფლობს სახელმწიფო ამ სააქციო საზოგადოებაში და რა ნაწილის გაყიდვას აპირებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო? ეს ის კითხვებია, რაზედაც ჟურნალისტებისთვის პასუხის გაცემა სამინისტროში ყველაზე მეტად უჭირთ, უფრო სწორად კი, თავს არიდებენ. საქმე ისაა, რომ "აზოტი" 2002 წელს, მაშინდელმა პრეზიდენტმა პირდაპირი მიყიდვის წესით ერთხელ უკვე გაყიდა. მყიდველმა, ცნობილმა რუსულმა კომპანიამ "იტერამ" სს "აზოტის" აქციების 90 პროცენტში მეტად სიმბოლური ფასი - 500 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. ამავდროულად, "იტერას" მკაცრად დაევალა მომდევნო ორ წელიწადში იმ ბიზნეს-გეგმის სრულად განხორციელება, რაც ხელისუფლებას თავად წარუდგინა.

მოგვიანებით, "იტერას" ეს ვადა კიდევ ერთი წლით, 2005 წლის მაისამდე გაუხანგრძლივდა. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დღეს "იტერას" ბიზნეს-გეგმის რამდენიმე პუნქტის შეუსრულებლობაში ადანაშაულებს და აქციების უკან დაბრუნებას სთხოვს.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, "აზოტმა" საკუთარი წილი სამინისტროს უკვე "დაუთმო". ამ ინფორმაციის სარწმუნოობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ "იტერამ" განაცხადი "აზოტის" შესყიდვაზე სამინისტროში ერთ-ერთმა პირველმა წარადგინა. სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლებას "იტერას" მიმართ 125 მილიონდოლარიანი დავალიანება დაუგროვდა. არ არის გამორიცხული, რომ "აზოტი" "იტერას" ვალებში მეორედაც გაიქვითოს. როგორც საქართველოში "იტერას" წარმომადგენელმა თამაზ პატარიძემ "24 საათს" განუცხადა, "აზოტის" სანაცვლოდ, რუსული კომპანია მზად არის, საქართველოს მხარეს "იტერას" მიმართ ყველა ვალდებულება ერთი ხელის მოსმით ჩამოაწეროს და, დამატებით, ბიუჯეტში 5 მილიონი აშშ დოლარიც გადაიხადოს.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, "იტერას" გარდა, "აზოტით" კიდევ ექვსი ბიზნეს-ჯგუფი დაინტერესდა. ესენი არიან: საინიციატივო ჯგუფი "შევუნარჩუნოთ აზოტი საქართველოს", ყაზახური "დალატრანსი", ბრიტანული "ფრანკ ოილი", რუსული "სელედი", ქართული "ენერჯ ინვესტი" და ქართულ-თურქული შპს "მუხტი".

"აზოტის" საწესდებო კაპიტალმა, ბოლო მონაცემებით, 27 755 160 აშშ დოლარი შეადგინა. საწარმო 196 ჰექტარ მიწის ფართზეა განლაგებული. ამ დროისთვის, სს "აზოტში" დასაქმებულთა რაოდენობა 3 ათასს ოდნავ აღემატება, რომელთა საშუალო ხელფასიც 250-300 ლარამდე მერყეობს.

საწარმო, ბოლო რამდენიმე წელია, მუშაობას ზარალით ასრულებს. შარშან მისმა ზარალმა 32 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2004 წელს საწარმოს შემოსავლებმა 37 მილიონ 500 ათასი ლარი შეადგინა, ხარჯებმა კი 70 მილიონს მიაღწია, აქედან, 5 მილიონზე მეტი ადმინისტრაციულ ხარჯებზე მოდიოდა.

გასული წლის 1 იანვრის მდგომარეობით, "აზოტს" 131 მილიონლარიანი კრედიტორული დავალიანება გააჩნდა, თუმცა, სავარაუდოა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ეს ციფრი გაიზრდებოდა. ბოლო მონაცემებით, "აზოტის" საგადასახადო ვალდებულებები 24 მილიონს ოდნავ აჭარბებს. საწარმოს ბალანსზე ირიცხება 15 მილიონლარიანი დებიტორული დავალიანებაც.

"აზოტის" მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, საქართველოს გარდა, მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზრებზე ხდება.

ერთი საინტერესო დეტალი: დღემდე "აზოტის" ბალანსზე რამდენიმე არაპროფილური ობიექტი ირიცხება, რომლის შენახვა ამ საწარმოს წლიდან წლამდე სულ უფრო ძვირი უჯდება. მაგალითად, 2003 წელს ქიმიკოსთა კულტურის სახლის შენახვაზე "აზოტმა" თითქმის 35 ათასი ლარი დახარჯა, ურეკში მდებარე პანსიონატ "მაგნეტიტზე" - 77 ათას ლარზე მეტი; ერთ წელიწადში 320 ათას ლარზე მეტი დაეხარჯა მის ბალანსზე მყოფ სპორტულ კომპლექსზე. მთლიანობაში, ამ თანხამ 459 ათასი ლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც ხსენებული ობიექტებიდან მიღებულმა მოგებამ 130 ათას ლარზე ნაკლები შეადგინა.



რუსთავის მეტალურგიული კომბინატი.

### ბათუმის ნავთობბაზაზე პრეტენზიას კოლექტივიც აცხადებს

ბათუმის ნავთობბაზა პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ ობიექტის აქციების 100 პროცენტი სახელმწიფოს მფლობელობაშია. მისი საწესდებო კაპიტალი 488 ათას ლარს შეადგენს. ნავთობბაზა 17 რეზერვუარს მოიცავს, რომლის საერთო მოცულობა 16 ათას კუბურ მეტრს აღწევს. ობიექტი 37 ათას 300 კვადრატული მეტრი მიწის ფართობზეა განლაგებული.

ნავთობბაზას 433 ათასლარიანი დებიტორული და 320 ათასლარიანი კრედიტორული დავალიანება გააჩნია. დებიტორთა შორის არიან აჭარის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, ბათუმის მერია და უმაღლესი საბჭო. დავალიანების დიდი ნაწილი ამ სტრუქტურების მიერ გატანილ საწვავზე მოდის. რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას, ნავთობბაზის გენერალური დირექტორი ჯელალ ქიქავა ამბობს, რომ მისი დიდი ნაწილი თავის დროზე არასწორად იყო დარიცხული, რის გამოც, ნავთობბაზის დღევანდელი ხელმძღვანელობა ამ თანხის გაბათილებას სასამართლოს ძალით შეეცდება. **"აბაშიძის მმართველობის დროს ნავთობბაზას არარსებული ვალები დაეწერა, რითაც აბაშიძის კლანმა და მისმა გარემოცვამ ისარგებლა. ვალის დიდი ნაწილი 2004 წლის 6 მაისამდე, ანუ, აჭარის რევოლუციამდე ერთი კვირით ადრე არის დარიცხული,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ქიქავამ.

დღეს ნავთობბაზა მხოლოდ 30-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს. ის, ძირითადად, ტრანზიტულ ტვირთს ემსახურება. ამ დროისთვისაც აქ 7000 ტონა ტრანზიტული დიზელია განთავსებული.

ნავთობბაზა არასრული დატვირთვის პირობებშიც კი მომგებიანია. შარშან ამ ობიექტის წმინდა მოგებამ 100 ლარი შეადგინა, რაც, ძირითადად, ნავთობბაზის რეინვესტირებას მოხმარდა. საგადასახადო დავალიანება ამ ობიექტს, 2005 წლის 1 აპრილის მონაცემებით, არ გააჩნია.

ამ დროისთვის ნავთობბაზაში 70 თანამშრომელია დასაქმებული, რომელთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 200 ლარს აღწევს.

ნავთობბაზის დღევანდელი ხელმძღვანელობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან ითხოვს, რომ ეს ობიექტი, პირდაპირი მიყიდვის წესით, ნავთობბაზის დღევანდელ კოლექტივს გადაეცეს. დააკმაყოფილებს თუ არა სამინისტრო კოლექტივის ამ მოთხოვნას, რთული სათქმელია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნავთობბაზით ის ბიზნესმენები არიან დაინტერესებულნი, რომლებსაც გაცილებით მეტი თანხის გადახდა შეუძლიათ, ვიდრე 70-კაციან კოლექტივს, ერთად აღებულს.

მაგალითად, ამჟამად ნავთობბაზით რამდენიმე უცხოელი ბიზნეს-კომპანიაა დაინტერესებული, მათ შორის არის მსხვილი ბრიტანული კომპანია "ვიტოლი". სხვათა შორის, ის ბათუმის ნავთობტერმინალის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კლიენტია. ტერმინალში ტვირთბრუნვის დაახლოებით 60 პროცენტი სწორედ ამ ბრიტანულ კომპანიაზე მოდის. ჯელალ ქიქავას თქმით, "ვიტოლის" გარდა, ბათუმის ნავთობბაზით რუმინელი და რუსი ბიზნესმენებიც სერიოზულად დაინტერესდნენ.

კიდევ ერთი ბიზნეს-ჯგუფი, რომელიც შესაძლოა ბათუმის ნავთობბაზაზე გამოცხადებულ საპრივატიზაციო მარათონში იყოს ჩართული, ბათუმის ნავთობტერმინალის დღევანდელი მესაკუთრე იან ბონდე ნილსენია. თუმცა, დანიელი ბიზნესმენის ინტერესი აჭარაში მხოლოდ ნავთობბაზით არ შემოიფარგლება - ის რეგიონში ნავთობბიზნესის გაფართოებას გეგმავს და აჭარაში გასაყიდად გამოტანილი მეორე მსხვილი საწარმოთიც - "ბათუმის ნვთობგადამამუშავებელი ქარხნითაც" ინტერესდება. იან ბონდე ნილსენი ამ საკითხზე, ორიოდე კვირის წინათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრსაც შეხვდა.



ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

### ნავთობგადამამუშავებელი ქარხნით ყაზახეთის პრეზიდენტის სიძე დაინტერესდა

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ყოფილ დირექტორზე ირაკლი აბაშიძეზე, უკვე რამდენიმე თვეა, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს, რის გამოც საწარმოს დოკუმენტაციის დიდი ნაწილი დღეს დაყადაღებულია.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა 49 ჰექტარ მიწის ფართობზე, ქალაქის აეროპორტიდან 9 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ქარხანას 46 რეზერვუარი გააჩნია, რომლის საერთო მოცულობა 161 ათას კუბურ მეტრს მოიცავს.

ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 100-მდე აღწევს. მათი საშუალო ხელფასი 120 ლარს შეადგენს.

საწარმოს, რომელიც, 1995 წლიდან მოყოლებული, გაჩერებულია, 10 მილიონ 676 ათასლარიანი საწესდებო კაპიტალი აქვს. ამ დროისთვის საწარმოს 3 მილიონ ლარზე ოდნავ მეტი კრედიტორული დავალიანება გააჩნია, მათ შორის, 2 მილიონ 867 ათასი საგადასახადო დავალიანებაზე მოდის. ამ ციფრების ობიექტურობას ქარხნის დღევანდელი ხელმძღვანელობა ეჭვქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ ძველი დირექტორის დროს ვალების დიდი ნაწილი ქარხანას არასწორად დაერიცხა.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას დებიტორული დავალიანებაც გააჩნია, რომლის მოცულობა, უკანასკნელი მონაცემებით, 4 მილიონ 500 ათას ლარს აღწევს.

უკანასკნელი რამდენიმე წელია, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა მუშაობას ზარალით ასრულებს. შარშან ზარალის მოცულობამ 76 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. გენერალური დირექტორის თქმით, დღეს ქარხანა, რომლის შემოსავლის ერთადერთი წყაროც იჯარით გაცემული სარეზერვუარო პარკი იყო, ფაქტობრივად, გაჩერებულია. მოიჯარე, რომელიც ქარხნის ხელმძღვანელობას, იჯარის სახით, წელიწადში 700 ათას აშშ დოლარს უხდიდა, ბათუმის ნავთობტერმინალის დღევანდელი მფლობელი, დანიური კომპანია იყო. საიჯარო ხელშეკრულების ვადა მიმდინარე წლის 1 აპრილს ამოიწურა.

სხვათა შორის, მოიჯარე დანიური კომპანიის წინააღმდეგ, დაახლოებით ერთი წლის წინათ, ქარხნის თანამშრომლებმა რამდენიმე ხმაურიანი აქცია და პრესკონფერენცია მოაწყვეს. კოლექტივი ირწმუნებოდა, რომ იან ბონდე ნილსენის კომპანია თვეების განმავლობაში ქარხნის დემონტაჟით იყო დაკავებული, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება და საწარმოს ხელმძღვანელობა მაშინ კატეგორიულად უარყოფდა. **"ქარხნის დემონტაჟი ნავთობტერმინალის ინტერესების სფეროში რამდენიმე კუთხითაა მოქცეული. გარდა იმისა, რომ ასი ათასობით ტონა ჯართთან და, შესაბამისად, დიდ თანხებთან გვაქვს საქმე, ტერმინალს ქარხნისგან არენდით ჰქონია აღებული რამდენიმე ჰექტარი მიწა იქ მდებარე რეზერვუარებით. ამისთვის, რა თქმა უნდა, ტერმინალი ქარხანას თანხას უხდის, რითაც ქარხანა, თავის მხრივ, დაახლოებით 500-მდე ადამიანს ხელფასს უნაზღაურებს. როგორც ქარხნის მუშები აცხადებენ, ტერმინალის ხელმძღვანელობას ფულის გადახდა აღარ სურს და ერთ-ერთ გამოსავლად ქარხნის ჯართში გადაძახება მიუჩნევია,"** - წერდა იმ პერიოდში ადგილობრივი გაზეთი "ბათუმელები".

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ბოლო ათი წელიწადია, გაჩერებულია და საწარმო დღეს, ფაქტობრივად, მხოლოდ ცარიელ კედლებს მოიცავს, მისით არაერთი უცხოური ბიზნეს-კომპანია დაინტერესდა. როგორც საწარმოს დირექტორი ამბობს, ამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ქარხნის სანახავად ბათუმში ჩამოსულები იყვნენ რუსი, ბრიტანელი, ყაზახი, თურქი და შვეიცარიელი ბიზნესმენები, რომლებიც ნავთობის მწარმოებელ სხვადასხვა კომპანიებს წარმოადგენენ. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნით ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის სიძეც დაინტერესდა - მან ბათუმში ჩასვლა და საწარმოს გაცნობა უკვე მოასწრო.

საინტერესო დეტალი: ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ახალი გენერალური დირექტორი ვასიკო ჯანგულაშვილი, პარალელურად, სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს თანამშრომელია. სააგენტოში ირწმუნებიან, რომ ეს ფაქტი კანონმდებლობის ფარგლებში ექცევა და ინტერესთა კონფლიქტზე საუბარი სრულიად უადგილოა.

### "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა" მეორედ იყიდება

სს. "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა" პირველად, 2002 წლის ზაფხულში, მაშინდელმა ქონების მართვის სამინისტრომ 5 მილიონ 156 ათას 955 აშშ დოლარად, კონკურსის წესით გაყიდა. საწარმოს აქციების 75 პროცენტი ქარხნის დირექტორმა ბადრი წილოსანმა შეისყიდა, 16 პროცენტი – კოლექტივმა. დანარჩენი 9 პროცენტის მფლობელად გასული წლის აგვისტომდე ისევ სახელმწიფო რჩებოდა. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ბადრი წილოსანმა შარშან ზაფხულში "კეთილი ნება" გამოიჩინა და საკუთარი წილიდან აქციების 42 პროცენტი სახელმწიფოს დაუთმო. დღეს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საწარმოს ღირებულების დასახელებისგან თავს იკავებენ, თუმცა დაახლოებით ორი თვის წინ, სამინისტროს წარმომადგენლები "24 საათთან" საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" პრივატიზაციიდან ბიუჯეტი, სულ მცირე, 3 მილიონ ლარს მიიღებს.

2005 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საწარმოს კრედიტორული დავალიანება 3 მილიონ 835 ათას 072 ლარს შეადგენდა. დაახლოებით ამდენივე (3 მილიონ 760 ათას 477 ლარი) იყო დებიტორული დავალიანება.

მსხვილ დებიტორთა შორის არიან აზერბაიჯანის სახელმწიფო რკინიგზა, შპს "ჯორჯიტა" და შპს "თი-ჯი-თრეიდი". ეს უკანასკნელი ერთადერთი კომპანიაა, რომელიც ამჟამად ს/ს "ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაზე" პრეტენზიას აცხადებს. მან სამინისტროში განაცხადი ამ რამდენიმე დღის წინ შეიტანა. სხვათა შორის, "თი-ჯი-თრეიდი" უკანასკნელი რამდენიმე წელია, ორ სხვა კომპანიასთან ერთად თურქმენეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო ვალის გასტუმრებას ემსახურება.

ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ამ დროისთვის დასაქმებულია 510 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი 185 ლარს შეადგენს. საწარმოს საწესდებო კაპიტალი კი 6 მილიონ 864 ათას 317 აშშ დოლარია.

ქარხანას, 1999 წლიდან მოყოლებული, ბიუჯეტში დივიდენდის სახით 184 ათას 160 ლარი აქვს გადახდილი. აქედან, 33 ათას ლარზე ოდნავ მეტი გასულ წელს ჩარიცხა. შესაბამისად, საწარმო მომგებიანია, თუმცა მას 1 მილიონ 840 ათას 792 ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება მაინც გააჩნია. საწარმოში აცხადებენ, რომ ეს დავალიანება სახელმწიფომ მას სამი წლით გადაუვადა, თუმცა, ეს როდის მოხდა, არ აკონკრეტებენ. საწარმო, რომლის ძირითადი საქმიანობა სამგზავრო და სატვირთო ვაგონების შეკეთება და დამზადებაა, განლაგებულია 22 ჰექტარ მიწის ფართობზე.

საწარმოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა და კოლექტივი "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" პრივატიზაციის პროცესში არ მონაწილეობს.

## "მილენიუმის" ქართული წარმომადგენლობა ამერიკიდან იმედიანად დაბრუნდა

*საქართველოსა და აშშ-ს შორის "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" ფარგლებში დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება. საქართველოს განაცხადში შესულ ოთხივე კომპონენტთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეულია და მას აშშ-ს კონგრესი, სავარაუდოდ, ივნისში განიხილავს.*

ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტის დროს, "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" დელეგაციამ აშშ მხარეს საქართველოს განაცხადის განახლებული ვერსია წარუდგინა და საპასუხოდ მოთხოვნილი დაფინანსების მაქსიმალურად დაკმაყოფილების დაპირება მიიღო.

**"აშშ "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია" საქართველოს მიერ გაწეულ მუშაობას დადებითად აფასებს და უპრეცედენტო მხარდაჭერას იჩენს,"** – აცხადებს მოლაპარაკებებიდან ახლახან დაბრუნებული "ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი ლაშა შანიძე. მისი თქმით, საქართველომ სავარაუდო დაფინანსების გაზრდა შეძლო და სამცხე-ჯავახეთის გზის აღდგენითი სამუშაოებისათვის, თავდაპირველად გათვალისწინებული 100 მილიონი დოლარის ნაცვლად, დღეს 120-125 მილიონზეა საუბარი, რაც, შესაბამისად, 250 კმ-იანი მონაკვეთის მაგივრად 310 კმ გზის დაგების საშუალებას იძლევა.

**"გარდა ამისა, მიღწეულია უპრეცედენტო შიდა შეთანხმება, რომ საქართველომ გარკვეული თანხა ხელშეკრულების გაფორმებამდე მიიღოს,"** – აცხადებს შანიძე. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ აშშ, გამონაკლისის სახით, ქართულ მხარეს ახალი - გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტის განსახილველად წარმოდგენაზეც დათანხმდა. ამ პროექტმა კორპორაციისთვის თავდაპირველად წარდგენილი, იმერეთის რეგიონში ჰესების რეაბილიტაციის პროექტი ჩაანაცვლა. **"რა თქმა უნდა, ჰესების რეაბილიტაციის პროექტს აქტუალობა არ დაუკარგავს, მაგრამ, ჰესების პრივატიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ერთი თვის წინანდელი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მისი ამოღება საქართველოს განაცხადიდან. იმისათვის, რომ საქართველოს არ დაეკარგა ენერგეტიკის კომპონენტი, აშშ-ს მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია შევთავაზეთ. ჩვენ შევძელით აშშ მხარის დარწმუნება გაზსადენის რეაბილიტაციის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაში,"** – განაცხადა შანიძემ.

დაბოლოს: სიახლეა ისიც, რომ "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდი მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების ფონდის ბაზაზე იმუშავებს. დროთა განმავლობაში, მუნიციპალური განვითარების ფონდი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობ სტრუქტურად გარდაიქმნება, რომელიც, პროექტების დაფინანსების პარალელურად, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დონორებისაგან მიღებულ ფინანსურ რესურსებს გაუწევს კოორდინირებას.

საქართველოს განაცხადზე მუშაობა უახლოესი ორი კვირის განმავლობაში დასრულდება. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი ქართულმა მხარემ აშშ-ს უკვე დასკვნითი ანგარიში უნდა წარუდგინოს.

**24 საათი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკი) "თელასის" სატარიფო განაცხადის ერთწლიანი განხილვა კრახით დასრულდა. კომისიას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ენერგომომხმარებელთა ომბუდსმენი დავით ებრალიძე პრესკონფერენციას გამართავს. როგორც ებრალიძემ განაცხადა, "თელასმა" 29 მარტს სემეკ-ში ახალი სატარიფო განაცხადი შეიტანა და ელექტროენერგიის ტარიფში თელასის განაწილების მარჟის 13.4 თეთრამდე გაზრდა მოითხოვა. მისი მარჟა დღეისათვის 6,2 თეთრია. "თელასის" ტარიფში ასახულია და კიდევ უფრო დიდი მოცულობით სურთ ასახონ ის ვალები, რომელიც AES-მა 2003 წელს ჩამოწერა და უკვე აღარ არსებობს. AES-მა ჯერ სს "თელასზე" გაცემული 210 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი ჩამოწერა და მხოლოდ ამის შემდეგ, 23 მილიონ დოლარად მიჰყიდა "რაო ეეს"-ს ქართული აქტივები ("თელასი", "მტკვარი", "ხრამი I", "ხრამი II")," - განაცხადა ებრალიძემ. მისი თქმით, "რაო ეესი" ითხოვს იმას, რაც არ ეკუთვნის, რადგან ამერიკელებმა თანხები უკვე ჩამოწერეს. **ინტერ-პრესი**


# განცხადება

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობების ბლანკების შესყიდვაზე.

### ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი N30

შესყიდვის ობიექტია:

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა ცალობით | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ბლანკი | 200000 | იუსტიციის სამინისტროს საწყობი ქ. თბილისი რუსთაველის გამზ N30 | 01 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით (არაუმეტეს მთლიანი რაოდენობის 30%-სა თვეში). |

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ბლანკი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 26 აპრილის N719 ბრძანებით დამტკიცებულ ნიმუშს. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების "განსაკუთრებით დაცული" ფორმებისა და დოკუმენტების პოლიგრაფიულ შესრულებაზე უფლებამოსილ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2005 წლის 01 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 12 მაისიდან 13 მაისის 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი N30, ოთახი N62ა **ტელ 758291**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

- ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

- ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი
კომისიის მიერ.

- ცნობას, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების
შესახებ.

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობას ქმედუნარიანობის შესახებ;

- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

- ცნობას, გაცემულს ფინანსთა სამინისტროს მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების განმხილველი კომისიის მიერ.

- ცნობას, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მინიჭების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N62ა 2005 წლის 16 მაისიდან 17 მაისის 1800.**

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსპექცია ა/ა N507121303, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300033133. აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)

სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს პირადობის მოწმობების ნიმუში შესრულებული ტენდერში მონაწილის მიერ. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. თენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთი სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს -ზაზა ჭაბუკიანს**, ტელეფონის ნომერი - 758291 რუსთაველის გამზირი 30, ოთახი N96**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

- დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

-საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ"

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შEმოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერთიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

# ვენდეტა ქუთაისურად

*ორიოდე დღის წინ ქუთაისის N2 იზოლატორისა და გეგუთის კოლონიის ყოფილი უფროსის, ამჟამად კი იმერეთის შს მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილების უფროსი ინსპექტორის, ბადრი დეისაძის მიმართ შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. დეისაძეს ცეცხლი იმ დროს გაუხსნეს, როცა ის მანქანით საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში შედიოდა.*

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

**"დაზარალებულის ცოლი და შვილი განმარტავენ, რომ დამნაშავეები ნიღბების გარეშე იყვნენ. ძმები დავით და ირაკლი ქუთათელაძეები მოწმეების მიერ დანაშაულის დროს არიან დაფიქსირებულები; უფრო მეტიც, ცოლმა დაუძახა ერთ-ერთ მათგანს - დათო, არ ესროლოო",** - "24 საათთან" საუბარში განაცხადა იმერეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსმა გია კაჭარავამ.

სროლის შედეგად ბადრი დეისაძე მძიმედ დაშავდა. იმერეთის სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. თუმცა, ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა კვლავაც კრიტიკულია.

იმერელმა სამართალდამცველებმა ინციდენტის შემდეგ საგამოძიებო მოქმედებები დაიწყეს. ცხელ კვალზე მათ დამწვარ მანქანას მიაგნეს, რომლითაც ბოროტმოქმედები გადაადგილდებოდნენ. ამის შემდეგ კი, დაზარალებულის მეუღლის ჩვენების საფუძველზე, აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილი დავით და ირაკლი ქუთათელაძეები დააკავეს.

**"2 მაისს, დაახლოებით, 4 საათზე პოლიციის თანამშრომლებმა მიაკითხეს ძმებ ქუთათელაძეებს და ჩაატარეს მათი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, საიდანაც ვერანაირი ნივთმტკიცება ვერ ამოიღეს. ამის შემდეგ მათ სთხოვეს, რომ წაჰყოლოდნენ პოლიციაში, რათა მიეცათ ჩვენება. თავდაპირველად დათო ქუთათელაძემ გამოიყენა დუმილის უფლება, რადგან ადვოკატს ელოდა, ხოლო ირაკლიმ მისცა ჩვენება, რის შემდეგაც მოხდა მისი გათავისუფლება. ის წავიდა სახლში, შემდეგ ისევ დაბრუნდა და მე გავუწიე რეკომენდაცია, რომ დარჩენილიყო ბოლომდე, რათა ხელახლა დაეკითხათ, თუკი საჭიროება მოითხოვდა. ასეც მოხდა - ირაკლი ხელახლა დაიკითხა, რის შემდეგაც ის დააკავეს. ეს იყო ღამის 11 საათის შემდეგ; ასევე, დაიკითხა მესამე პიროვნება - გიორგი კოღუაშვილი, რომელიც ქუთათელაძეების მეგობარია, მაგრამ ის არ დაუკავებიათ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ, როცა პროკურატურა წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა და ირაკლი ქუთათელაძე და გიორგი კოღუაშვილი დაკავებულები არ იყვნენ, გამოვიდა იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი გია კაჭარავა ტელევიზიით და კომენტარი გააკეთა, - საქმე გახსნილია, დაკავებულია სამი დამნაშავე - კრიმინალური წარსულის მქონე პირები, რომლებმაც დანაშაული აღიარესო. თუმცა, დანაშაული არც ერთ მათგანს არ უღიარებია და მათ არც კრიმინალური წარსული აქვთ. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ დავით ქუთათელაძეს ჰქონდა ნასამართლობა, რომელიც გაქარწყლებულია",** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში სახალხო დამცველის რწმუნებულმა იმერეთში გიორგი მშვენიერაძემ.

**"მე კომენტარი მათი დაკავების შემდეგ გავაკეთე. როცა პროკურატურა მიიღებს დაკავების გადაწყვეტილებას, ეჭვი რატომ უნდა გაჩნდეს? ეს დანაშაული თავიდანვე კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი იყო, იმიტომ, რომ მანქანა და ნომრები თბილისიდან იყო მოპარული. დანაშაულის მერე კი მანქანა დაწვეს, რითაც ყველა სამხილი გაანადგურეს,"** - აცხადებს გია კაჭარავა.

აღნიშნული დანაშაულის მიზეზის გარკვევის მიზნით, გამოძიება ერთ ვერსიაზე მუშაობს, რომელიც დეისაძესა და ქუთათელაძეებს შორის სადავო თანხას, ვალს უკავშირდება. სინამდვილეში კი, ამ ორ მხარეს შორის დაპირისპირების მიზეზი საგამოძიებო უწყებებში რამდენიმე თვის მანძილზე დაკონსერვებული ერთ-ერთი საქმეა, რომელიც დეისაძის მხრიდან ქუთათელაძეების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს ეხება. შეხლა-შემოხლა ავტოავარიას მოჰყვა, რომლის დროსაც ირაკლი ქუთათელაძის მანქანა დაზიანდა. ქუთათელაძეებმა მეორე მხარისაგან მანქანის შეკეთება მოითხოვეს. ე.წ. "რაზბორკის" დროს, ქუთათელაძეების თქმით, მათთან მივიდა ორი შეიარაღებული პირი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ბადრი დეისაძის ძმისშვილი ბაჩანა აფულავა. "საქმის გარჩევა" ცემა-ტყეპაში გადაიზარდა.

**"ჩვენ დათო ქუთათელაძემ 2005 წლის დასაწყისში მოგვმართა განცხადებით, სადაც აცხადებდა, რომ მას და მის ძმას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ბადრი დეისაძემ და დეისაძის ძმისშვილმა - ვინმე ბაჩანა აფულავამ. ამის შემდეგ ჩვენს მიერ მოხდა ამ საქმის შესწავლა",** - აცხადებს გიორგი მშვენიერაძე.

როგორც გაირკვა, სახალხო დამცველის ოფისის გარდა, აღნიშნულ საქმეს ქუთაისის სამართალდამცველ უწყებებშიც იკვლევდნენ. თუმცა, გამომძიებელი თამაზ გაბუნია საქმეს მას შემდეგ ჩამოაშორეს, რაც მის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული იქნა ის იარაღი, რომლის კონდახითაც დავით ქუთათელაძეს სცემეს.

**"ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, რომ ეს ადამიანი საქმიდან ჩამოაშორეს არა იმიტომ, რომ ტენდენციური გამომძიებელი იყო, არამედ იმიტომ, რომ შეიძლება ვიღაცის ინტერესებს ზედმეტად შეეხო. დავით ქუთათელაძემ შიმშილობა გამოაცხადა, რადგან თვლის, რომ კონკრეტული ძალების მსხვერპლია. როგორც ქუთათელაძე ამბობს, ბადრი დეისაძეს ის ყოველთვის სამართლებრივი მეთოდებით ებრძოდა",** - აცხადებს სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთში.

გამოძიებას ქუთათელაძეების სასამართლოსთვის გადასაცემად და წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შესაფარდებლად 48-საათიანი ვადა დღეს ეწურება. უკვე მეორე დღეა, პროტესტს არ წყვეტენ დაკავებულების ახლობლები, რომელთა თქმით, ქუთათელაძეები უდანაშაულონი არიან. იმერეთის პოლიციის უფროსის მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტი კი მათ ჟურნალისტების შეურაცხყოფით გააპროტესტეს. ტელეკომპანია "მზის" კორესპონდენტს დაკავებულების ახლობლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა ქუთაისის შს სამმართველოს N1 განყოფილების ეზოში მიაყენეს, როცა ის მათ აქციას იღებდა. დაზარალებული ჟურნალისტი ამბობს, რომ მისი ცემის ფაქტის უშუალო თვითმხილველია "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორი იმერეთში გოჩა ჩხეტია, რომელსაც, აღნიშნულის გამო, პროტესტი არ გამოუხატავს; ასევე, ჟურნალისტის თქმით, ინციდენტის გასანეიტრალებლად რეაგირება არც იქვე, შენობაში მყოფ პოლიციელებსა და იმერეთში სახალხო დამცველის რწმუნებულს მოუხდენიათ. ამის გამო, ქუთაისელი ჟურნალისტების ერთმა ნაწილმა წერილით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, "თავისუფლების ინსტიტუტის" თავმჯდომარეს, შს მინისტრსა და გენერალურ პროკურორს, რომლებისგანაც ფაქტის კომენტირებასა და ჟურნალისტის შეურაცხყოფაზე შესაბამის რეგირებას მოითხოვენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ, "საბაჟო წესის დარღვევის" მუხლით, მოქალაქე ომარ ალიევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ალიევმა აზერბაიჯანიდან საქართველოში, "წითელი ხიდის" გავლით, დიდი ოდენობით კვების პროდუქტები შემოიტანა. საბაჟო სამსახურში მან განაცხადა, რომ ტვირთი აზერბაიჯანიდან რუსეთში მიჰქონდა და საქართველო მხოლოდ ტრანზიტად უნდა გამოეყენებინა, რითაც იმპორტის საბაჟო გადასახადი თავიდან აიცილა. ფინანსურმა პოლიციამ ომარ ალიევის მიმართ ოპერატიული ღონისძიებები განახორციელა (ფარული ვიდეოგადაღება და მეთვალყურეობა) რითაც დადასტურდა, რომ მან პროდუქცია თბილისში, დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოტვირთა და გარდაბნის რაიონში, თავის საცხოვრებელ სახლში დაბრუნდა.

გამოძიებას ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გარდაბანში ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი პირები დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, დაკავებულია აზერბაიჯანის მოქალაქე ჯეიჰუნ ისაევი და გარდაბნში მცხოვრები იდაად ალიევი. სამართალდამცველებმა ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება - 200 გრამი ჰეროინი ამოიღეს. კანონის თანახმად, ნარკოტიკების რეალიზაცია 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ფოჩხათში მცხოვრები გია აფშილავა და ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში მცხოვრები ჯაბა მახარაძე, რომლებმაც სოფელ ბახვიდან გაიტაცეს ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში მცხოვრები სიმონ ვასაძის ავტომანქანა "ფიატი". ავტომანქანა ამოღებულია. **მედიანიუსი**




## საქართველოს ლიტვის იუსტიციის მინისტრი ეწვევა

დღეს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ლიტვის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი გინტუტას ბუზინსკასი.

ვიზიტის მიზანია საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების გაცნობა, გამოცდილების გაზიარება და ორ ქვეყანას შორის სამართლებრივ სფეროში ურთიერთობის გაღრმავება.

გინტუტას ბუზინსკასი შეხვედრებს გამართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრ კონსტანტინე კემულარიასთან, საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ხელმძღვანელ სილვი პანცთან, საქართველოს სახელმწიფო მდივანთან ევროატლანტიკის ინტეგრაციის დარგში გიორგი ბარამიძესთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკან დავით კერესელიძესთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილთან.

ვიზიტისას საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროებს შორის გაფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საერთაშორისო ვიზიტებს კვლავ აგრძელებს. ამჯერად იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკატერინე ტყეშელაშვილი ჰააგაში მონაწილეობას იღებს ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით ორგანიზებულ კონფერენციაში, რომლის მიზანია, წარადგინოს პირველი მოხსენება - ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სასამართლო სისტემის შეფასება.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, საკონფერენციო მოხსენება სამართლის ეფექტიანობის შესახებ მოამზადა ევროპულმა კომისიამ (CEPE). აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ევროპის მასშტაბით პირველად გაკეთებულ ანგარიშს, სადაც დეტალურად არის შეფასებული ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სამართლებრივი სისტემები.

ამასთან, კონფერენციაზე უნდა განისაზღვროს სამართლებრივი სისტემების რეგულარული შეფასების მეთოდები. კონფერენციამ მუშაობა 2 მაისს დაიწყო. ღონისძიება გახსნეს - ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ და ნიდერლანდების იუსტიციის მინისტრმა.

*24 საათი*

## სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტთა მოთხოვნა უკანონოდ ცნეს

სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტებმა შიმშილობის შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს და საკუთარი სიმართლის დამტკიცება უკვე კანონის ძალის სცადეს. თუმცა, სტუდენტთა მცდელობა ამჯერადაც უშედეგო აღოჩნდა. ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტების სარჩელი განსახილველადაც არ მიიღო.

მოსარჩელეები მოითხოვენ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის რამდენიმე პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას; კერძოდ, სტუდენტები კანონის მე-2 მუხლის იმ პუნქტს აპროტესტებდნენ, სადაც სტუდენტის ცნებაა განმარტებული - ანუ "სტუდენტი არის პირი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის წესით ჩაირიცხა".

მოსარჩელეთა მე-2 მოთხოვნა ამავე კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის იმ ნაწილის გაუქმება იყო, რომლის თანახმად, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უფლება მხოლოდ ერთიან ეროვნულ გამოცდაგავლილ აბიტურიენტს აქვს. სტუდენტები ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევენ ამ ნორმას, რადგან თვლიან, რომ უმაღლეს სასაწავლებელში სწავლის უფლების მინიჭება მხოლოდ ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე არ უნდა ხდებოდეს. ამავე სარჩელის თანახმად, უმაღლეს სასაწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება მხოლოდ აბიტურიენტს აქვს. აბიტურიენტი კი არის ის პირი, რომელსაც საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აქვს. "სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებს ამგვარი საბუთი არ გააჩნიათ, რადგან მათ ცხრა კლასის განათლების მიღების შემდეგ სწავლა კოლეჯში განაგრძეს", - ნათქვამია სარჩელში. როგორც სტუდენტების ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, სასამართლომ დღევანდელ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლების მინისტრ ალექსანდრე ლომაიას ბრძანება დაუდო საფუძვლად, რომლის თანახმად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ.

აღნიშნული ბრძანების მიხედვითვე, საკონტიტუციო სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ სტუდენტებს სადავო არაფერი აქვთ, რადგან მათ ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის უფლება ისედაც ენიჭებათ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება.

*24 საათი*

## ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლები დანაშაულში ამხილეს

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ ისანი-სამგორის გამგეობის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო ქონების არაერთგზის გაფლანგვისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულ სამმართველოში შესული ინფორმაციის თანახმად, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვები მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელდა. მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამგეობამ შპს "სიონთან" გააფორმა ხელშეკრულებები კახეთის გზატკეცილზე მდებარე სკვერის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის შესახებ. შპს "სიონს" გამგეობამ 6600 ლარის ოდენობით დღგ-ს ღირებულებაც გადაურიცხა. თუმცა, ფინანსურმა პოლიციამ გაარკვია, რომ ეს ფირმა იმ პერიოდში დღგ-ს გადამხდელი საერთოდ არ იყო.

ამას გარდა, არსებობდა ეჭვი, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და გაწეული ხარჯები ხელოვნურად იყო გაზრდილი. ამის გამო, ფინანსურმა პოლიციამ სამუშაოების შემოწმება "საქექსპერტიზას" დაავალა. ექსპერტიზის შედეგად კი გაირკვა, რომ აქტებში ჩაწერილია 1 600 ლარით ზედმეტი თანხა და უფრო მეტი სამუშაო, ვიდრე რეალურად არის შესრულებული. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

____________________________________________

____________________________________________

____________________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი ....................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ....................................

საკონტაქტო ტელეფონი ....................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გამოკითხვა

## რას ფიქრობთ გალის რაიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღების თაობაზე?

**ბიჭიკო ზაკუტაშვილი**, ეკონომისტი, 63 წლის: "თავისუფალი ეკონომიკური ზონა ნიშნავს, რომ იქ გადასახადების შეღავათიანი რეჟიმი მოქმედებს და შეიძლება, გადასახადები საერთოდაც გაუქმდეს. გარდა ამისა, სახელმწიფო აძლევს შეღავათიან სესხებს იმ ბიზნესმენებს, ვინც იმ ზონაში ფულის ჩადებას მოინდომებს. ასე რომ, დაინტერესება აფხაზების მხრიდანაც იქნება და ქართველების მხრიდანაც, გაჩნდება საერთო ბიზნესი, საერთო ინტერესები. ქართველებს და აფხაზებს ბიზნესის დარგში საერთო ინტერესი კი ჰქონდათ ამ ბოლო წლებში, მაგრამ ეს ურთიერთობები არალეგალური და, ამდენად, უკანონო იყო. თუ ეს ყველაფერი ლეგალური გახდება და საერთო ეკონომიკური ინტერესები გაჩნდება, შერიგების პროცესის დაწყებას ეს ნამდვილად ხელს შეუწყობს."

**ლელა ხუნდაძე**, ფსიქოლოგი, 40 წლის: "თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ალბათ, იქნება ბიძგი კონფლიქტის დარეგულირებისათვის. მეორე მომენტია, რომ, სანამ უსაფრთხოების სრული გარანტია არ იქნება, მიუხედავად საგადასახადო შეღავათებისა, არც ერთი ბიზნესმენი იქ ფულს არ ჩადებს. თავის მხრივ, იქ განხორციელებული ინვესტიციები გალის რაიონში უსაფრთხოების გარანტი გახდება და მოსახლეობაც ამოისუნთქავს."

**გურამ კორძაია**, ინჟინერი, 49 წლის: "გალის რაიონი იმდენად პატარა მონაკვეთია, რომ იქ ახალი ბიზნესისათვის ადგილი არ არის. უბრალოდ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღების შემდეგ ის ბიზნესები, რაც იქ სხვადასხვა დაჯგუფებებსა და ფორმირებებს აქვთ, "გაპრავდება", რაც, თავისთავად, ცუდი არ არის, რადგანაც სახელმწიფოს რეალური სურათი ექნება. გარდა ამისა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა მხოლოდ ორმხრივი შეთანხმებით შეიძლება იქნას შემოღებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული და აფხაზური მხარეები რაღაცაში მაინც გამონახავენ საერთო ენას და ეს ფაქტი, თავისთავად, კარგია."

**მარიამ ელაშვილი**, ჟურნალისტი, 37 წლის: "თუ გალის რაიონში ეს პროცესები გამჭვირვალედ და კანონის დაცვით წარიმართება, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღება მისასალმებელია. ჩამკვდარ-გაპარტახებულ გალს ეგებ რაღაც ეშველოს და ხალხის მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს. მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს - თუ ოდესმე ჩვენი ურთიერთობების აღდგენას მოვახერხებთ, ეს უნდა მოხდეს სუფთად, პატიოსნად და ჯანსაღად, და ამ ურთიერთობებში არანაირი სიცრუე და უსინდისობა არ უნდა იყოს (საერთო კრიმინალური ინტერესები, ფულის გათეთრება და სხვა), რადგან ეს ყველაფერი ოდესმე მაინც ცუდად მოგვიბრუნდება, ბუნებაში ხომ არაფერი იკარგება."

**პაკო ლორია**, აფხაზეთიდან დევნილი, 19 წლის: "მეშინია, არ გამართლდეს ხმები იმის შესახებ, რომ აფხაზები თანახმანი არიან, გალის რაიონი საქართველოს იურისდიქციაში დააბრუნონ, თუ სანაცვლოდ დამოუკიდებლობას მიიღებენ. ამიტომ არ მომწონს, როდესაც რაღაც საკითხში მარტო გალის რაიონზე ლაპარაკობენ და გალს აფხაზეთიდან აცალკევებენ, - მერე რა, რომ იქ უმრავლესობა ქართველია. გალი ისევე არის აფხაზეთი და საქართველოს ტერიტორია, როგორც სოხუმი და გაგრა."

# კონსტრუქციული დიალოგი

ზაზა ფაჩუაშვილი

*23-28 აპრილს ოქსფორდში გაიმართა ქართულ-აფხაზური შეხვედრების ციკლის მე-14 სემინარი-დიალოგი, რომელშიც ორივე მხარის მაღალი თანამდებობის პირები, პოლიტიკოსები და ექსპერტები მონაწილეობდნენ. შეხვედრათა ეს ციკლი განსაკუთრებული ფორმატით გამოირჩევა. მონაწილეებს არ შეუძლიათ, ჟურნალისტებთან ოპონენტი მხარის ციტირება მოახდინონ, რაც შეუზღუდავი დიალოგის წინაპირობაა. იმის მიუხედავად, რომ ადრე ძალიან დაძაბული საუბარიც ყოფილა, ბოლო დიალოგი ძალიან კონსტრუქციულიც გამომდგარა. როგორც შეხვედრების მუდმივმა მონაწილემ, ექსპერტმა პაატა ზაქარეიშვილმა გვითხრა, აფხაზური მხარის ქცევაში აშკარა ცვლილებები შეიმჩნეოდა და, რაც მთავარია, რუსეთისაგან დისტანცირება იგრძნობოდა. ჯერ გთავაზობთ ოფიციალურ პრეს-რელიზს, ხოლო შემდეგ - პაატა ზაქარეიშვილის მცირე კომენტარს.*



*2002 წლის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ კოტე კემულარია, ჭემალ გამახარია, აკაკი ასათიანი და სხვები. ცენტრში, პაატა ზაქარეიშვილის უკან ხედავთ სტანისლავ ლაკობას.*

### პრეს-რელიზი

აღნიშნული ციკლის მიზანია თავისუფალი ფორუმის შექმნა, რომლის ფარგლებში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ, რეალობის გათვალისწინებით განიხილონ და გააანალიზონ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები. აღნიშნული ფორმატი არაფორმალური და არაოფიციალური ხასიათისაა და, ამდენად, გადაწყვეტილების მიღება არ ხდება.

შეხვედრის მონაწილენი საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებზე მსჯელობდნენ. აღინიშნა, რომ ამ ცვლილებების ფონზე კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პოტენციური შესაძლებლობა ჩნდება. თუმცა, მრავალი ძველი პრობლემაც გადაუჭრელია.

გამოითქვა შეშფოთება სტატუს-კვოს შენარჩუნებასთან დაკავშირებით და აღინიშნა, რომ კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა და პოზიტიური დინამიკა. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ცვლილებას შეიძლება უარყოფითი შედეგიც მოჰყვეს, მხარეებმა იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი რისკის მინიმუმამდე დაყვანა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხარეების ქმედება და მასზე რეაგირება უარყოფითად მოქმედებს კონსტრუქციულ დიალოგზე. ამის შედეგია მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის არარსებობა, ძალის გამოყენების მუქარა, ეჭვიანობის ზრდა, ურთიერთპრობლემების აუღიარებლობა, რაც საბოლოო ჯამში, პროგრესს აფერხებს. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს კონკრეტული ნაბიჯები იმისათვის, რომ აღნიშნულ ტენდენციებს ბოლო მოეღოს.

სემინარს დაესწრო დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში სერ ბრაიან ფოლი, რომელმაც მოკლედ ჩამოაყალიბა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ქვეყნების პოზიცია. ხაზი გაუსვა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ მეგობარი ქვეყნები მზად არიან, დაეხმარონ კონფლიქტით დაზარალებულ პირებს. ასევე ისაუბრა დევნილების დაბრუნების პროცესის მნიშვნელობაზე.

სემინარი მიმდინარეობდა კონსტრუქციული დიალოგის ატმოსფეროში და გაჩნდა იმედი, რომ ეს ფაქტორი ხელს შეუწყობს მხარეებს შორის დიალოგის კულტურის განვითარებას.

აფხაზური მხრიდან სემინარში მონაწილეობდნენ გურამ გუმბა, მანანა გურგულია, ინალ ხაშიგი, რუსლან ქიშმარია, სტანისლავ ლაკობა, გარიკ სამანბა და ვიაჩესლავ ცუგბა. ქართული მხრიდან – ირაკლი ალასანია, კახა არდია, დავით დარჩიაშვილი, ზურაბ ერქვანია, ნიკა გვარამია, გიორგი ხაინდრავა, თინათინ ხიდაშელი და პაატა ზაქარეიშვილი. ყოველი მათგანი მონაწილეობდა პირადად და არა როგორც რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ციკლის ორგანიზატორები არიან კავკასიაში მუშაობის გამოცდილების მქონე უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც სამშვიდობო მოღვაწეობა სხვა რეგიონებშიც უხდებათ. ესენია "კონფლიქტების კონსტრუქციული მართვის ბერხოფის ს/კ ცენტრი" (ბერლინი) და ბრიტანული ორგანიზაცია "შერიგების რესურსები (ლონდონი). სემინარი დაფინანსდა ევროკომისიის სწრაფი რეაგირების მექანიზმისა და ბრიტანეთის სამთავრობო ფონდის მეშვეობით.

### კომენტარი

**პაატა ზაქარეიშვილი:** "ეს არ არის მოლაპარაკებები. ესაა სემინარი-დიალოგი, რომლის დროსაც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ხდება. ეს არის დახურული შეხვედრა, საიდანაც არ გამოდის კონკრეტული ინფორმაცია, არ ხდება ერთმანეთის ციტირება და გადაწყვეტილების მიღება. ეს იმისათვის კეთდება, რომ იყოს გულახდილი საუბარი და პოზიციების მაქსიმალური შეჯერება მოხდეს. აფხაზური მხარე წარმომადგენლობითი იყო. შეხვედრაში მონაწილეობდნენ უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა (ის დღეს მესამე კაცია აფხაზეთში), "ამცახარას" ლიდერი და პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გარიკ სამანბა და ისეთი გავლენიანი პირი (განსაკუთრებით, გალში), როგორიცაა რუსლან ქიშმარია.

ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ აშკარად იგრძნობოდა აფხაზების განსხვავებული დამოკიდებულება რუსეთისადმი. რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებები არავის გაუკეთებია, მაგრამ მათი პოზიცია რუსეთის მიმართ ძალიან შეცვლილია. ეს აშკარად იგრძნობოდა და ადრე ასეთი რამ არ ყოფილა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო დამოკიდებულება ახალი ხელისუფლების მიმართ. სააკაშვილისა და ოქრუაშვილის მხრიდან გაკეთებული აგრესიული განცხადებების შემდეგ, რასაც აფხაზები ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ იყენებდნენ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის, რომ აფხაზებმა არათუ არ შეგვახსენეს ეს განცხადებები, არამედ აღნიშნეს საქართველოს დადებითი როლი აფხაზური არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების საქმეში. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. აფხაზებმა ქართული მხრიდან პოზიტიური ნაბიჯი დაინახეს და ჯეროვნად დააფასეს კიდეც.

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი. აფხაზები ყოველთვის ცდილობდნენ სტატუს-კვოს შენარჩუნებას. ახლა კი ისინი ამის წინააღმდეგნი არიან და ჩვენს ურთიერთობებში ცვლილებების სურვილი აქვთ. ეს კარგი ნიშანია, ვინაიდან, ვისაც ცვლილებები უნდა, იმან მეორე მხარის ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს.

ძალიან საინტერესო იყო მათი პოზიცია კონცეფციის მიმართ, რომელიც "24 საათში" დაიბეჭდა. საკუთრივ შინაარსზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ აფხაზებს ძალიან აინტერესებთ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ამ კონცეფციის მიმართ.

დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს ევროინტეგრაციის მიმართ. მათ აღარ აკმაყოფილებთ რუსეთიდან მიღებული ინფორმაცია და სურთ საკუთარი თვალით ნახონ, რა არის ევროკავშირი, ნატო და სხვა. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ მომავალი შეხვედრა დაიგეგმოს, ვთქვათ, ნატოს შტაბ-ბინაში, რომ აფხაზებმა ნახონ, როგორია ნატო-ს უსაფრთხოების სისტემა და რამდენად უპირატესია იგი რუსეთთან მიმართებაში.

ბუნებრივია, საუბარი იყო გალის რაიონზე. ხაზგასმით ითქვა, რომ აფხაზები გალის ქართული მოსახლეობის მიმართ მშვიდობიან პოლიტიკას ატარებენ და უკმაყოფილონი არიან იმითი, რომ ამას ქართული მხარე საკუთარ დამსახურებად წარმოაჩენს. სხვისი კარგი საქმის მითვისება არ შეიძლება.

ამ შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სააკაშვილისა და ბაგაფშის შეხვედრა აუცილებელია, ვინაიდან, სანამ არ მოხდება პირისპირ საუბარი, ბევრი რამე გაურკვეველი დარჩება. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ მათ შორის რეგულარული კავშირი იყოს, თუნდაც, სატელეფონო საუბრის დონეზე. ამით ჩვენ ძალიან ბევრ გაუგებრობას და უსიამოვნებას თავიდან ავიცილებთ. აღდგება ნდობა.

ძალიან კარგია, რომ სააკაშვილი მოსკოვში მიდის. ჩემი აზრით, იგი ბუშმა პუტინის თხოვნით დაითანხმა. სამაგიეროდ, სავარაუდოა, რომ პუტინი სააკაშვილთან შეხვედრაზე დაითანხმებს ბაგაფშსა და კოკოითს."

სემინარი-დიალოგები წელიწადში ოთხჯერ იმართება (თუმცა, შარშან მხოლოდ ერთხელ მოხერხდა) და მორიგ შეხვედრასაც მალევე უნდა ველოდოთ.

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



*ბიჭვინთა, 1980-იანი წლები. მარცხნიდან: აიდა გრივაფში, ნანა შარანგია, ხაშიგი.*

მოკლედ

## გაერო-ს დამკვირვებელთა მისია ინფორმაციას უარყოფს

28 აპრილს "ინტერ-პრესით" და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ გალის რაიონში იგეგმება გაერო-ს პოლიციური ქვედანაყოფის ოპერაცია და რომ აღნიშნულ ქვედანაყოფში თანამდებობები აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოების 40 თანამშრომელს შესთავაზეს. ტექსტში საუბარია იმაზე, თითქოს მოცემული ინფორმაციის პირდაპირი წყაროა გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში.

"ინტერ-პრესის" წარმომადგენლები გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას პუბლიკაციამდე არ დაკავშირებიან. ამდენად, მისია კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციის შინაარსს, რომელიც ფაქტებს არ ეფუძნება და რეალურ ვითარებას არ ასახავს.

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, გაერო-ს პოლიციის საერთაშორისო კონტინგენტი ჩამოყალიბდა 2003 წელს გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1494-ე რეზოლუციით. იმის მიუხედავად, რომ კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვრა 20 პოლიციელის ოდენობით, დღეისათვის გალისა და ზუგდიდის რაიონებში იმყოფება გაერო-ს მხოლოდ 11 პოლიციელი. დანარჩენი პოლიციელების გალში განთავსება შესაძლებელი გახდება მხოლოდ აფხაზური მხარის თანხმობის შემდეგ. ეს საკითხი განხილვის პროცესშია.

გაერო-ს პოლიციის საერთაშორისო კონტინგენტი არ მონაწილეობს პოლიციურ და სამართალდამცავ საქმიანობაში. მისი ამოცანაა კონფლიქტის ზონაში სამართალდამცავი საკითხების გარშემო რეკომენდაციების შემუშავება გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელობისათვის. ასევე, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერა - პირადი შემადგენლობის სწავლება, კონსულტაცია, მონიტორინგი, კოორდინაცია.

*გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# რამ შეუშალა რუსებს ხელი

*ექსპერტმა მალხაზ მაცაბერიძემ წარმოადგინა თანამედროვე რუსი გეოპოლიტიკოსების თეორიები და სურვილები კავკასიის, განსაკუთრებით კი, საქართველოს მომავალი განვითარების შესახებ.*

ლელა მარგიანი

რუსეთის გეოპოლიტიკური კონცეფციებიდან ნათლად იკვეთება ჩვენთვის ნაცნობი ჭეშმარიტება, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები იმ რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც მიზნად საქართველოს დაშლა-დანაწევრებას და კავკასიაში რუსული კონტროლის შენარჩუნებას ისახავდა. **მალხაზ მაცაბერიძე:** "თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციები გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ჩამოყალიბდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონცეფციები უკვე საკმაოდ მოძველდა.

საბჭოთა კავშირის შექმნა იყო პირველი გეოპოლიტიკური გადანაწილება, რომელიც 1922-1923 წლებში, რუსეთ-თურქეთს შორის გაყოფილი კავკასიის ხარჯზე მოხდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ შეცვალა სიტუაცია თავის სასარგებლოდ და თავისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის - სომხეთის სასარგებლოდ. ამის შედეგია 1993-1994 წლებისთვის უკვე არსებული "გაყინული კონფლიქტები" (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული სეპარატისტული რეჟიმები მთლიანად მოსკოვის კონტროლქვეშაა). ფაქტობრივად, სომხეთი აკონტროლებს მთიან ყარაბახსა და კიდევ მომიჯნავე 6 აზერბაიჯანულ რაიონს, რაც აზერბაიჯანის ტერიტორიის 25 პროცენტს შეადგენს.

რუსული გეოპოლიტიკის მიხედვით, საქართველოსა და აზერბაიჯანის შესვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში აღიქმებოდა, როგორც საბჭოური სივრცის რეინტეგრაციის დასაწყისი, რომლის საფუძველზეც ახალი, ერთიანი სახელმწიფო უნდა შექმნილიყო. ყველა ეს ფაქტორი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სამხრეთ კავკასიის ხელახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება.

ამავე დროს, რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციების არსის გასაგებად მნიშვნელოვანია მეორე მომენტიც: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოცა და აზერბაიჯანიც დამარცხებული და დაზარალებული ქვეყნები არიან, ისინი მაინც არ "აღმოჩნდნენ" ისეთ მდგომარეობაში, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე, საკუთარი სუვერენიტეტის განმტკიცებაზე არ ეფიქრათ. ცხადია, ამაში მათ ხელი რეგიონში არსებულმა ნავთობის საბადოებმა შეუწყო. საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ დასავლეთისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი რუს გეოპოლიტიკოსებში, ცხადია, გაღიზიანებას იწვევს."

**- რომელ რუს გეოპოლიტიკოსებს გამოყოფდით?**

- ამ მხრივ, ყველაზე ცნობილია ალექსანდრ დუგინი. იგი ავტორია წიგნისა "გეოპოლიტიკის საფუძვლები," რომლის მიხედვით, "ატლანტიზმი ჩვენი (ქართველების) უდიდესი მტერია და მხოლოდ რუსეთთან უნდა ვიყოთ."

დუგინის კონცეფცია ემყარება "კავკასიის კავკასიელებით" კონტროლის იდეას. მისი ამოსავალი პრინციპია: კავკასიაში ყველანაირად შესუსტდეს **ჰორიზონტალური** კავშირები და ყველანაირად გაძლიერდეს – **მერიდიანული** კავშირები.

**- რა იგულისხმება "ჰორიზონტალურ" და "მერიდიანულ" კავშირებში?**

- ჰორიზონტალურ კავშირებში იგულისხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის კავშირები, საქართველო-აზერბაიჯანის კავშირები თურქეთთან და უკრაინასთან, ანუ უნდა მოხდეს ამ კავშირების და, შესაბამისად, დასავლური კავშირების შესუსტება.

მერიდიანულ კავშირებში იგულისხმება სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის ინტეგრირება.

რა უნდა უყოს რუსეთმა საქართველოს, რომელიც დარჩება აფხაზეთის, ცხინვალისა და აჭარის გარეშე? აქ დუგინს "ახსენდება" ჩვენში პოპულარული "კავკასიური სახლის" იდეა და ქმნის თავისებურ ვერსიას: "მოძმე მართლმადიდებელ ქართველ ხალხს მივცეთ კავკასიური სახლის "კონტროლის" საშუალება, ანუ დაღესტანი, ჩეჩნეთი და ინგუშეთი. ესაა "კავკასიური სახლი" საქართველოს მეთაურობით და მისი კონტროლი ეკისრება საქართველოს." დუგინის მიხედვით, ეს სავსებით მომგებიანი გარიგებაა რუსეთისთვის, რადგან მას "ეხსნება თავისტკივილი" დოტაციური რესპუბლიკების – ინგუშეთისა და დაღესტნის სახით. თუკი ეს ორი რეგიონი საქართველოს "თავისტკივილი" გახდება, ხოლო რუსეთი მიიღებს აფხაზეთს, ცხინვალს და აჭარას, ეს რუსეთისთვის ცუდი გაცვლა როდია. ასეთივე თეორია სხვა რუს ავტორებთანაც პოპულარულია. მაგალითად, მიტროფანოვთან, რომელიც კიდევ უფრო შორს მიდის. მისი კონცეფციით, აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის მფლობელობაში უნდა გადავიდეს. მისი აზრით, მე-20 საუკუნის დამდეგადე, თბილისი წმინდა სპარსული ქალაქი იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოს მიტროფანოვი რუსეთისთვის ინარჩუნებს, რადგან რუსეთს აფხაზეთი, აჭარა და ფოთი ზღვაზე გასასვლელად სჭირდება.

**- რითი "დავიმსახურეთ" რუსი გეოპოლიტიკოსების ასეთი გულისწყრომა?**

- შეიძლება ითქვას, რომ რუსულ გეოპოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი თეზისი არის საქართველოს დაშლის თეზისი - რომ "საქართველო, როგორც სახელმწიფო, უნდა გაქრეს." მათი ვერსიით, საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, შეიქმნა რუსეთის "ეგიდით" საბჭოთა პერიოდში და როგორც კი რუსეთი რეგიონიდან წავა და საქართველო რუსეთის მხარდაჭერას დაკარგავს, იგი გარდაუვლად დაიშლება. უნდა ითქვას, რომ რუსი ანალიტიკოსების ეს ვერსია ძალიანაც რეალურად გამოიყურებოდა, რადგან საქართველომ ადვილად დაკარგა აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი. ასლან აბაშიძის დროს აჭარაზეც აღარ ჰქონდა კონტროლი, ასევე სუსტია ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ჯავახეთშიც. სწორედ იმიტომ, რომ ეს თეზისი დამყარებული იყო საქართველოს "შინაგან სისუსტეზე", რუსი პოლიტიკოსებიც არანაირ კომპრომისზე არ მოდიოდნენ. რუსი ანალიტიკოსები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ისინი "შეინარჩუნებდნენ აფხაზეთსაც, ცხინვალის რეგიონსაც, ბაზებსაც, და საქართველოსაც თავისი გავლენის სფეროში მოაქცევდნენ."

**- რა ვერ "გათვალეს" რუსმა გეოპოლიტიკოსებმა?**

- მათ ვერ წარმოიდგინეს, რომ საქართველოში მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა და აჭარის რეგიონის საქართველოს კონტროლქვეშ დაბრუნებით, ფაქტობრივად, სამხრეთ კავკასიის ხელახალი გადანაწილება დაიწყებოდა. რუსი გეოპოლიტიკოსებისთვის ეს სრულიად მოულოდნელი რამ იყო. ეს იყო ყველა მათი კონცეფციის კრახი. არადა, როგორი იმედი ჰქონდათ, რომ სომხეთისთვის "დერეფნების" მშენებლობას შეძლებდნენ. მოსკოვის კონცეფციებით, უნდა მომხდარიყო "ორი ოსეთის გაერთიანება, რომელიც იქნებოდა დამაკავშირებელი რგოლი სომხეთისა რუსეთთან. ამავე დროს, უნდა მომხდარიყო ჯავახეთის მიერთება სომხეთთან, ასევე, ბორჯომისა და გორის რაიონების ოსეთთან შეერთება და "გამოვიდოდა" რაღაც "გრძელი ოსეთი", რომელიც სომხეთს ესაზღვრება. ეს რუკები გამოქვეყნებულია რუსულ პრესაში. ეს იყო პროვოკაცია ქართველებისა და სომხებისათვის.

ამავე დროს, 1998 წლის 26 მარტს დსთ-ს კიშინიოვის სამიტის წინ, "Независимая Газета"- ში გამოქვეყნდა დიდი დოკუმენტი, რომლის ავტორებიც იყვნენ მიგრანიანი და ზატულინი. ამ "დოკუმენტში" საუბარია სამხრეთ კავკასიის ხელახალ გადანაწილებაზე შემდეგი სქემით: უნდა დაშლილიყო აზერბაიჯანი, სომხები უნდა "წაეხალისებინათ" იმისთვის, რომ ჯავახეთზე საბოლოო კონტროლი დაემყარებინათ, აჭარა ჩამოეშორებინათ საქართველოსთვის, რათა ამით ზღვაზე გასასვლელი დერეფანი გაკეთებულიყო.

**- რამ შეუშალა ხელი რუსი პოლიტიკოსების ზრახვებს?**

- მაშინ რუსებმა ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგეს. ასლან აბაშიძე აჭარისა და ჯავახეთის ერთ რეგიონად გაერთიანებაზე ალაპარაკდა. ამ ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულში, ფაქტობრივად, რეალიზდებოდა მიგრანიან-ზატულინის გეგმა. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ამას არ დათანხმდა, არამედ იმიტომაც, რომ ჯავახეთის სომხური მოსახლეობა არ ენდობოდა ასლან აბაშიძეს, რომელიც მათთვის მუსულმანად აღიქმებოდა, და ეშინოდა, მუსულმანების გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო.

ამჟამად, ეს იდეა - აჭარისა და ჯავახეთის დერეფნის გაჭრა მოკვდა. ახლა დღის წესრიგში დგას ბაქო-ჯეიჰანის ამოქმედება. ამას შეგუებულია რუსეთიცა და სომხეთიც.

**- ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, როგორ გესახებათ თქვენ კავკასიის მომავალი?**

- უნდა აღვნიშნო, რომ რუსული გეოპოლიტიკური კონცეფციები იმ სახით, როგორც მოგახსენეთ მოძველებულია, რადგან ამ კონცეფციების საფუძველზე გადადგმულმა ნაბიჯებმა ვერ უზრუნველყო რუსეთისათვის კავკასიაზე კონტროლის შენარჩუნება. ბაქო-ჯეიჰანი მოქმედებს, აჭარაზე რუსული კონტროლი არ არსებობს, დღის წესრიგში დგას რუსული ბაზების საკითხი. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არაა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების საგანი. ეს უფრო რუსეთ-დასავლეთის გადასაწყვეტია.

რუსი გეოპოლიტიკოსების რეცეპტები შესუსტებულია. ამავე დროს, რუსეთს ძალიან გაუჭირდება სომხეთის შენარჩუნება. სულ უფრო გაძლიერდება პროდასავლური პოლიტიკური ძალები და სომხეთიც ხავერდოვანი რევოლუციის ზღურბლზე აღმოჩნდება. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსები თავიანთი სქემების კორექტირებას მოახდენენ და ახალ პოლიტიკურ სქემებს შემოგვთავაზებენ. ამ ახალ სქემებში აქცენტი, ალბათ, "მართლმადიდებლობის" ფაქტორის გამოყენებაზე გადავა.

სვანური თოვლი თოვლივით თეთრია



B2

სახლი - ხელოვნების ერთიანი ნიმუში



B3

ქუთაისური მეხრეჭი საჩემპიონო გზაზე



B5

# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

ორიოდე კვირის წინ ერთმა მეგობარმა დამირეკა. ჩემი რომელიღაც პუბლიკაცია წაეკითხა და საუბარი მოულოდნელი წინადადებით დაიწყო: "ნეტა თუ ხვდება ის კაცი, რომ მის მხარეზე ხარ?".

"იმ კაცზე" 27 აპრილის ნომერში **ეკა კვესიტაძე** წერდა გამამხნევებელი სათაურის პუბლიკაციაში *ჯერ კიდევ არის დრო*. აქ ვკითხულობთ: "**ბოლო ერთი კვირის მანძილზე მარტო "24 საათში" რამდენიმე სტატია დაიბეჭდა ერთი და იგივე სულისკვეთებით: ნუ ფიქრობთ, ვინც გაკრიტიკებთ, ის თქვენი მტერია. როგორც ჩანს, ამ სენტენციის ხშირად გამეორება საჭირო გახდა ბოლო პერიოდში და საჭირო გახდა თავად პრეზიდენტის "უცნაური" გამოსვლების გამო**". რაში ვხედავთ ამ "უნცაურობას"? ისევ 27 აპრილის სტატიას დავუბრუნდეთ: "**თქვენს ჯინაზე მაინც ავაშენებთ ჯარს და სახელმწიფოს — ეს არის ის ერთადერთი "არგუმენტირებული ფრაზა", რომელსაც ხშირად იმეორებს პრეზიდენტი კრიტიკის საპასუხოდ და თან იმ ადამიანებთან მიმართებაში, ვისაც ქართული სახელმწიფოს შენების პროცესი ნამდვილად არ სწყინს**".

ამგვარი ვითარების მიზეზების გარკვევა ნამდვილად ღირს. ეკა კვესიტაძე ამ მხრივ საწყის ნაბიჯებს დგამს და ამაში (როგორც ყველა ჭეშმარიტ ქართველს) წარსულის ანალიზი ეხმარება: "**შევარდნაძის ხელისუფლების დაღმასვლა განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა თვალშისაცემი, როცა ყოფილი პრეზიდენტი გამორჩეული არაადეკვატურობით პასუხობდა რეალობას**". მაგრამ მართლაც არის თუ არა სააკაშვილის პასუხი, უფრო სწორად კი სიტყვა-პასუხი — მისი ეს გაუთავებელი და ამოუწურავი "გაჩმახება", "ყიყინი", "ბრიყვები", "ნაგავში მქექავები" და ა. შ. — რეალობის არაადეკვატური?

როდესაც ხელისუფლების რომელიმე კრიტიკოსს "პა ხოდუ" ისიც წამოსცდება, სიამოვნებით წავიდოდი ელჩად რომელიმე დასავლეთევროპულ ქვეყანაშიო, მართლაც შეგეპარება ეჭვი ქვეყნის პრეზიდენტის არაადეკვატურობაში. მაგრამ ამჯერად თავს კონკრეტულ ფაქტებში ჩაკარგვის უფლებას ვერ მივცემთ. საქმე საკმაოდ სერიოზულადაა და უფრო ღრმა განხილვას იმსახურებს.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ რეალობა არაა რაღაც ერთხელ და სამუდამოდ, უცვლელად მოცემული რამ. ადამიანი გარემომცველ სინამდვილეში მონაწილეობს და საკუთარი შესაძლებლობის თანახმად ქმნის კიდეც მას. ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ყოველი ჩვენგანი გრძნობს როგორც რეალობის გარდამქმნელი შესაძლებლობის ნახტომისებურ გაზრდას. თუმცა ძალაუფლების მიღებასთან ერთად ადამიანური შეზღუდულობა არ კლებულობს — ახალ ამაღლებულ ხარისხში ჩვენ ისეთივე სუსტები და უსუსურები შევდივართ, როგორებიც მანამდე ვიყავით, კვლავ ჩვენთანაა პირადი წარსულის მემკვიდრეობაც: სულიერი იარები, კომპლექსები, მოგონებები... მათაც ეზრდება გამოვლენის და, რაც უფრო საშიშია, გავლენის სფერო. ძალაუფლების მიღებისას შეცვლილ სამყაროში ჩვენ ძველი კრიტერიუმებით შევდივართ და რაც ადრე ხასიათის უბრალო ახირება იყო, დღეს შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცეს.

მადლობა ღმერთს, **სალომე ზურაბიშვილი** არ შემოფარგლულა რუსული ბაზების გაყვანის გამო მზამზარეული ეიფორიით და ისიც დასძინა, რომ აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას, ხელშეკრულების მცირე დეტალებში ხომ არ იმალება რაიმე სატყუარა. სწორედ ეს თვისება აკლიათ ხელისუფლების შემოქმედებითი ელიტის რიგებიდან გამოსულ ბოლო დროს გააქტიურებულ კრიტიკოსებს — დეტალებისადმი ყურადღება. ვცადოთ ამ ხარვეზის შევსება...

კიდევ ერთი ციტატა ეკა კვესიტაძის სტატიიდან: "**დღეს სააკაშვილი ისევ გულმოდგინედ ცდილობს, ძველი სტილი შეინარჩუნოს, მაგრამ ის უკვე თავისი პოლიტიკური ფიგურის კიჩს უფრო დაემსგავსა, ვიდრე ხალხთან გულწრფელად მოსაუბრე პრეზიდენტს**". აქ აშკარა თავისებურებაა სიტყვის ხმარებაში: უფრო ჩვეული იქნებოდა "პოლიტიკური ფიგურის კარიკატურას", ან "შარჟს", ან "პაროდიას", მაგრამ არა "კიჩს", რადგან ეს უკანასკნელი ჟანრობრივ კუთვნილებაზე კი არა, ესთეტიკურ ღირებულებაზე მიუთითებს. და მაინც, სტატიის ავტორმა სიტყვა "კიჩი" გამოიყენა. სიტყვა, რომელიც თანდათანობით იძენს ძალას და სულ უფრო ხშირად ისმის: თვით სააკაშვილმა აუნთო მწვანე შუქი, როცა ოპერის თეატრში განაცხადა, კიჩი შეიძლება საინტერესო იყოსო.

ახლა კი გასაგები ხდება, რომ არ კმარა ქართული ჯარის გაძლიერების მომხრე იყო — ამასთან ერთად გულისრევის გარეშე უნდა გაუძლო უსაშველოდ ხანგრძლივ სარეკლამო კლიპს, რომელშიც საქართველოს რეალობა ისეა ასახული, სტალინის დროინდელ "აგიტპროპს" შეშურდებოდა, შეკითხვა კი პირველივე წამებიდან ჩნდება: ნეტა წერილები თუ აღწევს სოფლებში? სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აქაც, როგორც ვხედავთ, გარემომცველ სინამდვილეს კი არა, პრეზიდენტის ვირტუალურ რეალობას უწევენ რეკლამას.

რა ვქნათ? — ალბათ ყველა ერთნაირად ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩვენი საერთო სინამდვილის ჩამოყალიბებაში. ვიღაც განზე უნდა დადგეს და მოკრძალებული როლი იკმაროს. ამაში, თავისთავად, არაფერია არც გასაკვირი და არც დამღუპველი. გასაკვირიც და დამღუპველიც სხვაგან უნდა ვეძიოთ — კერძოდ, პრიორიტეტებში, რომელსაც პრეზიდენტის ვირტუალური რეალობა გვთავაზობს. და რადგანაც სალომე ზურაბიშვილისგან უკვე ვისწავლეთ ფრანგული სიბრძნე, რომ ეშმაკი წვრილმანებში იმალება, ჩვენც იმ ეშმაკს წავავლოთ კუდში ხელი, მით უმეტეს, რომ უკვე წვრილმანებში კი არა, საკმაოდ მნიშვნელოვან მსხვილმანებშიც დაიბუდა. რას ვგულისხმობ?..

აი, თუნდაც 26 აპრილს გამოქვეყნებული ერთი ტექსტი ვნახოთ: *გვარი და საზოგადოება, ღია წერილი საქართველოს პარლამენტს*. მას რამდენიმე ადამიანი აწერს ხელს. ავტორთა შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მათი ჩამონათვალი **შალვა დადიანის** ერთი ცნობილი პიესის პირველი ვარიანტის პერსონაჟთა სიას ჰგავს. წერილის დაწერის საბაბი იყო ცვლილება საქართველოს კანონში სამოქალაქო აქტების შესახებ: უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ცვლილება უშვებს ან აადვილებს მოქალაქეთა მიერ გვარის გამოცვლის პროცედურას. ავტორები ეწინააღმდეგებიან ამას.

ისინი წერენ: "**გვარი, სახელისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს მარტოოდენ კონკრეტული პირის კუთვნილებას, არამედ, ეკუთვნის ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს**" — რაო, სახელი მხოლოდ კონკრეტული პირის კუთვნილებაა და ჯგუფს არ ეკუთვნის? სხვათა შორის, საქართველოში გაცილებით უფრო მეტი ნოდარი ცხოვრობს, ვიდრე ლადარია. მაგრამ განვაგრძოთ: "**ლოგიკაში არსებობს გვარის ცნება**" — აპ, აპ, აპ! აქ კი შეჩერდით, ბატონებო: "გვარი" როგორც პიროვნების იდენტიფიკატორი და "გვარი" როგორც ლოგიკის ცნება, თუმცა საერთო ეტიმოლოგია აქვთ, დღევანდელ პირობებში მხოლოდ ომონიმებია და მეტი არაფერი. მათი არსებითი დაკავშირება ტერმინოლოგიური ცუღლუტობაა მხოლოდ. მაგრამ ავტორები ამ ცუღლუტობას კი არ წყვეტენ, ავითარებენ: "**მაგალითად სახელები: "პობედა", "მოსკვიჩი", "ზაპოროჟეცი", "ვოლგა", "ფოლქსვაგენ პასატი", "ჯიპი ჩეროკი" და სხვა, შეიძლება გავაერთიანოთ უფრო მაღალი ლოგიკური დონის გვაროვნულ ცნებაში — მსუბუქი ავტომანქანები**". აჰა, ესე იგი, "მაისურაძეები", "იაშვილები", "გაბისონიები" და ა. შ. უფრო მაღალი დონის გვაროვნული ცნებები ყოფილა, ვიდრე "გიორგები", "ნინოები", "თამარები", "ვახტანგები" და "ზურაბები". ბუნებრივია — იდენტიფიკატორი აუცილებლად უნდა იყოს რამდენიმე ნაწილისგან შედგენილი: ზოგს თავისუფლად უნდა ირჩევდნენ, ზოგის მინიჭებაზე კი რაიმე ფორმალური წესი უნდა მოქმედებდეს: რუსეთში ეს მამის სახელი და გვარია, ესპანეთში დედის და მამის გვარი, სხვა ქვეყნებში მხოლოდ მამის გვარი და სხვაგან კიდევ შეიძლება სხვანაირადაც იყოს. მაგრამ ოდნავ ღრმად შევიდეთ...

საქმე ისაა, რომ გვაროვნულ ცნებებს "მსუბუქი ავტომანქანები", "ხერხემლიანი ცხოველები", "საოპერო ხმები" და ა. შ. საფუძვლად უდევს გარკვეული ტექნიკური, ეკონომიკური, ბიოლოგიური, ესთეტიკური ან სხვა რომელიმე სახის რეალობა, რომელიც განაპირობებს კლასებად დაყოფის მოტივაციას: არ შეიძლება ზრდასრული სპილო გადავიყვანოთ "ზაპოროჟეცით", კურდღლები დაყოფით არ მრავლდებიან, ლელა წურწუმიას კი არაფერი ესაქმება "მეტროპოლიტენ ოპერას" სცენაზე. მაგრამ რომელი რეალობა დაედება საფუძვლად იმას, რომ გვარი "დადიანი" დღეს განსაკუთრებულ საკლასიფიკაციო კატეგორიად მივიჩნიოთ? ასეთი რამ, სულ მცირე, კონსტიტუციის დარღვევა და გვაროვნული საზოგადოების აღდგენა იქნებოდა.

მაგრამ ავტორები ასე უწყინარნი როდი არიან: "**გასათვალისწინებელია მეზობელი, მაღალი ეროვნული იდენტურობის მქონე, პრაქტიკულად მონოეთნიკური კავკასიური სახელმწიფოს, საქართველოსაგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია**". აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული: ბრტყელ-ბრტყელი ტერმინების ეს რახა-რუხი მხოლოდ ევფემიზმია სიტყვისა "სომხეთი". ჩვენს მაღალგანსწავლულ ავტორებსაც ბანალური და სამარცხვინო შიში ამოძრავებს: სომხები ხომ ქართულ გვარებს დაიწერენ! — აჰა, ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის ღამის მაჯლაჯუნა. ამიტომაც იგონებენ რაღაც უაზრო არგუმენტებს, რომელთაგან მხოლოდ ორს ვახსენებ:

1) **ბიოლოგიური**: თურმე გვარის გამოცვლის უფლება გამოიწვევს იმას, რომ მომავალში ადამიანებს არ ეცოდინებათ, ვინ ვისი ნათესავია, ერთმანეთთან უნებლიეთ შევლენ ინცესტურ ქორწინებაში და ერიც გადაგვარდება. კი მაგრამ რამდენმა უნდა გამოიცვალოს გვარი, რამდენმა უნდა დაივიწყოს მშობლების, და-ძმის, ბებია-ბაბუის და სხვათა სახე, რომ ასეთი გენეტიკური კატასტროფის წინაშე რეალურად დაგვდეთ? რატომ ჰგონიათ ავტორებს, რომ ქართველები კანონის მიღებას ელიან, რომ ერთბაშად მიაწყდნენ საპასპორტო განყოფილებებს გვარების გამოსაცვლელად? რატომ ჰგონიათ, რომ მათ გარდა არავის უყვარს ნათესავები, არავინ აფასებს თავის ჩამომავლობას?

2) **ეკონომიკური**: თურმე სახელმწიფოში კორუფციის ერთ-ერთი ბურჯია კლანური სისტემა. ჰოდა, თუ არ გვეცოდინება, ვინ ვისი ნათესავია, შეუძლებელი იქნება კლანების გამოვლენა. ესეც ასე! — მგონი ჩემთან ერთად **ვანო მერაბიშვილსაც** გაეცინა ამაზე.

აღარ შეგაწყენთ თავს სტატიის ბოლოს უხვად მოცემული ფსევდოთეოლოგიით, საერთოდაც აღარ შევუდგები ტექსტის სხვა მხარეების განხილვას — არ მსურს, ფასი დაედოს ამ ბოდვას. სხვა რამეა საინტერესო: ტექსტი, რომელიც შინაარსით როიალისტურ და ნაცისტურ განწყობებს შორის ირხევა, საკმაოდ გამართული ენითაა დაწერილი. აქ ქართულს არ ვგულისხმობ: ეს პროექტების ენაა, იმ პროექტებისა, რომლებსაც სხვადასხვა ლიბერალური ფონდები აფინანსებენ. აბა, მიაყურადეთ: "**წარმოდგენილი სახით კანონი უფრო დაძაბავს კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს, გამოიწვევს უფრო მეტ ეთნიზაციას, რაც თავისთავად ნიშნავს განვითარებადი დემოკრატიზაციის პროცესების დამუხრუჭებას**". ან ეს ვნახოთ: "**სახელისა და გვარის თავისუფალი გამოცვლის წესი ნაკლებად პრობლემატურია მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც არსებობს საზოგადოების დაცვის შესაბამისი მექანიზმები და არის სტაბილური ცივილური ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან**". მერე რა? რა და ახლა ისევ უნდა მოვიგონოთ ოდნავ ზემოთ ნახსენები ფსევდოთეოლოგია და დავსვათ კითხვა: სად შეიძლება ვიპოვოთ ძმაბიჭურ-გვაროვნული მენტალობის, ლიბერალური ღირებულებებით მანიპულირებისა და რელიგიის მიმართ უშედეგო რევერანსების ამგვარი უგემოვნო დომხალი? — რა თქმა უნდა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში.

რას აფინანსებენ? — კითხულობს გრანტს მოწყურებული ქართველი, სანამ პროექტის წერას შეუდგებოდეს. რას უჯერებენ? — იკითხეს ჩვენმა ავტორებმა და არც არაფერი დავიწყნიათ, ხელდახელ წამომართეს ლიბერალურად შეღებილი ფასადისა და ნაცისტურად დაგებული გამომპალი საძირკვლის შენობა.

არ დაეკვეხნა სააკაშვილს, წერეთლის შთამომავალი ვარო, არ წამოსწევდა თავს გვარიშვილობის ამდენი მოამაგე (კრიტიკოსებიც კი იმას "ყიყინებენ", ჩვენც კაი ოჯახის შვილები ვართო); არ ექცია სამების ტაძარი საკუთარ პრეს-ცენტრად და არ დაეძალებინა თავისთვის რიტუალებზე სიარული, არც სარწმუნოებაში გვექნებოდა ამდენი ზედაპირული და მოჩვენებითი ღვთისმოსაობა. მაგრამ გარემომცველი სინამდვილე თანდათანობით ემორჩილება უმაღლესი მთავარსარდლის ვირტუალურ რეალობას. კიჩი და უგემოვნება ისადგურებს ჩვენს გარშემო და ეროვნული რეალობის ადეკვატურ გამოხატულებად ჩოხაში გამოწყობილი ჩეჩელაშვილი გვრჩება...

ჩოხაზე კი სხვა რამეც გამახსენდა. 26 აპრილს **გოგი დოლიძემ** დაგვცხო **ნინია კაკაბაძესა** და მე. პირველს ერთი ფრაზისთვის ედავება: "**კინოფაკულტეტის კინოსარეჟისორო და კინოსაოპერატორო განყოფილებაზე წამყვანი პედაგოგები, ძირითადად, კლიპმეიკერები, ტელეოპერატორები და სრულიად გაუგებარი პროფესიისა და სტაჟის მქონე პედაგოგები არიან**". თავს იმართლებს, ტელეოპერატორები ჩვენთან არ ასწავლიანო. კლიპმეიკერები? — ამაზე არაფერს ამბობს. პედაგოგთა გამოუცდელობას კი ასე ამართლებს: "**ს. ეიზენშტეინი სულ პირტიტველა ყმაწვილი იყო, პედაგოგობა რომ დაიწყო**". მერე რა? — მოცარტმა 14 წლისამ დაწერა პირველი ოპერა, მაგრამ ეს განა საბაბია, რომ კონსერვატორიაში ბასტი-ბუბუს მომღერალი ბავშვები აიყვანონ პედაგოგებად.

ვერ დავიწყებ ახლა იმათზე მსჯელობას, ვინ როგორ ასწავლის გოგი დოლიძისადმი რწმუნებულ დაწესებულებაში. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ **რეზო ესაძე, მერაბ კოკოჩაშვილი** და **ელდარ შენგელაია**, თსუ-ში ირიცხებიან პედაგოგებად, მიუხედავად საშინელი მდგომარეობისა, რომელშიც შესაბამისი ფაკულტეტი იმყოფება. დასკვნები თვითონ მკითხველმა გამოიტანოს.

ჩემგან კი ბ-ნ დოლიძეს ის უნდა, რომ აუცილებლად შევიყვარო ჩოხოსანთა საზოგადოება. ჩოხოსნები იქით იყოს: არა მგონია ვინმე ჭკუათმყოფელი შემედავოს, რომ ჯობს ისევ იმ ევროპულად შემოსილ ქართველებს მივბაძოთ, რომლებიც ცდილობდნენ ყოველივე იმის გადარჩენას, რასაც ჩოხოსანი თავად-აზნაურობა ყურთმაჯების ქნევასა და ნარდის თამაშში ანიავებდა. არ არიან ჩოხოსნები ჩემი იდეალი და ძალაა?! არც ბ-ნ დოლიძეს ვუსაყვედურებ ჩემს მიმართ ფრიადი სიმკაცრისათვის. კაცია და გუნება. მაგრამ ერთს კი ვერ დავტოვებ უპასუხოდ...

ბ-ნი დოლიძე მიკიჟინებს, რომ მე ინტელიგენტობაზე უარი ვთქვი, როცა იდიოტი ვუწოდე გოგონას, რომელმაც "**ამერიკული ცხოვრების წესზე გამოთქვა გულწრფელი აზრი**". ვერაფრით გავიხსენე, მერე კი დავიწყე ჩემს სტატიებში სიტყვა "იდიოტის" ძებნა. თურმე საქმე თსუ-ს იმ სტუდენტს ეხება, რომელიც ამბობდა, რომ ამერიკაში არა აქვთ ქალიშვილობის და ბიძაშვილობის ინსტიტუტი. მოვიყვანოთ ზუსტი ციტატა ჩემი სტატიიდან: "**ადვილია ამ გოგონას იდიოტი უწოდო, გაცილებით უფრო ძნელია საკუთარ თავს გამოუტყდე, რომ იდიოტიზმად მხოლოდ ამის ხმამაღლა განცხადება მიგაჩნია**". დიახ, ირგვლივ ბევრი გამოჩნდა, ვინც იდიოტს უწოდებდა ამ გოგონას, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ხმამაღლა წარმოთქვა ეს სისულელე. მათ ეხებოდა მოყვანილი წინადადება და არა თვით გოგონას, რადგან, ეს მართლაც ძალიან ადვილი და ბანალური იქნებოდა ჩემი მხრიდან, მკითხველს კი არაფერს მისცემდა. ეტყობა უჭირს ტექსტის ქსოვილში გარკვევა ბ-ნ დოლიძეს, ან კი როგორ არ გაუჭირდება, როცა ასეთი გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს შემოქმედებაზე: "**ჩვენი ჩაცმულობის "მიმოხილვის წარმოება" მაინც რაღად დაავალეთ, ამაზე ხომ არანაირი მასალა არ დაბეჭდილა "24 საათში"?**" — ეკითხება იგი მთავარ რედაქტორს და ალბათ სერიოზულად ჰგონია, რომ ჩემი პუბლიკაციების ყოველი წინადადება ვიღაცის დავალების შესრულებაა. ამგვარ გარემოში გაიზარდა და რას იზამ?

პირადად კი ერთი რამ მინდა ავუხსნა: მე ვერ გადავუხვევდი ინტელიგენტობას, რადგან არც არასოდეს ვყოფილვარ "ინტელიგენტი". არასოდეს დამიწერია დისერტაცია თემაზე "ლენინ ი კინო" (ბ-ნ დოლიძეს მოსკოვში რომ ჩაუგდეს და საქართველოში მაინც გამოაქვეყნა წიგნად), არასოდეს შემიფასებია სიტყვები იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებდნენ მათ კომუნალურ სამზარეულოში (სიტყვა "იდიოტი" ბერძნულად კერძო პირს, საჯარო თანამდებობის არმქონეს ნიშნავს და ასე საკუთარ თავს მოიხსენიებდნენ ფრანჩესკო ასიზელი და ნიკოლოზ კუზელი), არასოდეს ამიჭრია შულერივით სხვისი სიტყვები. და თუ სნობობაში არ ჩამითვლით, უნდა მოგახსენოთ, რომ მე სხვა გამოცდილება მაქვს, რომელიც, ვფიქრობ, ჩოხის ტარებაზე არანაკლებ სასარგებლოა ამ ქვეყნისთვის.

თავისი წერილის ბოლოს ბ-ნი დოლიძე მომიწოდებს **ალექსანდრე პუშკინის** რჩევას მივყვე და უბრალოდ ვილაპარაკო. ვაღიარებ, მე მართლაც იშვიათად ვუჯერებ დიდ რუს პოეტს. ამ სტატიაშიც დავარღვიე მისი ერთი შეგონება — не оспоривай глупца — ვინ დათვლის, რამდენჯერ?

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge





# აფიშა

## კონცერტები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
კამერული მუსიკის კონცერტი
სერგეი რახმანინოვი (რომანსები), სერგეი კუსევიცკი (კონცერტი კონტრაბასისა და ორკესტრისთვის), ჯოვანი ბოტეზინი ("ელეგია" კონტრაბასისა და ფორტეპიანოსთვის)
მონაწილეობენ: მარინა შაგუჩი (სოპრანო), ალექსანდრე ხაინდრავა (კონტრაბასი), ირინე აივაზოვა (ფორტეპიანო)
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში..."
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
მარინე სურმავას სპექტაკლი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ნოდარ დუმბაძე
"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
მარინე სურმავას სპექტაკლი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"დაიკიდე"
დას: 15:00; 17:30 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:15 სთ.

"ტუსაღი"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**უნივერსისტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკა**
გამოფენა "წიგნი"
(მხატვრები ცდილობენ წიგნთან დაკავშირებული იმ საკითხების აქცენტირებას, რომელიც აქტუალურად მიაჩნიათ პოზიციის ფორმირებისათვის)
გახსნა: 14:00 სთ.

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"
II სართული

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გია ჩხატარაშვილისა და პოლ კალჰუნის ფოტონამუშევრების გამოფენა

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
სააღდგომო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გია ჯაფარიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა (ქანდაკება, ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
**აცხადებს კონკურსს**
**კინოხელოვნების პოპულარიზაციისთვის**

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ნაწილობრივ (მაქსიმუმ 50%-ით) დაფინანსდება ეროვნული კინოცენტრის მიერ.

ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 20 ათასი ლარი

პროექტი უნდა განხორციელდეს 2005 წლის დასრულებამდე.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge

# სვანური თოვლი თოვლივით თეთრია

### გია ჩხატარაშვილისა და პოლ კალჰუნის ფოტოგრაფული ინტეგრაცია

ია ვეკუა

აქ ერთმანეთის გვერდით დგას სვანური კოშკები და სკოლის თანამედროვე შენობა, აქ ლამპრობის დღესასწაულს დილის ლოცვით იწყებენ და ქვის სახლზე შემოვლებულ ყორეს სატვირთო მანქანის ჟანგიანი კარი ჭიშკრად კიდია. ასეთია გია ჩხატარაშვილის სვანეთი, რომელსაც თითქმის 15 წლის განმავლობაში კადრიდან კადრამდე აკოწიწებდა.

გუშინ ჩახატარაშვილის სვანეთი თბილისში "ჩამოვიდა" და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფოტოსერია, ფაქტობრივად, ფოტოგრაფის სავიზიტო ბარათად მიიჩნევა, დედაქალაქში პირველად გამოიფინა. ჩხატარაშვილის კოლეგები და მისი თაყვანისმცემლები კი გამოფენის ამ ნაწილს ძველი მეგობრებივით ულიმოდნენ და ერთმანეთს თითოეული ფოტოს გადაღების ადგილის დასახელებაშიც ეჯიბრებოდნენ.

გოეთეს ინსტიტუტის კედლებში გუშინ გახსნილ გამოფენას მეორე ნაწილიც ჰქონდა. ამერიკელი ფოტოგრაფის პოლ ჰალკუნის კადრებს თბილისი მისი ქართველი კოლეგის შემოქმედებაზე უკეთესად იცნობს. მეტიც, იგი "ქარვასლას" გარდა ბათუმის ხელოვნების სახლშიც გამოფენილა. ჩხატარაშვილთან მისი დაწყვილება სრულიად შემთხვევითია, რასაც არა მხოლოდ თავად ფოტოგრაფების მონათხრობი, არამედ გამოფენილი ნამუშევრების სრულიად განსხვავებული კონცეფციაც ადასტურებს.

გია ჩხატარაშვილის სვანური პროექტი იმითაცაა ცნობილი, რომ შარშან დოკუმენტური ფოტოგრაფიის საერთაშორისო ფონდ FIFTY CROWS-ის ფოტოკონკურსზე პირველი ადგილი ერგო. არც თუ დაუმსახურებლად. მისი ფოტოები მხოლოდ სვანეთის მოსახლეობის ცხოვრებას არ ასახავს - სვანები ამ ფოტოებში ცხოვრობენ. თითოეული ფოტო კომპოზიციურად, განათებითა და პერსონაჟთა ხასიათით მსოფლიო ფოტოგრაფიის ენციკლოპედიაში აღმოჩენილ კადრებს წააგავს. ვისაც ამ ენციკლოპედიაში ერთხელ მაინც ჩაუხედია, აუცილებლად დაამახსოვრდებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისის ფოტოები, რომლებზეც ჩიკაგოს ფაბრიკების მუშები, ირლანდიელი ემიგრანტები და აბრეშუმის ოსტატი ჩინელები არიან გამოსახულნი.


გამოფენის ავტორები: პოლ კალხუნი და გია ჩხატარაშვილი.

აქვეა ყოფითი ფოტოებიც - ლამპრობის დღესასწაულის დილის ლოცვაზე შეკრებილი სვანები, შემდეგ კი კოცონზე გადახტომის საუკუნოვანი რიტუალი; სოფლის სასაფლაო მაღალი მთის წვერზე და ზამთრის სვანეთის დათოვლილი პეიზაჟები. "გლეხის ეზო" - ასე დაასათაურა ჩხატარაშვილმა, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული ქვის სახლის ფოტო, რომელსაც მაღალი ყორე აქვს შემორტყმული და პატრონს სატვირთო მანანის უკვე უფუნქციო და მინაჩალეწილი კარი შეუბამს ჭიშკრად. სახლის პატრონი თითქოს ამით ცდილობს ცივილიზაციასთან კავშირის დამყარებას და, ალბათ, მთის ერთფეროვანი ცხოვრების გახალისებასაც.

ნაკლებად დამაჯერებელია პოლ კალჰუნის ქართულ ხასიათთან მიახლოების მცდელობა. იგი კარგა ხნის წინ გაცვეთილ და თითქმის ყველა ქართველი ფოტოგრაფის მიერ ათვისებული სოციალური სფეროს ახლებური ხედვით გადმოცემას ცდილობს და ამას მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებს. კალჰუნის ქართული პერიოდის სოციალური ფოტოგრაფია იმდენად მოკრძალებულია, რომ მის მიერ წლების განმავლობაში ამერიკაში გადაღებული პორტრეტული ფოტოები აშკარად ჯაბნის.

პოლ კალჰუნმა "გოეთეში" 80-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე გადაღებული ფოტოების ერთ ჭრილში მოქცევა გადაწყვიტა, რამაც ამ შემთხვევაში არ გაამართლა. მან საკუთარი ხელით გაწყვიტა ის ჯაჭვი, რომელსაც ეს ექსპოზიცია უნდა შეეკრა. ალბათ, ჯობდა გამოფენა საერთო კონცეფციის ქვეშ გაეერთიანებინა და რაღაცით მაინც დაეკავშირებინა ჩხატარაშვილის სვანეთისთვის. ახალი დუეტის პრეზენტაცია, ასეთ შემთხვევაში გაცილებით ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი იქნებოდა. ალბათ, სწორედ, ამ კონტრასტული დისონანსის გამო დატოვა ამ გამოფენამ ასეთი ფრაგმენტული შთაბეჭდილება.

**გია ჩხატარაშვილი:** "პოლი რამდენიმე თვის წინ გავიცანი და მაშინვე ვიგრძენით ერთმანეთი. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საერთო გამოფენაზე გვეფიქრა. გამოფენას "ხიდი ოკეანეზე" დავარქვით, რაშიც არა მხოლოდ ორ ქვეყანას, არამედ ჩვენს შორის არსებულ კავშირიც ვიგულისხმეთ."

ჩხატარაშვილ-კალჰუნის დუეტი ამ გამოფენით არ შემოიფარგლება და სამომავლოდ ერთი კონცეფციის მქონე ექსპოზიციის მოწყობასაც აპირებს. იმედია, მანამდე უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს და უფრო მყარი ხიდის აგებასაც შეძლებენ.

# ვარიაციები ტრომბონის შესრულებით

### მაიკ სვობოდას კონცერტი და გაკვეთილები

ვერა ნეფარიძე

*"ზოდიაქოს 12 მელოდია" - ასე ეწოდება სტოკჰაუზენის Tierkres-ის მაიკ სვობოდასეულ ვერსიას, რომელსაც მუსიკოსი ქართველ სტუდენტებთან ვორქშოპისთვის გამოიყენებს; ნაწარმოებს სვობოდა მოგვიანებით, შემოდგომაზე შეასრულებს თბილისში აკორდეონისტ სტეფან ჰუზონგთან ერთად. სვობოდას საშემოდგომო გასტროლს ისევ "გოეთეს ინსტიტუტი" გაუწევს ორგანიზებას. მანამდე კი თბილისელი მსმენელი მაიკ სვობოდას 6 მაისს კინომსახიობთა თეატრში დაგეგმილი კონცერტით გაიცნობს.*


მაიკ სვობოდა

ტრომბონისტი და კომპოზიტორი მაიკ სვობოდა თანაბრად აინტერესებთ კლასიკური, ექსპერიმენტული მუსიკისა და ჯაზის მოყვარულებს. ისევე როგორც მუსიკის სტილისტური ენა, სვობოდასთვის მეტად შეუზღუდავია მოღვაწეობისთვის გეოგრაფიული არეალიც: მის კონცერტებს სიამოვნებით უთმობენ აკადემიურ სცენებს ვენაში, ნიუ იორკსა თუ ტოკიოში; თავად სვობოდას ექსპერიმენტული იდეები განხორციელებული აქვს კარლ ჰაინც სტოკჰაუზენთან და ფრენკ ზაპასთან ერთად.

მაიკ სვობოდა დაიბადა 1960 წელს გუამის კუნძულზე, გაიზარდა ჩიკაგოში. რამდენიმე ჯილდოს მოპოვების შემდეგ (ერთ-ერთი ასეთი ჯილდო ახალგაზრდა კომპოზიტორისთვის 1982 წელს მიიღო) საცხოვრებლად ევროპაში გადავიდა და შეისწავლა ტრომბონზე დაკვრა. 1984-1995 წლებში ითანამშრომლა კომპოზიტორ კარლ ჰაინც სტოკჰაუზენთან; ამავე პერიოდში პირველად შესრულდა მისი კამერული მუსიკალური ნაწარმოები; როგორც ტრომბონის სოლისტმა, განასახიერა ლუციფერის როლი შტოკჰაუზენის საოპერო ციკლში კოვენტ გარდენში, ლაიფციგის ოპერაში, ლა სკალასა და სხვა თეატრებში. ამჟამად სვობოდა რეგულარულად მონაწილეობს მნიშვნელოვან ფესტივალებში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იმართება (ბელგიაში, იაპონიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში), არის ევროპის მთავარი ორკესტრების (ბავარიის რადიოს ორკესტრის, ბერლინის რადიოს სიმფონიური ორკესტრის...) სოლისტი, პარალელურად ასრულებს საკუთარი ნაწარმოებების ჯაზურ ვარიაციებს. 1991-92 წლებში Ensemble Modern-თან ერთად თანამშრომლობდა ფრენკ ზაპას პროექტზე Yellow Shark, ხოლო მისი ცხრაწუთიანი იმპროვიზაცია შეგვიძლია მოვისმინოთ Zappa EHN CD-ზე.

მუსიკალურ წრეებში გამოხმაურება მოყვა აკორდეონისტ სტეფან გუზონგთან ერთად ფრესკობალდის კანცონების დამუშავებას; ამავე სერიის გაგრძელება იყო TIERKRES-ის მისეული ვერსია - "ზოდიაქოს 12 მელოდია", რომელიც 2003 წელს გამოიცა. 2004 წელს ეს სერია გააგრძელა ჩანაწერმა Do you love Wagner. როგორც სოლისტმა და უბრალოდ ანსამბლის წევრმა მონაწილეობა მიიღო 30-მდე სხვადასხვა სტილის დისკის ჩაწერაში, დაწყებული ჯაზიდან ქსენაკისისა და ნაჩენმანის ტრომბონის კონცერტებამდე.

ოცი წელიწადია, სვობოდა ინსტრუმენტისთვის რეპერტუარის გასაფართოებლად იღვწის. ამ ხნის განმავლობაში მას 300-ზე მეტი ნაწარმოები აქვს წარმოდგენილი. სვობოდა თანამშრომლობს კომპოზიტორებთან: სანდიფ ბაგვატისთან, სიდნი კორბეტთან, მანუელ იდალგოსთან, მატიას სპალინგერთან, ბერნდ თიგისთან. გერმანიაში კონცერტზე სვობოდა მაიკლ ნიმენთან და იანის ქსენაკისთან ერთად გამოვიდა.

1995 წელს, სტოკჰაუზენთან თანამშრომლობის 12-წლიანი პაუზის შემდეგ, სვობოდა დაუბრუნდა ნაწარმოებების შექმნას. სვობოდას განხორციელებული პროექტები ეკუთვნის ჯაზს, კლასიკურ მუსიკას, ახალ მუსიკას, სატირასა თუ კომედიას. სოლო წარმოდგენებით: Mike Svoboda's Alphorn Special და Alphorn Therapy სვობოდა გამოსულა ნიუ იორკში, ტოკიოში, ბერლინსა თუ ბარსელონაში, ჰიუსტონსა და კრაკოვში. ამას გარდა, მიწვეული იყო ჰანოვერის სახელმწიფო ოპერაში, მანჰეიმის ეროვნულ ოპერაში, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის რადიოში. მრავალი კამერული მუსიკალური ნაწარმოების გარდა, სვობოდამ დაწერა პიესები: Reflective Stuctures სიმებიანი ორკესტრისთვის და სოლო პერკუსიისთვის, რომლის პრემიერაც შარშანწინ შესრულდა Ensemble KulturGut-თან და სოლისტ მაიკლ კიდაიშთან ერთად. მისი ვარიაციები კარმენის თემაზე, პიესა კამერული ორკესტრისა და ტრომბონისთვის, რომელიც 80 წუთზე მეტხანს გრძელდება, პირველად 2003 წლის თებერვალში შესრულდა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს - შტუტგარტის სახელმწიფო ოპერაში შემოდგომაზე დაგეგმილია ERWIN - das Naturtalent (ოპერა ახალგაზრდა აუდიტორიისათვის) პრემიერა.

სვობოდას ჰყავს საკუთარი ტრიო და კვარტეტი, თუმცა, ამჯერად თბილისში იგი მარტო ჩამოდის და კინომსახიობთა თეატრის სცენაზეც საკუთარ სოლო პროგრამას შემოგვთავაზებს.

# საქართველო, რუსეთი, ამერიკა

სოსო ცინცაძე
*პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში*

დღევანდელი ჩვენი სტატიის მიზანს არ წარმოადგენს არც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საგარეო პოლიტიკური კურსის შეფასება და არც მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ანალიზი. უბრალოდ, გვსურს საზოგადოების ყურადღება შევაჩეროთ ერთ ახალ წიგნზე სათაურით "პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოს, რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1991-2001 წლებში", რომლის ავტორია ახალგაზრდა და პერსპექტიული პოლიტოლოგი სალომე ყორანაშვილი.



როგორც წიგნის სათაურიდან იკვეთება, მასში ავტორი ქრონოლოგიური პრინციპით გადმოგვცემს XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ისტორიას რუსეთთან და დასავლეთთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ თემა ავტორისეული გადაწყვეტილებით დაყოფილია ორ წიგნად. ჩვენს ხელთ არსებულ პირველ წიგნში საუბარი ეხება პოლიტიკურ ურთიერთობებს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1991-1996 წლებში და დასავლეთის ქვეყნებისა და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. წიგნში კარგად არის ჩამოყალიბებული ის მიზეზები, თუ რატომ დარჩა 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო "გარიყული" დასავლეთის მიერ და როგორ გამოიყენა ეს რუსეთმა ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოზე (თუმცა, მასში საუბარი გაკვრით ეხება საბჭოეთის სივრცეში მდებარე სხვა რესპუბლიკებსაც) პრესინგის გასაძლიერებლად.

ჩვენ ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ 90-იან წლებში მიმდინარე არც გორბაჩოვისეული რეფორმები (მ. გორბაჩოვის მშვიდობისმყოფელი იმიჯი მხოლოდ ნიღაბი იყო - იგი მიზნად ისახავდა ყოფილ კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების ხელახალ შერწყმას მოსკოვის ხელმძღვანელობის ქვეშ) და არც შემდგომში ბ. ელცინის ხანა გამოირჩეოდა დემოკრატიულობით ე.წ. ახლოსაზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში. ხაზგასმულია, თუ რა პრიორიტეტები დაკარგა რუსეთმა დაშლის შედეგად და რასაც დღემდე ვერ შერიგებია რუსეთის მმართველი წრეები და ელიტა - ისინი ვერ შეეგუენ თავისი სახელმწიფოს ზომების შემცირებას, მათთვის ხომ ამის გადატანა ჯერ კიდევ შეუძლებელია.

ს. ყორანაშვილმა თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა რუსეთის ინტერესების მთელი წყება ამიერკავკასიაში და უფრო ვრცლად კი საქართველოში. წლების მიხედვით განიხილა და გააანალიზა შიდაპოლიტიკური სიტუაციის ესკალაციის მთელი ციკლი, ხაზი გაუსვა ბ. ელცინის პიროვნულ შტრიხებსაც. მისი აზრით (ამას ჩვენც სრულიად ვიზიარებთ), 90-იანი წლების პირველ ნახევარში კრემლის სათავეში მყოფი ბ. ელცინი ის ფიგურა არ იყო, რომელიც მართვას ექვემდებარებოდა, მით უმეტეს, თავისი ქვეშევრდომების მხრიდან. აქედან გამომდინარე, რუსეთის არმია ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ვერ იმოქმედებდა პრეზიდენტის სანქციის გარეშე, რასაც ავტორი ფაქტებით ადასტურებს.

წიგნის მეორე თავში თავმოყრილია რუსეთის მხრიდან საქართველოსთან დადებული და მასთან მიმართებაში დსთ-ის წევრ სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარღვეული პუნქტები და რუსეთის მშვიდობისმყოფელების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტებიც.

დანართის სახით წიგნს ახლავს 1991-1996 წლებში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულებების ნუსხა. აღსანიშნავია, რომ ძიებანი მრავალმხრივაა მიმართული. საამისოდ კი მოხმობილია ქართული და უცხოური მასალები. ჩვენ კიდევ ერთხელ ვულოცავთ წიგნის ავტორს, ქ-ნ სალომე ყორანაშვილს მის ლამაზ პროდუქტს, მით უფრო, რომ დღემდე, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, წიგნის სახით არ არსებობდა ამ პერიოდის საქართველოს მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკური კურსის ისტორიის ანალიზი. ვიმედოვნებთ, რომ მეორე წიგნი მალე იხილავს მზის შუქს. ავტორს კი დავულოცავთ გზას და წარმატებებს ვუსურვებთ.

# სახლი - ხელოვნების ერთიანი ნიმუში

ნათია ლურსმანაშვილი

1893 წელს ლონდონში ჟურნალ "The Studio"-ს პირველი ნომერი გამოვიდა. გამოცემა ინტერიერის გაფორმების ახალ იდეებს ეძღვნებოდა. სწორედ მას უკავშირდება არტ ნუვოს (მოდერნის სტილის) დაბადება ინგლისში. იმავე წელს ბელგიელმა არქიტექტორმა ვიქტორ ორტამ სასახლე ტასელა - მთლიანად ახალი სტილით შესრულებული პირველი საცხოვრებელი სახლი ააგო.

არტ ნუვო სახელითვე გვაუწყებდა, რომ საქმე წარსულის ტვირთისგან გათავისუფლებულ ახალ ხელოვნებასთან გვქონდა. XIX საუკუნის ინდუსტრიულმა რევოლუციამ მკვეთრად განსაზღვრა მისი მიმართულება - ახლად გაჩენილმა ენერგიის ფორმებმა (ელექტროობა), ასევე ახალმა გამოგონებებმა (რკინიგზა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ფოტოგრაფია) ცხოვრების სტილი მკვეთრად შეცვალეს.

ეწყობოდა უამრავი საერთაშორისო გამოფენა, რომლებიც კაცობრიობის პროგრესის და უკეთესი მომავლის საერთო რწმენას გამოხატავდნენ. პირველი მათგანი 1851 წელს, ლონდონში, ყველაზე ძლიერი და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის დედაქალაქში შედგა. გამოფენამ უზარმაზარ "ბროლის სასახლეში" დაიდო ბინა. მან 6 მილიონზე მეტი მნახველის ყურადღება მიიპყრო და საზოგადოებაში დიდი წარმატებაც მოიპოვა. ინგლისელი მხატვრები ყოველდღიური მოხმარების საგნების უგემოვნო გაფორმების ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებდნენ.

## ხელოვნება და ხელობა

ინგლისელმა მხატვარმა უილიამ მორისმა (1834-1896) ნამდვილი ჯვაროსნული მსვლელობა მოაწყო "უმსგავსოების ტირანიის" წინააღმდეგ. მისი თქმით, სპილოს ძვლის სასახლეებში ჩაკეტვის და ელიტისთვის მსხვერპლეშწირვის მაგივრად, მხატვარი ყოველდღიურ საგნებს უნდა ქმნიდეს და ამით ერს ემსახურებოდეს. აუცილებელია დაინგრეს ის ბარიერი, რომელიც მხატვარს ხელოსნისგან ყოფს. არც ხელოვნების "მაღლად" (ფერწერა, სკულპტურა, არქიტექტურა) და "დაბლად" (ავეჯის შექმნა, კერამიკა, ამოქარგვა და ქსოვა) ტრადიციული დაყოფა ივარგებდა. მორისის მოძრაობა "ხელოვნება და ხელობის" დამაარსებელი გახდა. მისი მოძრაობა მხატვრული კრიტერიუმების ყოველდღიურ საგნებში გამოყენებისკენ, ანუ, როგორც მას მომავალში უწოდეს დიზაინისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

პრინციპის - "დეკორატიული გულახდილობის" ერთგულების გამოსახატავად მორისმა კენტში თავისი ახლად აშენებული "წითელი სახლის" შელესვა არ მოინდომა. ამით აგურის ბუნებრივ სილამაზეს ინარჩუნებდა. ინტერიერის გასაფორმებლად მეგობრები მოიწვია: მხატვარი, არქიტექტორი და მოქანდაკე. 1861 წელს ლონდონში ფირმა "მორისი და კო" დაარსა, რომელიც ავეჯის და ინტერიერის სხვა დეტალების ახალ მხატვრულ სტილში დამზადებითა და გაყიდვით იყო დაკავებული. ამ საქმემ მორისი მთლიანად მოიცვა. მისგან მაგალითი მრავალმა ინგლისელმა მხატვარმა, მოქანდაკემ და არქიტექტორმა აიღო და ისინი პირველ დიზაინერებადაც გადაიქცნენ.





"ხელოვნების და ხელობის" სწრაფი გავრცელება ევროპაში მხატვრულ ჟურნალებს უკავშირდება. ყველაზე ცნობილი მათ შორის "The Studio. An Illustrated Magazine of Fine & Applied Art" იყო. ჟურნალი ახალ ხელოვნებას უწევდა პროპაგანდას დევიზით - "სარგებლობა და სილამაზე". მის გვერდებზე მხატვრებთან ინტერვიუები, გამოფენათა განხილვები იბეჭდებოდა. ჟურნალი ილუსტრაციებით, მეტწილად ფოტოებით გამოირჩეოდა.

მორისი შპალერისა და ბეჭდური ჩითისთვის ყვავილებისა და მცენარეების მოტივებით გამდიდრებულ ნახატებს ქმნიდა. ამით ის ბუნებას უახლოვდებოდა. ნახატებისთვის მინდვრის და ბაღის ფერებს იყენებდა - ყვითელი ნარგიზი, ია, ზიზილა, მაგრამ მის შემოქმედებაში უპირატესობით მხვიარა მცენარეები სარგებლობდნენ.

გადახლართული ხაზები მოდერნის განმასხვავებელ შტრიხად იქცა. დეკორატიულ ქსოვილებში, წიგნების გაფორმებებსა და ილუსტრაციებში მათ სულ უფრო ხშირად იყენებდნენ. ახალ სტილი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სახელს იღებს ("Modern Style" - საფრანგეთში, "stile Liberty" და "stile inglese" - იტალიაში), თუმცა ყველა მათგანი ევროპაში მომავალი არტ ნუვოს ფორმირებაში ინგლისელი მხატვრების წვლილს უსვამს ხაზს.

ბელგიამ ახალი სტილი ყველაზე გულღიად მიიღო. მოდერნმა არა მარტო დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების, არამედ არქიტექტურის მიმართულებაც განსაზღვრა. სწორედ აქედან გავრცელდა არტ ნუვო მთელს ევროპაში. XIX საუკუნის 80-იან წლებში ბრიუსელი მხატვრული ავანგარდის წამყვან ცენტრად იქცა. 1883 წელს ბელგიაში ჩამოყალიბებული "ოციანების ჯგუფი", (შემდგომში გაერთიანება - "თავისუფალი ესთეტიკა") თავის ყოველწლიურ გამოფენებზე ყველაზე ორიგინალურ და ერთმანეთისაგან განსხვავებულ მხატვრებს იზიდავდა (ერთ-ერთ მათგანზე ვან გოგმა თავის ცხოვრების განმავლობაში საკუთარი ნამუშევრების ერთადერთი გამოფენა-გაყიდვა მოაწყო). 1891 წლიდან გაერთიანებამ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენაც დაიწყო: ხალიჩები, კერამიკა, ილუსტრირებული წიგნები და ასევე ავეჯი. 1895 წელს, ერთ-ერთ ასეთ გამოფენაზე "ხელოსნის ოთახი" წარადგინეს. ავტორი - მხატვარ-არქიტექტორი გუსტავ სერიურე-ბოვი (1858-1910) პირველი იყო, ვინც ინგლისში დამზადებული ქსოვილები და შპალერები ბელგიაში გაიტანა.

უილიამ მორისის საზოგადოებრივმა და მხატვრულმა იდეებმა ყველაზე დიდ შთაბეჭდილება ბელგიელ მხატვარ ჰენრი ვან დე ველდეზე მოახდინა. დაქორწინების შემდეგ ჰენრიმ უკლში, ბრიუსელის გარეუბანში თავადვე აიგო სახლი - ვილა "ბლიუმენვერფი" და მისი ინტერიერის გაფორმებაც საკუთარ თავზე აიღო. ის იულიამ მორისსზე შორს წავიდა: თავადვე დააპროექტა, გააფორმა ინტერიერი ავეჯის, შპალერების და სხვა საოჯახო დეტალების ჩათვლით და თავისი მეუღლის კაბების შექმნითაც თავადვე დაკავდა. უნივერსალური ადამიანი და ნამდვილი მხატვარი მწერლობის ნიჭითაც ამაყობდა და "სასიცოცხლოდ აუცილებელი ორნამენტიკის" თეორიაც შეიმუშავა. თეორია შტრიხების დინამიკისკენ მოგვიწოდებდა, რომლებიც "პირველ რიგში შინაგანი სიცოცხლით ნაკარნახევ მოძრაობას გამოხატავენ".

## რევოლუცია არქიტექტურაში

1893 წელს არქიტექტორმა ვიქტორ ორტამ ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორ ემილ ტასელასთვის სასახლე ააგო. შენობა ყველაზე სრულად გამოხატავდა ახალ სტილს.

ორტამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში. ინტერიერის და ექსტერიერის გასაფორმებლად მეტალის გამოყენება დაიწყო, მასალის, რომელიც იმ დრომდე მხოლოდ საინჟინრო კონსტრუქციებში, საგამოფენო დარბაზების, რკგინიგზის და ორანჟერიების მშენებლობაში გამოიყენებოდა. 1889 წელს ორტამ ფრანგი ინჟინრის გუსტავ ეიფელის ცნობილი მეტალის სასახლე ნახა. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ბურჟუაზიული სახლების მშენებლობაში უხეში და ვულგარული რკინის დანერგვის მცდელობა, მისი მხრიდან ნამდვილად თავხედური ნაბიჯი იყო.

არანაკლებ სითამამეს მოითხოვდა ლურსმნების დაფარვისგან თავის შეკავებაც, რაც აბსოლუტურად ახალი არქიტექტურული ენის შექმნას უწყობდა ხელს. ორტამ შიდა სივრცის პროექტირების პრინციპები საფუძვლიანად შეცვალა. სივრცე უფრო გაიხსნა და კედლები მეტალის გამჭვირვალე კონსტრუქციებით შეიცვალა. რკინის და შუშის კედლები ინტერიერის ყველა კუთხის განათებას უწყობდა ხელს, ხოლო კიბე შენობის დეკორატიული კომპოზიციის ცენტრად იქცა. ყველაფერი ეს ექსტრაორდინალურობით გამოირჩეოდა.

ფასადი ზოგადი გეგმის ანარეკლი იყო; შიდა გეგმარება მფლობელის გემოვნებას პასუხობდა. სხვა სიტყვებით, როგორც ორტა ვინინგერის სასახლეზე წერდა, სახლი - ეს იმ ადამიანის პორტრეტია, ვინც მასში იცხოვრებს. თავისი პრინციპების გათვალისწინებით, ორტამ საკმაოდ უცნაური პროექტი შექმნა სასახლე ტასელასთვის - ცვლადი დონეები და ავეჯის არჩევანი - ყველაფერი ეს დამკვეთის ავადმყოფი მეუღლისთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად იყო გათვალისწინებული.

ამგვარ ინდივიდუალიზირებულ შენობაში არქიტექტორმა ყველა დეტალი უნდა გათვალოს. ორტამ ტასელასთვის თავად შეიმუშავა პროექტი, ფანჯრების გაფორმების, კედლების მოხატულობის, მოზაიკის, შპალერის, მეტალის დეტალების და კარის სახელურების ჩათვლით. იმაზეც იზრუნა, რომ განათების და გათბობის საშუალებები მთლიანად პასუხობდნენ ინტერიერის ხასიათს.

ტასელას სასახლის წარმატებამ ორტას კიდევ ორი მსხვილი დაკვეთა მოუტანა: სახლი მაგნატ არმან სოლვესტვისთვის და სასახლე ედმონდ ვან ეტველდესთვის. ორივე შემთხვევაში ფართო ვესტიბული იყო გათვალისწინებული, თუმცა ორტამ თავის პრინციპებს არ უღალატა და შენობების გეგმარებისას კლიენტების ინდივიდუალობა გაითვალისწინა. ვიქტორი არა მარტო თვითონ ადგენდა პროექტებს, არამედ თავადვე აკონტროლებდა ყოველი დეტალის შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ მასთან უმაღლესი კლასის ხელოსნები მუშაობდნენ.

1896 წელს ორტამ ბრიუსელში ახალი სახალხო სახლის აშენება ითხოვა. მის რკინის და შუშის ფასადს მიღმა კოოპერაციულმა მაღაზიებმა, სამუშაო ოთახებმა, კაფეებმა დაიდეს ბინა. მეორე სართულზე განთავსებული დარბაზები ბელგიის სოციალური პარტიის სხდომების, ბანკეტებისთვის და ლექციებისთვის იყო განკუთვნილი.

XX საუკუნის დასაწყისში მოდერნი მოდად გადაიქცა. ორტას მაგალითს მრავალმა გამოჩენილმა არქიტექტორმა მიბაძა. ბრიუსელის ახალ რაიონებში ახალი სტილის სახლები სოკოებივით მომრავლდა. ქალაქს "არტ ნუვოს დედაქალაქი" უწოდეს, რამდენადაც სწორედ აქ მოხდა ამ სტილის სრულყოფილი განვითარება. თუმცა ორიგინალურობით მხოლოდ შენობათა ფასადები გამოირჩეოდნენ, მათი გეგმარება ძველ, მოუხერხებელ სივრცედ რჩებოდა. ვიქტორ ორტას ოცნება - "სახლი, როგორც ხელოვნების ერთიანი ნიმუში" - სამწუხაროდ განუხორციელებელი დარჩა.

---

*სამსონ ლეჟავას სვეტი*

## უახლესი კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა საქართველოში



ძველი კულტურული მემკვიდრეობის ხშირ დაუფასებლობაზე საუბრისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უახლესი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ დამოკიდებულებაც იმავე სახისაა. საკმარისია აღინიშნოს უდიერი მოპყრობა ნიკოლოზ იგნატოვის შესანიშნავი მოხატულობისადმი მთაწმინდაზე. ამ ნამუშევარში ავტორმა

წარმოაჩინა პატივმიგება ტრადიციის მიმართ, ნათელყო მდიდარი წარმოსახვა, სანახაობრივი ზეიმის სახე მიანიჭა ინტერიერის გამამშვენებელ ქმნილებას

"ფიროსმანისადმი მიძღვნა", რომელიც დღეს განადგურების პირას არის მისული.

უფრო ადრე, ძალიან სერიოზული შეცდომა იყო ე.წ. "იმელის"ფასადზე იაკობ ნიკოლაძისეული რელიეფების განადგურება,ისევე როგორც მის ინტერიერში დაცული ერთ-ერთი მოხატულობის ვანდალური მოსპობა "რევოლუციური" ენთუზიაზმით აღვსილთა მიერ. საერთოდ, მცდარად მიმაჩნია ისტორიის ფურცლების"ამოხევა": ეს უფრო მეტად თვითმოტყუებას ჰგავს, ვიდრე სამართლიანობისათვის ბრძოლას.

კულტურულ-ისტორიულად თუ მხატვრულად მნიშვნელოვან ნაწარმოებთა ერთგვარად უკონტროლო ანულირების დროს, "პარალელურად" ბევრი საეჭვო

ფასეულობის ქანდაკება სოკოებივით ამოიზარდა ზოგჯერ სრულებით

შეუფერებელ ადგილებში. ეჭვსგარეშეა, რომ ასეთი სტიქიურობა კარგს არაფერს

მოუტანს ქალაქს. ყველაზე გამართლებული იქნებოდა კონკურსთა პრაქტიკის აღდგენა, რაც მეტწილად მივიწყებულია. ბუნებრივია, რომ კონკურსები შეძლებისდაგვარად მიუკერძოებელი უნდა იყოს. უპირატესად საბჭოური, ანდა სხვა რიგის გაუმართავი ესთეტიკით დაღდასმული, თანამედროვე აზროვნებისათვის შეუფერებელი, დრომოჭმული სკულპტურების მომრავლება ყოველდღიურ რეალობად იქცა, ხოლო მახვილგონივრული, აქტუალური და ოცდამეერთე საუკუნის სპეციფიკური ხატოვანების მატარებელი ფორმები ქალაქში ვერ მკვიდრდება: ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ამ თვალსაზრისით "ქვის ხანაში" ვიმყოფებით. ახალი დროის ხატოვანებაში ბილბორდებისა თუ სარეკლამო აბრების სტანდარტული ფორმები, მხოლოდ ძალზე ზედაპირული შრეა, ჩვენს გარემოში კი სამწუხაროდ პროვინციულობის საკუთარი ელფერის მქონეც. ახალი იდეები მხოლოდ ვიზუალურ არტისტთა სახელოსნოებსა და გალერეების გარემოში ჩნდება - თავისი კამერული, ლოკალური ფორმებით, და მალევე ეძლევა დავიწყებას.

კვლავ დავუბრუნდეთ უახლეს კულტურულ მემკვიდრეობას, რომლისადმი მიმართებაც არაკომპეტენტურობის გამოხატულებაა: ერთ-ერთ დამაფიქრებელ მაგალითს წარმოადგენს დღევანდელი ბავშვთა სურათების გალერეის შენობა. ამ თეთრად დაფერილ ნაგებობასთან გამომხატველ კონტრასტს აყალიბებდა შეუბღალავი, ბუნებრივი ფაქტურის მქონე ხის აივნები. როგორც ჩანს, ასეთი მომგებიანი თვდაჭერილობა არასაკმარისად შთამბეჭდავად მიიჩნიეს და აივნები ნაირფერად, ჭრელაჭრულად, "თუთიყუშისებრად" შეღებეს. მსგავსი "გაქინდერსიურპრიზება" მდარე გემოვნების მაუწყებელია. სხვაგვარად მოეპყრნენ მელიქიშვილის ქუჩაზე, როდენის ქუჩის ჩასახვევთან მდებარე, ე.წ. ტერაზიტული შელესვის მქონე სახლს, რომლის თეთრად დაფერვამ მთლიანად ჩაკლა ფასადის სპეციფიკური რადგან არსებობს ფასადთა შესალებად გამოყოფილი თანხები, უმჯობესია ისინი მნიშვნელოვან ძეგლთა რეაბილიტაციას მოხმარდეს. სხვა შემთხვევაში დანგრევის პირას მისულ შენობათა ცრუ მაკიაჟთან გვექნება საქმე, რაც არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ ფსიქოლოგიური პრობლემაცაა - როგორც ჩანს, საბჭოური აზროვნების სტანდარტთა დაძლევა იოლი არ არის.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ სასტუმრო "ივერიისა" და მის ინტერიერთა მომავალსაც. ვფიქრობ, აქ ვოლუნტარისტული მიდგომით კარგი შედეგის მიღება გამორიცხულია - ცხადია უმჯობესია აწონ-დაწონილი ქმედება.

თავის დროზე, ამ სასტუმროს ამშვენებდა ალეკო გორგაძის ჭედურობის საუკესო ნიმუშები, რომელთა მდგომარეობა დღეს არასახარბიელოა. აუცილებლად ითხოვს ზრუნვას ნაგებობის ეზოში დაცული გურამ კორძახიას ქანდაკება, გამორჩეული ჰარმონიულობითა და დახვეწილობით; ვახტანგ ქოქიაშვილის მშვენიერი ვიტრაჟი, რომელშიც ორიგინალურად არის გათამაშებული ვიზუალური ფოლკლორის ტრადიცია; რიგი სხვა ნაწარმოებები. ისინი საბედნიეროდ არ გასწირეს სასტუმრო "ივერიასთან" არსებულ სხვადასხვა დაწესებულებათა მესვეურებმა, რისთვისაც მას მადლობა ეთქმის. ახლა კი ამ ნამუშევართა სამომავლო ბედი გაურკვეველია.

ასევე დაცულ იქნა (ისევ და ისევ ამ შენობაში დამკვიდრებულ სხვადასხვა

ორგანიზაციათა ხელმძღვანელების კეთილი ნების შედეგად ) გულდა კალაძის ღირსეული ქმნილება - საფასადო, რიტმულად მაღალორგანიზებული, ცოცხლად სტილიზებული რელიეფი, და ბელა ბერძენიშვილის მაღალმხატვრული ფრესკა, რომელშიც ტრადიციული ყოფის სურათები ფაქიზად, პოეტურად, სისადავითა და გემოვნებით არის მოწვდილი.

თუკი ამ ნაწარმოებთა სხვაგან გადატანა და დაცვა პრობლემატური აღმოჩნდება განაშენიანების რადიკალური ცვლილებების შემთხვევაში, არქიტექტორებმა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გაითვალისწინონ, რომ აუცილებელი იქნება მათი ახალ კონტექსტში შეუბღალავად ჩართვა - ეს საინტერესო ამოცანაც არის შემოქმედებისათვის. სწორედ ასეთ მიდგომას გულისხმობს უახლესი მემკვიდრეობისადმი მართებული, გონივრული და ცივილიზებული დამოკიდებულება.

**P.S.** აქ წარმოდგენილია ბელა ბერძენიშვილის მოხატულობის ფრაგმენტი.

---

# გარლანდის კაბა 252 ათას დოლარად

ცისფერი კაბა, რომლითაც ჯუდი გარლანდი "ოზის ჯადოსნურ სამყაროში" დოროთის როლს თამაშობდა აუქციონზე 252 ათას დოლარად გაიყიდა.

აუქციონის შედეგებმა ბევრად გადააჭარბა ორგანიზატორების (Bonhams & Butterfields) ყველაზე თამამ მოლოდინს, რომლებიც კაბიდან მაქსიმუმ 70 ათასი დოლარის მიღებას ვარაუდობდნენ.

XX საუკუნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კაბის მფლობელი ვაჭრობის ერთ-ერთი მონაწილე გახდა, რომელიც ფსონს ტელეფონის საშუალებით დებდა. გამარჯვებულმა ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.

გაყიდული კაბა ერთ-ერთია გარლანდისთვის შექმნილი ექვსი ერთნაირი კოსტიუმიდან. ჯუდი 1939 წლის გადაღებების დროს 17 წლის იყო. ერთადერთი, რაც ამ კაბას სხვებისგან გამოარჩევს - დაკერებული ჯიბეებია.



"ოზის ჯადოსნური სამყაროს" გადაღებები სტუდია MGM-ში ნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში სურათმა რამდენიმე რეჟისორი გამოიცვალა და მისმა ბიუჯეტმა 2,8 მილიონი დოლარი შეადგინა. 1940 წელს ფილმმა საუკეთესო მუსიკისა და სიმღერისთვის ორი ოსკარი მიიღო, ხოლო გარლანდი სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს.

# პიკასოს სურათი კონტრაბანდულ შედევრებს შორის



ნათია ლურსმანაშვილი

იტალიის სამხრეთით, ნეაპოლის მახლობლად ადრე მოპარული შვიდი ხელოვნების ნიმუშია აღმოჩენილი. მათი საერთო ღირებულება 1,3 მილიონი ევროა.

ტელეკომპანია BBC-ის ცნობით აღმოჩენილ ნახატებს შორის 1992 წელს დაკარგული პაბლო პიკასოს, ჯორჯ მორანდის ნახატები, არნოლდ პომოდოროს სკულპტურა და ინგლისელი მხატვრების გილბერტის და ჯორჯის ნამუშევრებია. პიკასოს ნამუშევარი 1992 წელს კერძო კოლექციიდან მოიპარეს.

საქმესთან დაკავშირებით ნიცაში ხელოვნების ნიმუშების კონტრაბანდაში ეჭვმიტანილი დააკავეს. მას გარდა, იტალიის პოლიციის და გამოძიების წარმომადგენლის განცხადებით ძარცვაში სხვა 9 ადამიანიც ფიგურირებს. სურათები და სკულპტურები სავარაუდოდ იტალიის ფარგლებს გარეთაც იყიდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ერთი თვის განმავლობაში პიკასოს მეორე დაკარგული სურათია ნაპოვნი. აპრილის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ პარიზის ერთ-ერთ სახლში, კარადის უკან 2004 წელს პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმ "პომპიდუს ცენტრიდან" ცნობილი კუბისტის დაკარგული ნამუშევარი აღმოაჩინეს.



დავით კოვზირიძის სვეტი

# შაშის შიში

...გოლი გაიტანა, ყვითელი მიიღო, იტირა და ოფიციალურად დაემშვიდობა ბრაზილიელ ხალხს. რომარიო აღარასდროს ითამაშებს ნაკრებში. არაა მთლად სასიამოვნო ამბავი, მაგრამ დროს არ აინტერესებს სიამოვნება და უსიამოვნება, ის მიდის და თან მიაქვს ყველაფერი, კარგიც და ცუდიც.

ბოლო ხანებში ისეთი უცნაური რამ შევნიშნე, ვერასდროს რომ ვერ წარმოვიდგენდი - ფეხბურთს ძველებური ხალისით ვეღარ ვუყურებ. ჯერ შემეშინდა, მერე შემრცხვა და ჭკუიდან რომ არ შევშლილიყავი, სოკერის მოყვარულ საზოგადოებაში შევაგდე თემა, რამაც ჩემთვის სანუგეშო, ზოგადად ფეხბურთისთვის კი საგანგაშო შედეგი გამოიღო - ხალხს მობეზრდა მონოტონურ ჭრილში გადასული სანახაობა, კიბერნეტიკული შოუ. ვინმემ უყურეთ "პარმა"-ცსკა-ს? უეფას თასის ნახევარფინალს? ნეტა ჩამეწერა, გავამრავლებდი და გავყიდიდი როგორც ძილის მომგვრელ უუებარეს საშუალებას. ფინანსურ ხეირს მაინც ვნახავდი. მაგრამ ვერ მოვასწარი, მეორე ტაიმის დასაწყისში ტკბილად მეძინა. ვინმეს ხომ არ გაქვთ ჩაწერილი, შევეკრათ და მშვენიერი ბიზნესი გამოგვივა. არა? ნუ იდარდებთ, აგერ არაა სერია ა? ყოველ ტურში ხუთ-ექვს მატჩს დიმედროლის ეფექტი აქვს.

გულშემატკივრები თავს იმშვიდებენ და მთქნარებით ამტკიცებენ, რომ როდესაც 90 წუთის განმავლობაში ორივე გუნდი კარში თითოჯერ ურტყამს, ეს კლასის მომასწავებელია. რაღაც თავის მართლებასავით გამოსდით, მე კი არ მჯერა საფეხბურთო მიმდინარეობისა, რომელსაც ადვოკატები ესაჭიროება. დომინოს კლასიკოსები ასე თამაშობენ - აიღებენ ქვებს, დახედავენ, "ჩოთქზე" ქულებს იწერენ და ეგრევე მომდევნო პარტიას იწყებენ. მათ პროცესის მუღამი აღარ აქვთ და მხოლოდ შედეგი, გამარჯვებული აინტერესებთ. და რადგან ფეხბურთშიც მსგავსი ტენდენციები მომრავლდა, მაშინ დომინოსგან ვისესხოთ წესები - გუნდები გავლენ მოედანზე, თითოჯერ შეუტევენ ერთმანეთის კარს და თუ გოლს ვერ გაიტანენ, მაშინ იჭიდაონ. ან დომინო შეუბერონ. ან კიდევ იშაირონ.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ შედეგზე, ფულზე, დაცვაზე დაგეშილი გუნდების დამარცხება ლაღად, თამაშით შეუძლებელი ხდება და დიმედროლზე ალერგიის მქონე კლუბებიც რობოტისებურ მეტოქეებს ემსგავსებიან. ამ ამბავს უკვე შეეწირა "ლივერპული", ოდითგანვე შეტევის, ემოციების, თავისუფლების მოყვარული გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში აღარც უშვებს და აღარც გააქვს. ეს არ არის ნამდვილი "ლივერპული" და მისი ბრალი აქ არაფერია, "იუვენტუსმა" და "ჩელსიმ" აიძულეს "მაღალი კლასის ფეხბურთის თამაში."

ხოლო მაშინ, როცა "ლივერპული" "იუვენტუსს" დაემსგავსება, "იუვე" - "ფენერბაჰჩეს", "ფენერი" - "ვალენსიას", ყველაფერი აიზილება და თამაშის სტილით ვერ მიხვდები, რომელი გუნდები არიან მოედანზე, ფეხბურთი გადაიქცევა შაშად. შაში კი სპორტის ის სახეობაა, რომელშიც ყველა კომბინაცია გაიშიფრა, სიახლე გამოირიცხა და გაუქმდა. იცოდით? შაში დამთავრდა!

რომარიოს და მისნაირების წასვლა კი ახალი ნაბიჯებია ფეხბურთის შაშად გადაქცევისკენ. "შენ ბურთის მამა ხარ" - ეწერა გაცილებისას გამოფენილ პლაკატზე. "ვერავინ იტყუება მოედანზე რომარიოზე მაგრად" - თქვა ხორხე ვალდანომ. "მას ყველაზე ავანტიურისტული აზრები მოსდის თავში და ამ აზრებს ბურთის დახმარებით აცნობს მილიონობით ადამიანს" - ეს უკვე სოკრატესია.

რომარიო ხშირად სვამდა, პაპიროსის ქაჩვასაც არ ერიდებოდა, ვარჯიშებზე აგვიანებდა ან საერთოდ აცდენდა, კოპაკაბანაზე ერთ ლამაზ გოგოს არ გაუვლია მის შეუმჩნევლად და დაუგემოვნებლად, მერე კი მინდორზე გადიოდა და ისეთივე სექსუალურობით ეფერებოდა ბურთს, როგორც იმ მზეთუნახავებს. ბურთი მისი საყვარელი იყო და არა სამუშაო იარაღი. ამიტომაც ჰქონდათ იდუმალი, სხვებისთვის მიუწვდომელი ურთიერთობა.

ნამდვილი სასწაული! რამდენიმე წუთის წინ მეგობარმა დამირეკა (სტამბულის ბილეთებს რომ ჩალიჩობს, იმან) და ორი ამბავი მითხრა: ა. იმეილით გამოგიგზავნე კადრები, სადაც 9 წლის ბრაზილიელი ჯიგარი საოცრებებს სჩადის ბურთით. ბ. ქართულ კლასიკოს, "დინამო"-"ტორპედოს" არ უყურებ? სუფთა შაშია.

საბოლოოდ დავრწმუნდი ტელეპატიის არსებობაში.

იმაშიც, რომ თავის დროზე ბოსმანის აჯანყების გამო მომხდარი ცვლილებები ფეხბურთზე სულ უფრო უარყოფითად მოქმედებს, აკარგვინებს მარილს და ამსგავსებს ბიზნესს. რაც უფრო ვითარდება ეს უკანასკნელი და რაც უფრო დიდი დივიდენდები მოაქვს, მით მეტია ტელევიზორებთან მხვრინავი ხალხის რაოდენობა. მიზეზი მარტივია: წამყვან კლუბებში სასწორზე იმდენი დევს, გამარჯვებას იმხელა ფინანსური და არა ემოციური ფასი დაედო, მილიარდერი მეპატრონეები ისე კატეგორიულად ითხოვენ დაქირავებული მუშახელისგან ანუ ფეხბურთელებისგან მხოლოდ წარმატებას, რომ უკვე სულ ერთია, როგორ გაიმარჯვებს, ვთქვათ, "მილანი" - მთავარია მოიგოს და სილვიო ბერლუსკონის ამბიცია დააკმაყოფილოს. ტოტალიზატორებისა არ იყოს, აქცენტმა მოედნიდან ტაბლოზე გადაინაცვლა.

უზარმაზარი ფული, ყოველივესთან ერთად, წონასწორობასაც არღვევს და რამდენიმე კლუბს აპრიორი აყენებს მომგებიან მდგომარეობაში. აბრამოვიჩს რომ "ჩელსი" არ ეყიდა და მილიონები არ დაეხარჯა ვარსკვლავების მოსახვეტად, მატეა კეჟმანს, შეიძლება, დღესაც "ეინდჰოვენის" ფორმა სცმოდა და ის მომენტები გამოეყენებინა, ნორჩმა ფარფანმა და იანკმა ბისლიმ რომ დაანიავეს "მილანთან". უფრო საინტერესო არ იქნებოდა საპასუხო "ეინდჰოვენი"-"მილანი"? ანდა "ლივერპული"-"ჩელსი" უფრო ბუნებრივი, ინგლისური და ჯიგრიანი არ გამოვიდოდა?

რა კარგი იყო, როცა ლიმიტი არსებობდა და მინდორზე ერთდროულად გასვლა მხოლოდ სამ უცხოელს შეეძლო. მაშინ "მილანს" ვქომაგობდი ვან ბასტენის, გულიტის და რაიკაარდის სამაიათი ალტაცებული. რა, არ გადაურბინეს ყველას და ყველაფერს ძალიან ლამაზად? ახლა წარმოიდგინეთ, ჰოლანდიელებთან ერთად რომ ეთამაშათ მარადონას, მათეუსს, რომარიოს, გასკოინს. ხო გამოვიდოდა უგემური აჯაფსანდალი, რომელიც ყველას ყელში ეჩხირება?

P.S. აჯაფსანდალზე გამახსენდა. თბილისი ისე დაბნეულად ააჭრელეს, სერიოზული ეჭვი იშვა, რომ ჯორჯ ბუშის დასახვედრად კი არა, მარიხუანის ლეგალიზაციისთვის ვემზადებით.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# ქუთაისური მუხრუჭი საჩემპიონო გზაზე

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის 31-ე ტურმა ამ ტურნირს მცირე ინტრიგა დაუბრუნა. თბილისის "დინამომ", რომელიც ახალი მთავარი მწვრთნელის კახაბერ ცხადაძის ხელში ახლებურად ათამაშდა, მარცხი განიცადა და ფრაზას - "დინამო" ჩემპიონი გახდება, მცირე კითხვის ნიშანი დაუბრუნა. მართალია, ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტურით ადრე ცხადაძის გუნდის უპირატესობა კვლავაც შთამბეჭდავია და უახლოეს მდევართან, ქუთაისის "ტორპედოსთან" ჰანდიკაპი უკვე 6 ქულას შეადგენს, მაგრამ ამ დეფიციტის აღმოფხვრა ცისფერ ოცნებას აღარ ჰგავს.

"დინამო" (თბ) - "ტორპედო" 1:2

**დინამო:** ზოიძე, ოდიკაძე, ორბელაძე (ლ. ჭელიძე, 46`), ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, გ. ჭელიძე (ნავალოვსკი, 61`), სილაგაძე, ბაბუნაშვილი, ნოზაძე, დვალიშვილი (კაკალაძე, 81`), მელქაძე. მთავარი მწვრთნელი კახაბერ ცხადაძე

**ტორპედო:** მერლანი, ბაქრაძე, ებრალიძე, მემარნიშვილი, რაქვიაშვილი, გამეზარდაშვილი, ნერგაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, ჯიქია, მეგრელაძე. მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია

გოლები: 1:0 სილაგაძე 28`, 1:1 ჯიქია 34`, 1:2 გამეზარდაშვილი 90`.

გაფრთხილება: დვალიშვილი, ბოლქვაძე

ეროვნული სტადიონი, 1000 მაყურებელი.

დარწმუნებული ვარ, ცხადაძეს თვით მაჩანჩალა "დილასთან" დამარცხება უფრო ნაკლებად ეწყინებოდა, ვიდრე ისეთ პრინციპულ მეტოქესთან, როგორიც ქუთაისის "ტორპედოა". მით უმეტეს, რომ სწორედ გაბელიას გუნდია ის უშუალო კონკურენტი, რომელსაც, თეორიულად მაინც, "დინამოს" დაწევა და გასწრება შეუძლია.

ეს თამაში რომ თუნდაც ფრედ დამთავრებულიყო, მცირე ეჭვიც კი არ დარჩებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გახდებოდა ჩემპიონი. ასეთი ვითარების მიუხედავად, ცხადაძემ უკიდურესი მაქსიმალიზმი გამოავლინა და მოგებაზე ორიენტირებული ტაქტიკით (შემადგენლობითაც) დაუპირისპირდა მეტოქეს. შესაძლოა, ვინმემ ეს ახალი მთავარი მწვრთნელის შეცდომად მიიჩნიოს (ამ მოსაზრებას შედეგიც გაუმაგრებდა ზურგს), მაგრამ პირადად მე საქმისადმი ცხადაძის ასეთ დამოკიდებულებას მხოლოდ მივესალმები. თუ "დინამო" და მისი მწვრთნელი, თუნდაც სიტუაციიდან გამომდინარე, კომპრომისებზე იფიქრებენ, მაშინ მიზანი, რომელსაც ეს გუნდი ისახავს, მხოლოდ ფუჭი ოცნება იქნება. "დინამო" ყველა თამაშზე, ნებისმიერ მეტოქესთან, მხოლოდ გამარჯვების მოსაპოვებლად უნდა გამოდიოდეს. შეიძლება სკეპტიკოსებს ეს მოსაზრება სასაცილოდ არ ეყოთ, მაგრამ სწორედ ასეთმა მიდგომამ გაიყვანა "დინამო" შარშან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე და თუ მას საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა სურს, ასეც უნდა გააგრძელოს.



*ცხადაძეს ოპტიმიზმი არ ღალატობს*

დავუბრუნდეთ თამაშს, რომელიც, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა, ფრედ რომ დასრულებულიყო. ეს მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ქუთაისელთა დამრიგებელმა ოთარ გაბელიამაც აღიარა. მას არც ის უარუყვია, რომ თამაში "დინამოს" სრული უპირატესობით წარიმართა და, რომ არა ფორტუნას კეთილგანწყობა, შეიძლება მისი გუნდი ქუთაისში უქულოდ დაბრუნებულიყო.

შტურმს ვერ დავარქმევ, მაგრამ მასპინძლები მთელი 90 წუთის განმავლობაში დამაჯერებლად აკონტროლებდნენ ბურთს და სტუმართა ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდნენ. განსაკუთრებით სახიფათო იყო დინამოელთა ფლანგური გარღვევები, რაც მერლანის საჯარიმოში ჩაწოდებებით მთავრდებოდა. რამდენჯერმე მიზანთან ახლოს იყო მასპინძელთა ბომბარდირი ლევან მელქაძე, მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, მან "ტორპედოს" კარის დალაშქვრა ვერ შეძლო, რაც, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალოს.

ანგარიში მასპინძლებმა 28-ე წუთზე, კუთხურიდან ოდიკაძის ჩამოწოდებისა და უმეთვალყურეოდ დატოვებული სილაგაძის თავური დარტყმის შედეგად გახსნეს. სტუმრებმა ხუთიოდე წუთში, სტანდარტული მდგომარეობის გათამაშების შემდეგ აღადგინეს თანაფარდობა: კოშკაძის ჩამოწოდებულს ჯიქიამ ბრწყინვალე დარტყმა, ეგრეთ წოდებული "მაკრატელა" შეაგება და ზოიძის კარში ულამაზესი გოლი გავიდა.

მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში "დინამო" კიდევ ერთი გოლის გატანას ეშურებოდა. ცხადაძემ ამისთვის ახალგაზრდა ნიჭიერი გარემარბი ნავალოვსკი და ტრავმამოშუშებული კაკალაძეც ჩართო საქმეში, მაგრამ ამ ცვლილებებმა შედეგი ვერ გამოიღო. მატჩი თითქოს ფრედ, 1:1 უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ 90-ე წუთზე კიდევ ერთი კუთხური დაინიშნა "დინამოს" კართან, რაც ცხადაძის გუნდისთვის ფატალურად დასრულდა: გამეზარდაშვილი მაღალი ნახტომით შეწვდა ბურთს და ზუსტი თავური დარტყმით "ტორპედოს" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა.

საუბარი შეიძლება ჭიჭვეიშვილის შეცდომაზე, რომელმაც გამეზარდაშვილს ხელი ვერ შეუშალა, მაგრამ ტორპედოელმა ისე ლამაზად გააკეთა ყველაფერი, რომ ეს გოლიც, ჯიქიას დარტყმისა არ იყოს, ნებისმიერი უმაღლესი რანგის თამაშს დაამშვენებდა.

"ტორპედოსთან" საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხი ცხადაძის ამბიციებისთვის მიყენებული სერიოზული დარტყმა იყო, თუმცა, ალბათ, "დინამოსთვის" ამ მარცხშიც არის რაღაც დადებითი. გუნდმა ცხადაძის მოსვლის დღიდან ზედიზედ 5 მატჩი მოიგო, 9 ქულით დაწინაურდა, რამაც დინამოელები გარკვეულწილად მოადუნა და მოტივაცია დააკარგვინა. ცხადაძემ მატჩის შემდეგ აღნიშნა კიდეც, რომ მისი გუნდი არ იყო იმ დონეზე კონცენტრირებული, როგორც ამას სიტუაცია მოითხოვდა.

"ჩემი ფეხბურთელების გარჯით უმაყოფილო არ ვარ. ფეხბურთში ხდება ასე - ერთი გუნდი უტევს, სრულ უპირატესობას ფლობს, მაგრამ გოლი ვერ გააქვს და ერთი უხეში შეცდომის გამო მარცხდება. "ტორპედოს" ჩვენს კართან მომენტი არც შეუქმნია, ორჯერ გამოიყენა სტანდარტული მდგომარეობა და ამ ეპიზოდებში ზოგიერთმა ჩემმა ფეხბურთელმა არ შეასრულა ის დავალება, რომელიც მატჩამდე მივეცი. ამ მარცხისგან ტრაგედიის შექმნას ნამდვილად არ ვაპირებთ. ჩვენ კვლავაც პირველ ადგილზე ვართ, სოლიდური უპირატესობით ვლიდერობთ და ეს ჩვენი თამაშით დავიმსახურეთ. "ტორპედოსთან" მატჩში დაშვებულ შეცდომებს აუცილებლად გავაანალიზებთ და მომავალში აღარ გავიმეორებთ", - განაცხადა კახაბერ ცხადაძემ.

"მიუხედავად იმისა, რომ გავიმარჯვეთ, რეალისტი ვარ და მიმაჩნია, რომ 99 პროცენტით "დინამო" უკვე ჩემპიონია. ჩვენი მთავარი მიზანია, საპრიზო სამეულში დავასრულოთ ჩემპიონატი. კარგი იქნება, თუ მეორე პოზიციას შევინარჩუნებთ. თუმცა, ეს ძალიან ძნელი იქნება, რადგან ურთულესი თამაშები დაგვრჩა. ჩემს მშობლიურ კლუბს "დინამოს" დიდ წარმატებებს ვუსურვებ არა მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში, არამედ საერთაშორისო სარბიელზეც", - აღნიშნა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გაბელიამ.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 31 | 20 | 4 | 7 | 64-27 | 64 |
| 2. ტორპედო | 31 | 16 | 10 | 5 | 49-26 | 58 |
| 3. თბილისი | 31 | 17 | 6 | 8 | 51-35 | 57 |
| 4. ლოკომოტივი | 31 | 14 | 13 | 4 | 37-20 | 55 |
| 5 ზესტაფონი | 31 | 14 | 4 | 13 | 32-42 | 46 |
| 6 ვიტ ჯორჯია | 31 | 12 | 9 | 10 | 49-33 | 45 |
| 7. დინამო (ბთ) | 31 | 8 | 12 | 11 | 32-26 | 36 |
| 8. სიონი | 31 | 9 | 4 | 18 | 28-51 | 31 |
| 9. კოლხეთი | 31 | 8 | 5 | 18 | 26-49 | 29 |
| 10. დილა | 31 | 2 | 3 | 26 | 16-75 | 9 |

**31-ე ტური**

| | |
|---|---|
| **დინამო (თბ) - ტორპედო** | **1:2** |
| **კოლხეთი - ზესტაფონი** | **1:0** |
| **დინამო (ბთ) - ვიტ ჯორჯია** | **0:0** |
| **დილა - თბილისი** | **0:1** |
| **სიონი - ლოკომოტივი** | **0:1** |

# ეკლსტოუნის ფარეხში „ჩელსი" არ დაეტია

*ფორმულა 1-ის მხცოვან იმპრესარიოს, დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს ბერნი ეკლსტოუნს ჩუკოტკის გუბერნატორისა და რუსეთის უმდიდრესი ადამიანის რომან აბრამოვიჩის (რომლის ქონებაც ჟურნალ "ფორბსის" რუსული გამოცემის მიხედვით 14,7 მილიარდადაა შეფასებული.-რედ.) მიერ 2003 წელს ლონდონური "ჩელსის" შესყიდვამდე ცოტა ხნით ადრე განზრახული ჰქონია არისტოკრატთა კლუბში ფულის ჩადება.*

სამეფო რბოლების 74 წლის ბოსის ეკლსტოუნის სიტყვებით, რომლის ქონებაც 2 მილიარდ 323 ათას ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული, მასთან ერთად შესაბამისი ინვესტიციის პერსპექტივით ფრანგული საჯინიბოს "რენოს" იტალიელი შეფი ფლავიო ბრიატორეც ყოფილა დაინტერესებული.

"ჩვენ ამისთვის ფული გვქონდა და კლუბის შესყიდვაზეც ვფიქრობდით, - გაზეთ "სანდი ექსპრესსთან" ინტერვიუში აცხადებს ფორმულა 1-ის მეპატრონე. - მე და ფლავიო ამ საკითხზე ბევრს ვმსჯელობდით, მაგრამ მერე ყველაფერი მოგვბეზრდა და იდეაზე უარი ვთქვით".

სხვათა შორის, ეკლსტოუნთან ინტერვიუს გამოქვეყნებამდე რამდენიმე საათით ადრე "ჩელსი" ინგლისის ჩემპიონი გახდა - პირველად ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში!




*ბრიატორესა და ეკლსტოუნს ერთ დროს „ჩელსის" შესყიდვა უნდოდათ.*

არადა, ადრე, როდესაც ბერნი ეკლსტოუნი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას (ფია) ხელმძღვანელობდა, რომლის ახლანდელი პრეზიდენტიც ასევე ბრიტანელი მაქს მოსლია, იმპრესარიოს ფეხბურთის გულშემატკივარდ არავინ აღიქვამდა. პრინციპში, არც ყოფილა, მაგრამ ბოლო დროს "სტემფორდ ბრიჯზე" არაერთხელ შეუნიშნავთ რომან აბრამოვიჩის ერთ-ერთ კერძო ლოჟაში.

"ეს იყო იდეა, რომელიც მაშინ საკმაოდ მაცდურად გვეჩვენებოდა. მე და ფლავიო საკითხს საშინლად სერიოზულად ვუდგებოდით, - დასძენს ეკლსტოუნი. - მაგრამ რაღაც მომენტში ყველაფერი როგორღაც მიუწვდომლად გეჩვენება და აღარ გინდა მასში ჩარევა. მერე ამბობ: "ჯანდაბას!" სწორედ ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაში...

შესაძლოა, კარგიცაა, რომ მყიდველი რომანი გახდა. არა მგონია, რომ გუნდის მსოფლიო არენაზე წარმოსაჩენად იმდენივე დამეხარჯა კლუბზე, რასაც ახლა რომანი აკეთებს".

ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ რუსი მილიარდერი არისტოკრატებს თვეში მილიონ ფუნტ სტერლინგს ახარჯავს.

ფეხბურთი

# რუბიკონთან

## პსვ ეინდჰოვენი - მილანი

დღეს ჰოლანდიის ჩემპიონ "პსვ ეინდჰოვენს" ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. მან რუბიკონი უნდა გადალახოს და ერთი შეხედვით შეუძლებელი საქმე უნდა ჩაიდინოს. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში "მილანის" წინააღმდეგ მან იტალიელთა კარში, სულ ცოტა, ორი უპასუხო გოლი უნდა გაიტანოს, ხოლო თუ ძირითად დროში გამარჯვება სურს, მაშინ ამ ორ გოლს მესამეც უნდა მიაყოლოს.

არადა, ეს საქმე მართლაც ურთულესი ჩანს. მით უმეტეს, რომ ჰოლანდიელთა მეტოქე "მილანია", რომელიც მუდამ სწორედ შეუვალი დაცვით გამოირჩეოდა. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პსვ-მ საკუთარ მინდორზე ხუთი მატჩი გამართა და მხოლოდ ერთხელ მოახერხა მეტოქის კარში ერთზე მეტი გოლის გატანა. ეს ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხდა, როცა ჰოლანდიის ჩემპიონმა - 5:0 გაანადგურა სერბეთის "ცრვენა ზვეზდა". იმ მატჩში თავი გამოიჩინეს კლუბის საუკეთესო ბომბარდირმა იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა, დამარკუს ბიზლიმ, მარკ ვან ბომელმა და ჯონ დე იონგმა.

რაც შეეხება ჯგუფურ ეტაპს, პსვ-ს სტაბილურად გაჰქონდა ერთი გოლი და ამით კმაყოფილდებოდა. "მილანთან" შეხვედრის წინ კი ჰოლანდიურ კლუბს, რომელმაც წელს უკვე მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონობა, დიდი საკადრო პრობლემები აქვს. ერთი კვირის წინათ "სან სიროზე" გამართულ მატჩში მორიგი ყვითელი ბარათი მიიღო ანდრე ოიერმა. ამის გამო დღეს ის იძულებულია თამაშში გამოტოვოს. ამას ტრავმების ეპიდემიაც ემატება. ვერა და ვერ შეთხელდა კლუბის ლაზარეთი. ეროვნული ჩემპიონატის მატჩში "ტვენტეს" წინააღმდეგ (2:2) ლაზარეთი შეავსო 22 წლის ფორვარდმა დამარკუს ბიზლიმ, რომელსაც მარცხენა მუხლის მყესები დაეჭიმა. ამის გამო მინდორზე მისი გამოსვლა აბსოლუტურად გამორიცხულია.

გაურკვეველია მეორე ფორვარდის ჯეფერსონ ფარფანის ბედიც. მან იმავე მატჩში კოჭი იტკინა და ამის გამო შეცვალეს. ტრავმები ძველებურად აწუხებთ ვილფრედ ბუმას, რობერტს და ჯონ დე იონგს. აგრეთვე სათუოა კორეელი ჯი-სუნ პარკის თამაშიც, რომელმაც პირველ შეხვედრაში მილანელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა.



ამ სამეულიდან - პარკი, კოკუ, ბიზლი მხოლოდ კოკუ ითამაშებს

აღსანიშნავია, რომ იტალიურ კლუბებთან შინ გამართული ხუთი მატჩიდან "პსვ ეინდჰოვენმა" ოთხი მოიგო. ჰოლანდიურ კლუბთან უკანასკნელი ვიზიტი "მილანს" 12 წლის წინათ ჰქონდა. საერთოდ კი ევროპულ ტურნირებზე გუნდები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამჯერვე "მილანმა" გაიმარჯვა.

თავისი არსებობის ისტორიაში "პსვ ეინდჰოვენმა" მხოლოდ ერთხელ შეძლო ჩემპიონთა თასის მოგება. 1987-1988 წლების გათამაშების ფინალურ მატჩში მან პორტუგალიის "ბენფიკა" პენალტების სერიაში - 6:5 დაამარცხა. საინტერესოა, რომ იმავე გათამაშების ნახევარფინალში ჰოლანდიელებმა მადრიდის "რეალის" წინააღმდეგობა დაძლიეს. სამაგიეროდ პსვ-ს იმედები გაუცრუვდა დანარჩენ ოთხ ნახევარფინალში, რომლებიც მისი მარცხით დასრულდა. თანაც, ამ ნახევარფინალებში ჰოლანდიელებმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს.

რაც შეეხება "მილანს", მას სრულიად განსხვავებული სიტუაცია აქვს. უახლოეს უქმეებზე გუნდს მოუწევს გამართოს იტალიის ჩემპიონატის უმთავრესი მატჩი. მილანის "სან სიროს" სტადიონზე კახა კალაძის გუნდი ტურინის "იუვენტუსს" გაეჯიბრება. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ მატჩის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთმა გუნდმა "სკუდეტოსთვის" ბრძოლაში გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას.

"მილანს" "პსვ ეინდჰოვენთან" შეხვედრის წინ არც ტრავმირებული და არც დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები არ ჰყავს. გუნდს ყველაფერი რიგზე აქვს კარის ხაზზეც, სადაც შესანიშნავად გამოიყურება ბრაზილიელი მეკარე დიდა. მან ამ დღეებში მოხსნა სებასტიანო როსისა და ედვინ ვან დერ საარის რეკორდი და საკუთარი კარი ამ მეკარეებზე დიდხანს შეინარჩუნა "მშრალად".

გუშინ, თამაშამდე ერთი დღით ადრე, "მილანის" უკრაინელმა ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ, რომელმაც მილანში ერთი გოლი გაიტანა, განაცხადა, რომ ეინდჰოვენში, "ფილიპსის" სტადიონზე, მის გუნდს მძიმე მატჩი ელის.

"ჩვენ ძალიან რთული თამაშისთვის ვემზადებით. ფეხბურთელები არც კი ფიქრობენ, რომ ჰოლანდიელთა წინააღმდეგ განმეორებითი მატჩი იოლი იქნება. ჩვენ ნამდვილი ბრძოლა მოგველის. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი სხვაგვარი არც შეიძლება იყოს. სირთულეები არ გვაშინებს. ვემზადებით იმისთვის, რომ მოვიგოთ ყველა ტურნირი, რომლებშიც ვმონაწილეობთ", - განაცხადა ანდრეი შევჩენკომ.

"მილანისთვის" წლევანდელი ნახევარფინალი კლუბის არსებობის ისტორიაში უკვე მეათეა. აღსანიშნავია, რომ ცხრა შემთხვევაში გუნდი ფინალში გავიდა. მხოლოდ 1955-1956 წლების სეზონში "მილანმა" ფინალის საგზური მადრიდის "რეალს" დაუთმო.

საინტერესოა, რომ "მილანს" ჩემპიონთა ლიგის ბოლო შვიდ შეხვედრაში გოლი არ გაუშვია. ბოლოს დიდამ თავისი გუნდი ვერ გადაარჩინა მხოლოდ ჯგუფური ეტაპის შეხვედრაში "ბარსელონას" წინააღმდეგ, როცა კატალონიის დედაქალაქში "მილანმა" - 1:2 წააგო.

კრივი

# ტონი ისტორიაში შევიდა, რუისი კი გამოვიდა

ბიბა ბურასაშვილი

*ნიუ იორკში, "მედისონ სქვერ გარდენში" კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) მძიმეწონოსანთა უმთავრესი ქამრის გამოფენამდე, პროფესიული კრივის, განსაკუთრებით კი მძიმეწონოსანთა ეშელონის მოტრფიალენი ჩვეულებისამებრ კამათობდნენ. ბოლოს დაასკვნეს, რომ პუერტორიკოელისა და ამერიკელის ჩხუბში გამარჯვებულის ბედი მსაჯების გადასაწყვეტი გახდებოდა, ჩემპიონის სარტყელით კი ამერიკელს დაამშვენებდნენ. ყოველ შემთხვევაში, უმეტესობამ ასე ჩათვალა. პუერტორიკოელისადმი კეთილგანწყობილებმა კი დაასკვნეს, თუ ჩვენმა ჯილამ იყოჩაღა, გაიმარჯვებს არა ქულებით, არამედ ნოკაუტით. 30 აპრილის ორთაბრძოლის შემდეგ თავაწეულნი აღმოჩნდნენ ამერიკელის მომხრეები, წაგებულებს კი, თითქოს საკუთარი გაჭირვება არ ჰყოფნიდათ, აცნობეს, რომ პუერტორიკოელმა ხელთათმანები გაიძრო და, აბა, სულ კარგად ბრძანდებოდეთო! სამხრეთამერიკელი ასოციაცის აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი ჯონ რუისია, ხოლო ახლად გამომცხვარი ჩემპიონი - ჯეიმს ტონი.*

ასოციაციის ტიტულის დაუფლებამდე ცოტა ხნით ადრე ჯეიმს ტონის მწვრთნელი ფრედი როუჩი აცხადებდა, რომ WBA-ს კენწეროში წამოსკუპება მისი შეგირდის ტრიუმფალური სვლის დასაწყისი იქნებოდა: "ჯეიმსმა მითხრა, რომ იმ ბიჭს დაანოკაუტებდა, ხოლო როდესაც ამას მეუბნება, მისი მჯერა. მხოლოდ ერთხელ, ევანდერ ჰოლიფილდთან ჩხუბის წინ მის სიტყვებში ეჭვი შემეპარა, მან კი დამიმტკიცა, რომ ვცდებოდი. მართალი გითხრათ, დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელ მძიმეწონოსანთაგან ჯეიმსზე გამარჯვება არავის შეუძლია, მათ შორის არც ვიტალი კლიჩკოს".

კრივის მოყვარულნი ამბობდნენ: ჯეიმს ტონის (იგივე "ამომრთველი", როგორც მას მეტსახელად ეძახიან) გამარჯვება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს იგი რუისის "ჩახუტებებისგან" თავის დაღწევასო. ეს ერთადერთი არაა, რაც პუერტორიკოელ ამერიკელს ახასიათებს. ზოგადად ჯონ რუისის (მეტსახელად "წყნარი") საკრივო მანერა გარკვეულწილად ერთფეროვანია. აკეთებს იმას, რაც შეუძლია და ეხერხება. ერთნი მიიჩნევენ, რომ მისი ჩხუბი მოსაწყენი საცქერია, უფრო სწორად, არავის ხიბლავს მისი გაჯანჯლებული ბრძოლის მანერა.



ჯეიმს ტონიმ ჯონ რუისს წვერ-ულვაში შეურცხვინა

ჯეიმს ტონი კი რუისთან შედარებით უფრო მძიმე არტილერისტთა რიცხვს განეკუთვნება და ბევრად უფრო მოქნილი და სხარტია, ვიდრე რუისი. გარდა ამისა, ცნობილია როგორც კარგი მოლაყბე და ხანდახან ისეთებს წამოროშავს ხოლმე, რომ პრესკონფერენციებზე მისვლა მარტო ამიტომ მოსწონთ კრივის კალმოსნებს. არავის და არაფერს არ ეპუება. ამ მხრივ რუისთან ბრძოლის წინაც გამოიჩინა თავი: "ჩემი აზრით, ჯონ რუისი ნახევრად "ცისფერია": რაღაც ზედმეტად უყვარს მეტოქესთან ჩახუტება. პირადად ჩემთან რაც უნდა ის გააკეთოს, მაგრამ იცოდეს, რომ მუშტების ისეთი კორიანტელი დაატყდება თავს, როგორიც ცხოვრებაში არ უგემია (ჯეიმს ტონი ახლო ბრძოლაში უფრო თავდაჯერებული და საშიშია, ვიდრე საშუალო და შორი მანძილიდან შეტევისას.- რედ.). არც ჩემნაირ მეტოქეს შეხვედრია. და, საერთოდ, კლიჩკოც და ჯონ რუისიც ჩემთვის იოლი ლუკმაა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მთლიანად მძიმე წონა ერთი დიდი სანაგვეა".

ერთი სიტყვით, დღეის იქით WBA-ს მსოფლიო ჩემპიონად ჯეიმს ტონი (69-4-2, აქედან 43 ნოკაუტით) იწოდება.

12-რაუნდიან ორთაბრძოლაში სამივე მსაჯის მიერ ერთხმად - 116-111, 116-111, 115-112 აღიარებულმა ჩემპიონმა 17 წლისამ საშუალო წონის (72.574კგ.) მოკრივედ დაიწყო პროფესიული კარიერა და ჩემპიონის პირველი ტიტულიც სწორედ ამ კატეგორიაში მოიპოვა. მოგვიანებით სუპერსაშუალო (76.203) და პირველ მძიმე წონებშიც (90.719კგ.) შეძლო ჩემპიონობა, ახლა კი მძიმეწონოსანთა შორისაც გახდა ტრიუმფატორი, რაც, რა თქმა უნდა, საარაკო შედეგია. ყოველ შემთხვევაში, გახდა მესამე მოკრივე, რომელმაც საშუალო წონაში ჩემპიონობის შემდეგ ამავე რანგის ტიტული მძიმეწონოსანთა (90.719კგ-ზე ზევით) შორისაც მოიპოვა. რუისი (41-6-1, აქედან 28 ნოკაუტით) კი იმით შევიდა მძიმეწონოსან ჩემპიონთა ისტორიაში, რომ უმთავრესი ქამარი ორჯერ დათმო ყოფილ საშუალოწონოსნებთან, მაგრამ...

ჯეიმს ტონისა და ჯონ რუისის თემა არც მატჩის შემდგომ ამოწურულა. ყურადღების ცენტრში მოექცა პუერტორიკოელი, რომელმაც საკუთარი განცხადებით ყველა სახტად დატოვა. საქმე ისაა, რომ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე რუისის ნაცვლად დარბაზში მისი მენეჯერი და მწვრთნელი ნორმან სტოუნი გამოჩნდა. მან დამსწრეთ აუწყა: რუისმა საკრივო კარიერას წერტილი დაუსვაო. ირკვევა, რომ გადაწყვეტილების მიზეზი ყოფილა არა ტონისთან მარცხი, არამედ მის მიმართ ჟურნალისტთა დამოკიდებულება: "ყოველთვის ყველას პატივისცემით ვეპყრობოდი, მაგრამ იგივეთი არავინ მპასუხობდა, - The Boston Globe-სთან ინტერვიუში გულნატკენი ჩანდა რუისი. - ვწუხვარ, რომ ასე მიწევს წასვლა. მე კრივთან ერთად გავიზარდე და ძალიან მიყვარდა. ახლა კი მძულს, თუმცა, ძალზე მიჭირს ამის თქმა".

საგულისხმოა რუისის შემდგომი განცხადებაც. მოგეხსენებათ, რუისი წვერს ატარებს, რაც არაერთხელ გამხდარა ნიუ იორკის შტატის ათლეტთა კომისიის უკმაყოფილების საგანი. კერძოდ, კომისიის წევრები რუისისგან ბრძოლის წინ წვერის მოპარსვას მოითხოვდნენ, მძიმეწონოსანი კი მათ მოთხოვნას ყურად არ იღებდა და ამბობდა, რომ ნებისმიერ ფასად მისი მწყობრიდან გამოყვანა განუზრახავთ: "მათი მოთხოვნების შემდეგ დავასკვენი, რომ ჩემთვის ტიტულის ართმევას შეეცდებოდნენ".

ისე, არაა გამორიცხული, რუისის კრივიდან წასვლის გადაწყვეტილება ცხელ გულზე იყოს მიღებული.

ამასობაში ჯეიმს ტონი მადაზე მოვიდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ უახლოეს გეგმებში ჩემპიონთა ქამრების გაერთიანება განუზრახავს. შემდგომი ორთაბრძოლის გამართვა კი კრივის მსოფლიო საბჭოს უკრაინელ გიგანტთან ვიტალი კლიჩკოსთან სურს: "მზად ვარ ყველას ვეჩხუბო. არავისი არ მეშინია. მჭირდება ისეთი ჩხუბი, რომელიც ბევრ ფულს მომიტანს. მალე აბსოლუტური ჩემპიონი გავხდები".

მოკლედ

### რიო ფერდინანდი: "გულშემატკივრების მესმის"



"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა რიო ფერდინანდმა განაცხადა, რომ კარგად ესმის გულშემატკივართა რეაქცია, რომლებმაც ის ლონდონის "ჩარლტონთან" შეხვედრისას სტვენით აიკლეს. ამრიგად, გულშემატკივრებმა გამოხატეს პროტესტი იმის თაობაზე, რომ ფეხბურთელმა კლუბთან ახალი კონტრაქტი არ გააფორმა.

ფერდინანდი ამტკიცებს, რომ მას ძველებურად სურს, "მანჩესტერ იუნაიტედში" გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა. "გულშემატკივარს უნდა ესმოდეს, რომ კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკებები ხუთი წუთით კი არა, თვეების განმავლობაში გრძელდება, - განაცხადა ფეხბურთელმა, - მე კლუბში დარჩენა მსურს. უბრალოდ, საჭიროა კონტრაქტის ყველა დეტალი საგულდაგულოდ იქნას განხილული. მე რომ ყველაფერი შეთანხმებული და მოლაპარაკებული მქონდეს, კონტრაქტზე ჩემი ხელმოწერა უკვე დასმული იქნებოდა".

### ბექჰემი და მოურინიო ყველაზე მდიდრები არიან

France Football-ის ცნობით, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი ყველაზე მდიდარ ფეხბურთელად რჩება მთელ მსოფლიოში. მისი შემოსავალი ყოველწლიურად 37,4 მილიონ დოლარს უტოლდება. ყველაზე მდიდარი მწვრთნელი კი მსოფლიოში "ჩელსის" დამრიგებელი ჟოზე მოურინიოა, რომლის შემოსავალი წლიურად 9,7 მილიონს აღწევს. ინგლისური პრესის ცნობით, მოურინიომ კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე შეათანხმა ახალი კონტრაქტის დეტალები. ამ შეთანხმების საფუძველზე ახალი კონტრაქტი ზაფხულში გაფორმდება და ის ორწლიანი იქნება. მწვრთნელი კი ხელფასის სახით წელიწადში 5,2 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

### ტრეზეგე ნაკრების ორ მატჩს გამოტოვებს

ფრანგული პრესის ცნობით, ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯოს საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი დავიდ ტრეზეგე. ამის მიზეზი გახდა ინციდენტი, რომელიც ისრაელის წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის 56-ე წუთზე მოხდა. მაშინ ფრანგმა ფორვარდმა მეტოქეს თავში ჩაარტყა.

### გულშემატკივრებს აფრთხილებენ

2006 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორები გულშემატკივრებს აფრთხილებენ, რომ გაჩნდა კომპიუტერული ვირუსი, რომელიც ინილბება, როგორც დასტური ბილეთების შეძენაზე. ასეთი ცნობები უნდა განადგურდეს. ორგანიზატორთა თქმით, გულშემატკივრები, რომლებიც მიიღებენ იმეილს მისამართებით - Ticket@fifa.de და Gewinn@fifa.de, არ უნდა გახსნან ისინი.

### კლიისტერსი კარიერით რისკავს

ბელგიელმა ჩოგბურთელმა კიმ კლიისტერსმა, რომელიც სპორტულ ფორმას თანდათან იბრუნებს, განაცხადა, რომ წელს გრუნტზე თამაშით რისკის ქვეშ აყენებს საკუთარ საჩოგბურთო კარიერას. "გრუნტი უაღრესად დიდ დატვირთვას იძლევა მაჯაზე. მე მიხდება სულ უფრო ხშირად ჩავახვიო ბურთი, განსაკუთრებით მარცხნიდან. ეს კი ძნელი შესასრულებელია. გრუნტზე ბოლოს ორი წლის წინათ ვითამაშე და ვგრძნობ, რომ დარტყმების შესრულება ძალიან მიჭირს. მაჯა ძველებურად დიდ პრობლემებს მიქმნის. თუ ოპერაცია ახლახან გაიკეთეთ, მაშინ უმჯობესია, თუ ფრთხილად ითამაშებთ. მით უფრო, თუ ორივე ხელით ერთნაირად კარგად ვერ თამაშობთ - ასეთი ბეკჰენდი მაჯისგან დიდ ძალისხმევას ითხოვს", - განაცხადა კლიისტერსმა.

### "მინარდიმ" და Cosworth-მა კონტრაქტი გააგრძელეს

ფორმულა 1-ის გუნდი "მინარდი" მზად არის, Cosworth-ის ძრავებით 2007 წლამდე ისარგებლოს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება "მინარდის" წარმომადგენლებმა სამშაბათს გააკეთეს. "ჩვენი გუნდი სწორი მიმართულებით მიდის, - განაცხადა გუნდის დირექტორმა პოლ სტოდარტმა, - გვიხარია, რომ კონტრაქტი გავაგრძელეთ". თავის მხრივ, Cosworth-ის აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, რომ კომპანია მოხარულია, მხარში ამოუდგეს ფორმულა 1-ის ერთ-ერთ უკანასკნელ დამოუკიდებელ გუნდს.

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 4 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ლივერპული" - "ჩელსი". საპასუხო მატჩი
14:15 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:10 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:50 "FUTBOL MUNDIAL"
18:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
20:05 თავისუფალი დარტყმა
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:20 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პსვ - "მილანი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" რომში
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:35 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
14:05 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ბელგიაში. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:15 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2001 წელი. ფინალი. "NEW JERSEY DEVILS" - "COLORADO AVALANCHE". მე-4 მატჩი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
19:45 "სპორტისიმო"
20:30 "ვატერპოლე"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 პროგრამა. "მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ექო"
22:00 კალათბურთი. FIBA-ს ყველა ვარსკვლავთა მატჩი. გადაცემა კვიპროსიდან
23:30 როდეო. "Bull Riders"
00:15 ახალი ამბები
00:30 "ვატერპოლე"
01:00 01:00-დან 04:40-მდე შესვენება
04:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "დეპორტივო კუენკა" (პერუ). პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი - გ-ო-ო-ო-ლ!!!
10:45 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
14:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
21:00 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
21:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია
22:45 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი აშშ-ში
23:45 გოლფი
01:15 აფროსნობა
02:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით
02:30 ახალი ამბები
02:45 მულტისპორტი - იტალია-2006
03:00 მულტისპორტი - აი, მესმის!

# წელის ტკივილი

გიორგი მიქელაძე

მე პრაქტიკულად არ ვიცნობ შუა ხნის ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ განუცდია წელის ტკივილი. სტატისტიკის თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის 70 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც ექნება წელის ტკივილი, მოზრდილი მოსახლეობის 15ს45 პროცენტს ყოველწლიურად ექნება წელის ტკივილის ეპიზოდები, ხოლო 5 პროცენტი ამ პრობლემის გამო ექიმს მიმართავს. ყველაზე ხშირია წელის ტკივილი 35-55 წლის ასაკის ადამიანებში და 60 წლის ასაკის შემდეგ მისი სიხშირე კლებულობს.




სურათი 1

დათვლილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პრობლემასთან დაკავშირებული ხარჯები უზარმაზარია. ასე, მაგალითად, 2004 წლის მონაცემების თანახმად, ერთ წელიწადში წელის ტკივილის სამკურნალოდ იხარჯება 30 მილიარდი დოლარი. დათვლილია ისიც, რომ გაცილებით უფრო მეტი ფული იხარჯება იმ ადამიანების ჯანმრთელობაზე (იგულისხმება ჯანმრთელობა ზოგადად და არა მხოლოდ წელის ტკივილი), რომელთაც ქრონიკული წელის ტკივილი აწუხებთ, ვიდრე მათსაზე, ვისაც ეს პრობლემა არ აწუხებს.

წელის ტკივილი სამუშაოს გაცდენის ყველაზე ხშირი მიზეზია და, ამრიგად, ამ დაავადებით გამოწვეული არაპირდაპირი ხარჯები (გაცდენილი სამუშაო და მით გამოწვეული პროდუქციის დანაკარგი, ბიულეტენი, ინვალიდობა და ა.შ.) განვითარებულ ქვეყნებში ასტრონომიულ ციფრებს აღწევს.

საყურადღებოა ისიც, რომ ეს დაავადება ბევრად უფრო ხშირია განვითარებულ, მდიდარ და, შესაბამისად, კარგი სოციალური დაცვის სისტემის მქონე ქვეყნებში, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში. ამ საკითხზე ცოტა ქვემოთ შევჩერდები.

ახლა კი ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა იმისა, თუ რატომ არის ეს დაავადება ასე ხშირი.

წინა წერილებში (სიმსუქნის, ვარჯიშის შესახებ) აღნიშნული იყო, რომ თანამედროვე გარემოსა და ევოლუციურად ჩამოყალიბებულ ადამიანის ორგანიზმს შორის არის წინააღმდეგობები. რაც შეეხება წელის ტკივილს, ეს საკუთრივ ადამიანის ორგანიზმის ევოლუციის შედეგად წარმოქმნილი პრობლემაა. კერძოდ, ეს ერთგვარი საფასურია იმისა, რომ ადამიანი ორ ფეხზე დადის. ჩვენი ხერხემალი, რომელსაც ადამიანის ჩონჩხის სტრუქტურაში ვერტიკალური სვეტის ფუნქცია აქვს, ცხოველებში ჰორიზონტალური ძელის ფუნქციას ასრულებს. ამასთანავე, ცხოველები ოთხ ფეხზე დადიან, და ხერხემალზე დატვირთვა ასეთ პირობებში კარგად არის გადანაწილებული, მაშინ როდესაც ორ ფეხზე მოსიარულე თანამედროვე ადამიანის ხერხემალზე გაცილებით უფრო დიდი დატვირთვა მოდის, ვიდრე ეს "კონსტრუქციით" იყო გათვალისწინებული. ეს შეუსაბამობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ხერხემალში არსებული სტრუქტურების ნაადრევი ცვეთა და დაზიანება ხდება, რაც თავისთავად შეიძლება ტკივილის მიზეზი გახდეს. ხერხემლის ამ ტიპის პათოლოგიები ოსტეოქონდროზის სახელით არის ცნობილი, თუმცა ეს დიაგნოზი პირობითია და დაავადების ნამდვილ ხასიათს არ ასახავს.

წელის მიდამო, ხერხემლის სხვა ნაწილებთან შედარებით, ყველაზე უფრო დიდ დატვირთვას განიცდის თავისი მდებარეობის გამო და ამიტომ წელის ტკივილი გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე კისრის ან ზურგის მიდამოსი.

ადამიანს სულ 5 წელის მალა აქვს და ეს მალები, ხერხემლის სხვა მალებთან შედარებით, ზომით უფრო დიდია. მალებს შორის მდებარეობს მალთაშუა დისკი, რომელიც ერთგვარი ამორტიზატორის როლს ასრულებს. მალთაშუა დისკი შედგება რბილი, ჟელატინისებრი ბირთვისაგან და ფიბროზული გარსისაგან, რომელიც სარტყელივით აკრავს გარს ბირთვს. სწორედ ამ გარეთა გარსის დაზიანება ხდება ხოლმე დისკის დეფორმაციის მიზეზი.

მალების სხეულებს უკან, ხერხემლის არხში, მდებარეობს ზურგის ტვინი და ზურგის ტვინის ნერვები. ეს ნერვები მალთაშუა ხვრელით გადის ხერხემლის არხიდან პერიფერიისაკენ. დისკის დაზიანებამ ამ ნერვებზე ზეწოლა შეიძლება გამოიწვიოს.

მალები ერთმანეთს სახსრებითა და იოგებით უკავშირდება და ქმნის ეგრეთ წოდებულ ზიგოაპოფიზურ სახსრებს (იხ. სურათი 1).

ამ სახსრებისა და იოგების დაზიანებაც, თავისთავად, შეიძლება წელის ტკივილის მიზეზი გახდეს.

წელის მიდამოში კუნთებიც მრავლადაა წარმოდგენილი და მათი დაჭიმვა ან დაზიანებაც შეიძლება გახდეს წელის ტკივილის მიზეზი.

ადამიანის წელი საკმაოდ მოძრავი აპარატია. წელის მალებს თითქმის ყველა მიმართულებით შეუძლია სხეულის გადახრა და მიბრუნება. ამდენად, წელის მალების ნორმალური ფუნქციონირება ადამიანის ყოველდღიური აქტივობის აუცილებელი წინაპირობაა, ხოლო წელის ტკივილი მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის შრომისუნარიანობას.



ზემოთ დასახელებული ყველა სტრუქტურული ელემენტი - დისკი, იოგები, კუნთები, - შეიძლება გახდეს, თავისთავად, ტკივილის გამომწვევი მიზეზი ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, ტკივილის გენერატორი. ამ გენერატორის დადგენა თანამედროვე სადიაგნოსტიკო საშუალებათა არსებობის პირობებშიაც კი საკმაოდ ძნელია და, შესაბამისად, ზუსტად მიზანმიმართული მკურნალობის შერჩევაც არ არის მარტივი ამოცანა.

უშუალოდ წელის მალებთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სტრუქტურული ელემენტების დაზიანებით გამოწვეული ტკივილის გარდა, ადამიანს შეიძლება განუვითარდეს ტკივილი, რომლის მიზეზიც შეიძლება წელის ნერვის პათოლოგია იყოს. ხშირად ნერვზე დისკის ზეწოლის შედეგად, ამ მიდამოს ანთება იწყება, რაც ნერვის ტკივილის მიზეზი ხდება. ეს ტკივილი, რომელსაც ფესვობრივი ტკივილი (რადიკულიტი, იშიასი) ეწოდება, ჩვეულებრივ, ვრცელდება ნერვის გაყოლებაზე წელიდან ქვემო კიდურზე.

საყურადღებოა, რომ საკუთრივ ნერვზე ზეწოლა (ანთების გარეშე) ტკივილის გრძნობას კი არ იწვევს, არამედ დაბუჟების შეგრძნებას (იხ. სურათი 2).




ფესვობრივი ტკივილი არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აუტანელი ტკივილი, რომელიც ადამიანის არა მარტო ფიზიკურ, არამედ მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც მოქმედებს და ხშირად ფსიქოლოგიური პრობლემების (დეპრესიის, აპათიის) მიზეზი ხდება.

წელის ტკივილი - სხვა დაავადებების მსგავსად - ძირითადად ორი ფორმისაა: მწვავე და ქრონიკული. ეს ორი ფორმა, თუმცა ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ იმავდროულად ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებულია.

მწვავე ტკივილის შემთხვევათა 90 პროცენტი მკურნალობის გარეშეც, თავისით განიკურნება 4-6 კვირაში.

ქრონიკულად ითვლება წელის ტკივილი, რომელიც 3 თვეზე უფრო მეტ ხანს გრძელდება.

დადგენილია, რომ მწვავე პერიოდშიაც კი ერთადერთი, რაც ნამდვილად მავნებელია, არის უმოძრაობა, წოლა. ავადმყოფი აუცილებლად უნდა შეეცადოს, შეძლებისდაგვარად აქტიური დარჩეს (რასაკვირველია, ზომიერების ფარგლებში).

არ არსებობს დასაბუთებული მონაცემები იმის სასარგებლოდ, რომ დაჭიმვები, აკუპუნქტურა ან მასაჟი ეფექტური და დადებითი შედეგის მომტანი იყოს.

რაც შეეხება სამკურნალო პრეპარატებს, წელის ტკივილისათვის შეგიძლიათ მიიღოთ იბოპრუფენი, პიროქსიკამი, ვოლტარენი, მოვალისი (ანუ ნებისმიერი ე.წ. არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატი). ნუ გაირთულებთ საქმეს და ეს წამლები მიიღეთ დასალევი ფორმით (ტაბლეტები, აბები). ინექციის სახით ამ პრეპარატების მიღებას არავითარი უპირატესობა არა აქვს და გვერდითი მოვლენების (მაგ., კუჭზე უარყოფითი ზემოქმედების) გამომწვევი მექანიზმები ერთნაირია ორსავე შემთხვევაში.

არ გირჩევთ კუნთის მომადუნებელი პრეპარატების ანუ მიორელაქსანტების (როგორიცაა, მაგალითად, ბაკლოფენი, ტიზანიდინი) მიღებას.

ნუ გადაყრით ფულს ვიტამინების ინექციებში, წელის ტკივილს ეს არ შველის.

გირჩევთ, საერთოდ ერიდოთ ანალგინის ხმარებას - ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ეს პრეპარატი აკრძალულია.

თუ ე.წ. გასახურებელი მალამოები ან კანზე დასაკრავები წელის ტკივილს გიმსუბუქებთ, ეს უმეტეს შემთხვევაში იმას მიანიშნებს, რომ ტკივილი კუნთოვანი წარმოშობისაა.

ნერვის მწვავე დაზიანების შემთხვევაში შეიძლება მიიღოთ პრედნიზოლონის ტაბლეტები სპეციალური სქემის მიხედვით (ექიმის რეცეპტითა და მეთვალყურეობით).

ხანდახან უხერხული მოძრაობის შედეგად შეიძლება გაგივითარდეთ წელის ძლიერი ტკივილი, რომელსაც წელის გაკავება მოჰყვება. ეს, როგორც წესი, ზიგოაპოფიზურ სახსრებში ქვე-ამოვარდნილობის შედეგია და ხერხემალზე გარკვეულმა მანიპულაციამ შეიძლება გიშველოთ. თუმცა უნდა იცოდეთ, რომ ზოგი მკურნალის განცხადებები იმის შესახებ, რომ ამ მანიპულაციების დროს ისინი დისკს ჩაგისწორებენ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია - დისკის ხელით ჩასწორება შეუძლებელია.

მოერიდეთ კორსეტების დიდხანს ტარებას - ისინი, როგორც წესი, წელის კუნთების ატროფიას იწვევს.

მწვავე წელის ტკივილის განვითარებისას რა შემთხვევაში უნდა მიმართოთ გადაუდებლად ექიმს?

გახსოვდეთ, რომ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს, თუ წელის ტკივილთან ერთად, გაქვთ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სიმპტომი ან გარემოება:

■ სიცხე და/ან აუხსნელი წონის დაკლება,

■ შარდის ბუშტის და/ან კუჭის მოქმედების მოშლა,

■ კუნთის სისუსტის და/ან დაბუჟების გრძნობის მატება,

■ სიარულის უნარის დარღვევა, დაბუჟება შორისის მიდამოში,

■ წარსულში (ანამნეზში) სიმსივნე,

■ ასაკით 20 წლისაზე ნაკლები ან 55 წლისაზე მეტი ხართ.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები და გარემოებები არა გაქვთ, გირჩევთ, რომ მწვავე წელის ტკივილს სამი-ოთხი კვირა მაინც აცალოთ, რადგანაც ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ ტკივილმა თავისით გაიაროს (ტკივილის შესამსუბუქებლად იხმარეთ ზემოთ ჩამოთვლილი პრეპარატები).

იმ შემთხვევაში, თუ ტკივილმა არ გაგიარათ ან არ იკლო, ექიმს უნდა მიმართოთ.

რაც შეეხება დიაგნოსტიკურ საშუალებებს, რენტგენოგრაფიას არავითარი აზრი არა აქვს წელის ტკივილის დიაგნოსტიკისათვის, მას მხოლოდ ტრავმის შედეგად წარმოშობილი ტკივილის დროს უნდა მიმართოთ.

თუ ტკივილი არ გადის ან არ იკლებს რამდენიმე თვის განმავლობაში, მაშინ მაგნიტური რეზონანსი ან კომპიუტერული ტომოგრაფიაა მოწოდებული დიაგნოსტიკისათვის. თუმცა კორელაცია ავადმყოფის ჩივილებს, კლინიკურ სურათსა და ამ გამოკვლევების მონაცემებს შორის საკმაოდ სუსტია. აქ უკვე სპეციალისტის აზრია გადამწყვეტი.

მწვავე ტკივილის მქონე ავადმყოფების 2-7 პროცენტს განუვითარდება ქრონიკული წელის ტკივილი პერიოდული გამწვავებებით და ეს უკვე საკმაოდ სერიოზული და მძიმე დაავადებაა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტკივილის გამომწვევი მიზეზის დადგენაც კი საკმაოდ ძნელია. მაგნიტურ რეზონანსულ გამოსახულებაზე არსებული პათოლოგია არ ნიშნავს ყოველთვის იმას, რომ სწორედ ეს პათოლოგიაა ტკივილის გამომწვევი მიზეზი. ასე, მაგალითად, ქუჩაში შემთხვევით არჩეული 100 ადამიანიდან, რომელსაც წელის ტკივილი არა აქვს, 60-70 პროცენტს გამოკვლევებით საკმაოდ სერიოზული დაზიანებები შეიძლება აღმოვუჩინოთ, მაგრამ მათ არც ტკივილი აქვთ და არც მკურნალობას საჭიროებენ. ერთადერთი შედარებით ზუსტი მეთოდია ექიმის ვარაუდით (ეს ვარაუდი, თავის მხრივ, ავადმყოფის ჩივილებს, კლინიკურ დაკვირვებას და სადიაგნოსტიკო გამოკვლევების მონაცემებს ემყარება) ტკივილის გამომწვევად მიჩნეულ სტრუქტურაში ანესთეტიკური საშუალებების (მაგალითად, ისეთისა, რითიც კბილის გაყუჩება ხდება) ინექციით შეყვანა. თუ ინექციით ტკივილი გაყუჩდა, მაშინ საფიქრებელია, რომ ეს ადგილია ტკივილის გამომწვევი.

ქრონიკული წელის ტკივილი თუ დიდხანს გაგრძელდა, თავისთავად ტკივილი იქცევა უკვე დამოუკიდებელ დაავადებად და წელის პათოლოგიის გამოწვევი მიზეზიც რომ მოვაშოროთ, ტკივილი მაინც დარჩება და მისი მოშორება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. დაავადებად ქცეული ტკივილი კი ძალიან მძიმე ინვალიდობის მიზეზი შეიძლება გახდეს და თავიდანვე ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა იგი თავიდან ავიცილოთ.

ქრონიკული წელის ტკივილი სერიოზული და ძნელად სამკურნალო დაავადებაა, რომელშიც ერთნაირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ანატომიური, ასევე ფსიქოლოგიური ფაქტორები.

ერთ-ერთმა ცნობილმა ქირურგმა იან მაკნაბმა თქვა:

"აუცილებელია, იმდენივე იცოდეთ თვით ავადმყოფზე, რომელსაც წელის ტკივილი აქვს, რამდენიც საკუთრივ წელის ტკივილზე, რომელიც ავადმყოფს აქვს."

მართლაცდა, წელის ტკივილით გამოწვეული ინვალიდობები უფრო იშვიათია იმ ადამიანებში, ვინც თავს ბედნიერად ან წარმატებულად თვლის, აგრეთვე, იმ ადამიანებში, ვისაც თავისი საკუთარი საქმე აქვს (დღევანდელ დღეს ეს შეიძლება, კერძო ბიზნესი იყოს) და "წელის ტკივილისთვის არ სცალია", ან ვისთვისაც შრომა სასიცოცხლოდ აუცილებელია და წელის ტკივილი მისთვის "გაუმართლებელი ფუფუნება" იქნებოდა.

ზემოთ ვახსენე, რომ წელის ტკივილი ბევრად უფრო ხშირია კარგი სოციალური დაცვის სისტემის მქონე განვითარებულ, მდიდარ ქვეყნებში. ასეთ საზოგადოებებში ადამიანს ძალიან ხშირად აქვს მატერიალური სტიმული (პენსია, სხვადასხვა სოციალური შეღავათები) იმისა, რომ ინვალიდობაზე გადავიდეს და, შესაბამისად, ამგვარ საზოგადოებებში წელის ტკივილით გამოწვეულ ინვალიდობათა რიცხვიც უფრო მაღალია. ასეთივე მდგომარეობა იყო ძველად საბჭოთა კავშირში, როდესაც ხერხემლის პათოლოგიები ინვალიდობისა და ჯარიდან განთავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო. ნებისმიერ რენტგენოგრამაზე ან ტომოგრამაზე შეიძლება რამე პათოლოგიის პოვნა და თუ ავადმყოფს ჩივილები აქვს, ექიმი იძულებულია მის სიტყვას ენდოს (რადგანაც, სამწუხაროდ, "წყალგაუმტარი" ობიქტური მეთოდები ჭეშმარიტების დასადგენად პრაქტიკულად არ არსებობს). ამრიგად, სოციალური სტიმულების არსებობის პირობებში, ერთი მხრივ, მეტი ხალხი მისცემს თავს უფლებას, შეღავათების ხარჯზე თავი უფრო დიდხანს გაინებივროს და გამოჯანმრთელების პროცესი გაიხანგრძლივოს, მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი ადამიანი მოახერხებს სიმპტომების სიმძიმის სიმულაციით დაუმსახურებლად მიიღოს შეღავათები.

არის, აგრეთვე, კატეგორია ავადმყოფებისა, ვისშიაც ქრონიკული წელის ტკივილი ფსიქოლოგიური პრობლემებით არის დამძიმებული.

დეპრესია, წარუმატებელი პირადი ცხოვრება, ფინანსური და სოციალური პრობლემები, პასუხისმგებლობის თავიდან აცილება - აი, ის არასრული ჩამონათვალი, რომელიც ქრონიკულ წელის ტკივილს (და ზოგადად ქრონიკულ ტკივილს) აძლიერებს და, ამასთანავე, მის მკურნალობას აძნელებს. ასეთი ავადმყოფების უდიდეს ნაწილს ფსიქოლოგიურად "ურჩევნია", რომ ავად იყოს და ამით წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს.

არსებობს გარკვეული ფსიქოსოციალური სიმპტომები, რომლებიც ხშირად იმის მიმანიშნებელია, რომ გარკვეული ადამიანისათვის წელის ტკივილი შესაძლოა ქრონიკულ დაავადებად იქცეს და ადრე თუ გვიან ინვალიდობის მიზეზი გახდეს. ეს მოსალოდნელია იმ შემთხვევებში, როდესაც ავადმყოფს აქვს:

n დიდი იმედი იმისა, რომ "პასიური" მკურნალობა უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე "აქტიური" და მუდმივად ამგვარი "ჯადოსნური" სამკურნალო საშუალების ძიებაშია,

n დეპრესიის, სოციალური გარიყულობის ტენდენცია,

n სოციალური ან ფინანსური პრობლემები,

n დაბალი ფიზიკური აქტივობის ცხოვრების წესი,

n მყარი შეხედულება იმისა, რომ წელის ტკივილი ძალიან მძიმე და უკიდურესად დამაინვალიდებელი დაავადებაა.

დაბოლოს, ქრონიკული წელის ტკივილის რა მკურნალობის მეთოდებს გვთავაზობს თანამედროვე მედიცინა?

ეს მეთოდები სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. სამკურნალო ვარჯიშები, ხერხემალზე მანიპულაციები (დაჭიმვები, მასაჟი და ა.შ.). პირადად მე მხოლოდ სამკურნალო ვარჯიშებს გირჩევდით, როგორც ყველაზე უფრო კარგად დასაბუთებულ და შედეგიან საშუალებას.

2. დაზიანებულ სტრუქტურებში სხვადასხვა სახის ინექციების გაკეთება, დაზიანებული სტრუქტურებზე (ნერვი, დისკი) რადიოტალღებით ან სითბური ენერგიით ზემოქმედება (ყველა ეს პროცედურა აუცილებლად გამოცდილმა და მცოდნე სპეციალისტმა უნდა გააკეთოს რენტგენის აპარატის დახმარებით, ბრმად ამ პროცედურების გაკეთება შეუძლებელია).

3. ოპერაციული მკურნალობა. ეს ოპერაციები სხვადასხვაგვარია: დაზიანებული დისკის მოშორება, დაზიანებული დისკის ხელოვნურით ჩანაცვლება, მალების ერთმანეთთან უძრავად მიმაგრება და ა.შ

გახსოვდეთ, რომ ტკივილი თავისთავად არ არის გადაუდებელი ოპერაციის ჩვენება. მხოლოდ ზურგის ტვინზე ზეწოლისა და მზარდი ნევროლოგიური დეფიციტის არსებობა არის გადაუდებელი ოპერაციის ჩვენება (რაც უკვე თქვენმა ექიმმა უნდა განსაზღვროს).

არის კიდევ ერთი პათოლოგია - ე.წ. სპინალური სტენოზი - რომელიც ძირითადად ასაკოვან ადამიანებს ემართებათ. ამ დროს ხეხემლის არხი დავიწროებულია. ადამიანს ტკივილი უჩნდება მხოლოდ სიარულის დროს და ეს ტკივილი ფეხებში გადაეცემა, სიარულის დროს წინ გადახრა ტკივილს ამსუბუქებს, ხოლო 2-3 წუთით დაჯდომა და დასვენება საკმარისია, რომ ტკივილმა გაიაროს. ამ შემთხვევაშიც აუცილებლად მიმართეთ ექიმს, რათა მან ოპერაციული ჩარევის აუცილებლობა განსაზღვროს.

სხვა შემთხვევებში კი, მონაცემების მიხედვით, ოპერაციული მკურნალობა, არაოპერაციულთან შედარებით არცთუ მაინცდამაინც უფრო შედეგიანია. ხშირად ოპერაციას არავითარი შვება არ მოაქვს ავადმყოფისთვის და, ამდენად, ოპერაცია მკურნალობის უკიდურეს ზომად უნდა მიიჩნიოთ.

წელის ტკივილისთვისაც, ისევე, როგორც ჯანმრთელობისთვის ზოგადად (ამაზე წინა წერილებში იყო ლაპარაკი), ვარჯიში ყველაზე უფრო კარგი, აპრობირებული მკურნალობის მეთოდია. გარდა ზოგადგამაჯანსაღებელი ვარჯიშებისა (მაგ., სიარული, ცურვა; სირბილს არ გირჩევთ), წელის ტკივილისთვის კარგია წელისა და მუცლის კუნთების გასამაგრებელი ვარჯიშები. რამდენიმე ასეთ მარტივ ვარჯიშს გთავაზობთ ამ წერილის ბოლოს და ეს ვარჯიშები ყოველდღე უნდა გააკეთოთ.

გთავაზობთ, აგრეთვე, რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას უხერხული მოძრაობით გამოწვეული წელის ტკივილის თავიდან ასაცილებლად:

სიმძიმის იატაკიდან აწევისას არასოდეს არ მოიხაროთ წელში, არამედ მუხლებში მოიხარეთ და სიმძიმეს ისე დასწვდით.

სიმძიმე რაც შეიძლება ახლოს მიიტანეთ ტანთან და ისე აწიეთ.

მოერიდეთ წელით გვერდზე მკვეთრად მობრუნებას, მოტრიალებას (ამის ნაცვლად მთელი ტანით მობრუნდით).

ნუ შეეცდებით სხვის დაუხმარებლად ასწიოთ მძიმე საგნები.

თუ მძიმე ნივთი გაქვთ ასაწევი, წინასწარ დასახეთ მოქმედების გეგმა და ნუ იჩქარებთ (ძალიან ხშირად წელის ტკივილის გამომწვევი მიზეზი დაუფიქრებელი, მკვეთრი მოძრაობა ხდება).

ჭარბი წონა და თამბაქოს წევა წელის ტკივილის დადგენილი რისკფაქტორებია.

შეეცადეთ პოზიტიურად უყუროთ თქვენს საქმიანობას და ცხოვრებას. ეს წელის ტკივილისთვისაც კარგია.

წელისა და მუცლის კუნთების გასამაგრებელი ვარჯიშები:



დადექით კედელთან. ზურგით მიეყრდენით კედელს, ფეხები მხრების სიგანეზე. ზურგით ჩამოცურდით კედელზე ისე, რომ მუხლებით შექმნათ მართი (ანუ 90-გრადუსიანი) კუთხე. დაითვალეთ ხუთამდე და ისევ აცოცდით ზურგით კედელზე საწყის მდგომარეობამდე. ეს ვარჯიში გაიმეორეთ ხუთჯერ.



დაწექით მუცელზე. დაძაბეთ ერთი ფეხის კუნთები და ასწიეთ ეს ფეხი იატაკიდან. გააჩერეთ ფეხი ამ მდგომარეობაში და დაითვალეთ 10-მდე. დააბრუნეთ ეს ფეხი საწყის მდგომარეობაში. იგივე მოძრაობები გააკეთეთ მეორე ფეხით. ვარჯიში გაიმეორეთ 5-5-ჯერ თითო ფეხისათვის.



დაწექით ზურგზე, ხელებით სხეულის გასწვრივ. ჯერ ერთი ფეხი ასწიეთ იატაკიდან, გააჩერეთ 10-მდე თვლამდე და დააბრუნეთ საწყის მდგომარეობაში. შემდეგ იგივე მოძრაობები გააკეთეთ მეორე ფეხით. ვარჯიში გაიმეორეთ 5-5-ჯერ თითო ფეხისათვის. თუ ეს ვარჯიში თქვენთვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა, გაამარტივეთ: ფეხის აწევისას მეორე ფეხი მუხლში მოღუნული გქონდეთ და გასწორებული ტერფით დაეყრდენით იატაკს.



დაჯექით სწორად სკამზე, გასწორებული ფეხები იატაკის მიმართ კუთხით დაიჭირეთ. ასწიეთ წელის სიმაღლეზე ჯერ ერთი ფეხი და ნელა დააბრუნეთ საწყის მდგომარეობაში. იგივე მოძრაობები გაიმეორეთ მეორე ფეხით. ვარჯიში გაიმეორეთ 5-5-ჯერ თითო ფეხისათვის.



დაწექით ზურგზე, ფეხები მუხლებში მოხრილი, ტერფები იატაკზე. ნელა წამოსწიეთ თავი და მხრები იატაკიდან და ხელებით შეეხეთ მუხლებს. დაითვალეთ 10-მდე. ვარჯიში გაიმეორეთ 10-ჯერ.



ხელებით დაეყრდენით სკამის ზურგს. მუხლში გასწორებული ფეხი განზიდეთ უკან და შემდეგ ნელა დააბრუნეთ საწყის მდგომარეობაში. იგივე მოძრაობები გააკეთეთ მეორე ფეხით. ვარჯიში გაიმეორეთ 5-5-ჯერ თითო ფეხისათვის.



დაწექით ზურგზე მუხლში მოხრილი ფეხებით და იატაკზე დაყრდნობილი ტერფებით. მუხლები მიიტანეთ მკერდამდე. ხელები ამოიდეთ მუხლებს ქვეშ და ნელა მიიტანეთ მუხლები მკერდთან, რაც შეიძლება ახლოს. არ ასწიოთ თავი იატაკიდან. ფეხები იატაკზე დაშვებისას არ გაშალოთ მუხლებში. დასაწყისისათვის ვარჯიში გაიმეორეთ 5-ჯერ და გააკეთეთ იგი დღეში რამდენჯერმე.



დადექით ოდნავ განზე გადგმული ფეხებით. დაიწყვეთ ხელები წელზე, როგორც ეს სურათზეა. ფეხები მუხლებში არ მოხაროთ. გადაიზნიქეთ წელში რაც შეიძლება უკან და ამ პოზიციაში გაჩერდით ერთი ან ორი წამი.

მედიცინა მარტივი და გასაგები

იუბილე

# სახელოვანი მეცნიერი

*ვ.გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გერონტი ხარაიშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.*



გერონტი ხარაიშვილი დაიბადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ კავშირში. მან მეტად საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. ლაგოდეხის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1942-1946 წლებში მუშაობდა ამავე რაიონის რვაწლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1950 წელს წარჩინებით ამთავრებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტს ტყის მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაციით და ინიშნება რიწის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორად. 1954 წელს ამთავრებს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურას სამთო მელიორაციის განხრით. აქედან იწყება მისი საინტერესო და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. მან აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ხელმძღვანელობით 1955 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

გერონტი ხარაიშვილი 1954-1959 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ნიადაგის ეროზიისა და სელური ღვარების საწინააღმდეგო სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების დასადგენად. 1960 წლიდან იგი სამუშაოდ გადადის ვ.გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტში. ჯერ იყო უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. შემდეგ კი 1975 წლიდან - სატყეო მელიორაციის, ხოლო 1989 წლიდან ტყის აღდგენისა და სატყეო მელიორაციის ლაბორატორიის გამგეა.

გერონტი ხარაიშვილი როგორც მეცნიერი და მკვლევარი აღიზარდა იმ მდიდარ ტრადიციებზე, რაც საქართველოში დაამკვიდრა ქართველ მეტყევე მეცნიერთა სახელოვანმა პლეადამ აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ხელმძღვანელობით. იგი ხუთი ათეული წელია, დიდი წარმატებით, ღრმა ერუდიციითა და კეთილსინდისიერებით ემსახურება ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებასა და მათი წარმოებაში დანერგვის კეთილშობილურ საქმეს. მისი მეცნიერული კვლევების სფერო მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათისაა. სწავლობს როგორც ეროზიისა და მთის ღვარების საწინააღმდეგო სატყეო-სამელიორაციო მეთოდებსა და ხერხებს, ასევე მთის ტყეების თავდაცვით, წყალმარეგულირებელ და ნიადაგდაცვით ფუნქციებს. მის შრომებში მოცემულია ტყისა და გარემოს ურთიერთკავშირის ღრმა მეცნიერული ანალიზი. ამ მხრივ პირუთვნელად შეიძლება აღინიშნოს, რომ მის მიერ ჩამოყალიბებულია ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის საქმეში ტყის, როგორც ერთ-ერთი მძლავრი ბუნებრივი ფაქტორის როლის თეორიული საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ წყლისმიერ ეროზიასთან ბრძოლის მიზნით მან პირველად სრულყოფილად შეისწავლა სხვადასხვა კონსტრუქციის ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლების ჰიდროლოგიური და მელიორაციული როლი. დაადგინა, რომ მთის ფერდობებზე თხიერი ზედაპირული ჩამონადენის რეგულირების, ეროზიული პროცესების აღკვეთისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლები წარმოადგენს. მან დაადგინა ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლების ოპტიმალური კონსტრუქციები, შეარჩია გასაშენებელ მერქნიან სახეობათა ასორტიმენტი მთის ფერდობთა დაქანებისა და ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით და შეიმუშავა აღნიშნული ზოლების გაშენების წესები. მის მიერ საქართველოში პირველად იქნა შესწავლილი ერთნაირი სიხშირის სხვადასხვა ფორმაციის მთის ტყეების გავლენა თხიერ ზედაპირულ ჩამონადენსა და ეროზიულ პროცესებზე. გამოვლინდა მაღალი სიხშირის მთის ტყეების დადებითი წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო როლი, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროზიული პროცესების აღკვეთისა და მდინარეთა ტყის რეჟიმის სტაბილიზაციისათვის.

საყურადღებოა გერონტი ხარაიშვილის გამოკვლევების შედეგები სელური ხასიათის მდინარეთა აუზებში ღვარცოფების რეგულირებისათვის. მან შეისწავლა სუბალპური ტყისა და ალპურ მდელოთა ნიადაგების თავისებურებანი, გამოავლინა მათი როლი ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებაში და შეიმუშავა სუბალპური ტყეების და ალპურ მდელოთა დაცვა-აღდგენის მეცნიერულად დასაბუთებული ფიტო-მელიორაციული ღონისძიებები, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წყალსაცავების, სარწყავი არხებისა და ჰიდროელექტროსადგურების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

გერონტი ხარაიშვილის გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მდინარისპირა ტყეების დაცვითი როლის შესწავლას. საქართველოს მდინარეებისათვის დაადგინა მდინარისპირა ტყის ზოლების სიგანის ზღვრული პარამეტრები და დასახა მათი გაშენების პრინციპები. მან დაადგინა, აგრეთვე, მთის ტყეების დადებითი როლი მთის წყალსაცავების მოლამვისაგან დაცვის საქმეში და შეიმუშავა მათი დაცვის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.

გერონტი ხარაიშვილმა მრავალი კვლევა მიუძღვნა თბილისის მიდამოების ფერდობების გატყევების ხერხების მეცნიერული საფუძვლების შემიშავებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ტყის დეგრადაციისა და ტყის კულტურების გავლენა ნიადაგებზე. თეორიულ საკითხებთან ერთად მან გააანალიზა ჩატარებული სამთო-სატყეო-სამელიორაციო სამუშაოების ეფექტიანობა და დასახა თბილისის შემოგარენის ფერდობების ფიტომელიორაციის სწორი გზები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები სამხრეთ საქართველოში. მან წალკის რაიონის მაგალითზე აწარმოა სამხრეთ საქართველოს ნიაგად-ეროზიული გამოკვლევა და ეროზირებული ნიადაგების დამაგრების მიზნით დასახა კონკრეტული სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.

გერონტი ხარაიშვილმა საქართველოს კლიმატური რაიონების მიხედვით პირველად შეისწავლა მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. მრავალწლიანი დაკვირვებების საფუძველზე დაადგინა მინდორსაცავი ტყის ზოლების მელიორაციული გავლენით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ნამატის ნორმატივები.

აღსანიშნავია, რომ გ.ხარაიშვილმა სტაციონარული გამოკვლევებით დაასაბუთა, თუ რა გავლენას ახდენს ეროზიულ პროცესებზე მთის ფერდობთა დაქანების სიმკვეთრე, ფერდობის სიგრძე, ნალექების რაოდენობა, მისი ინტენსივობა და მცენარეული საფარი.

მან არა მარტო დეტალურად განიხილა წყლისმიერ ეროზიაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები, არამედ მოგვცა კავშირი ამ ფაქტორებს შორის და გამოავლინა მათი შეფარდებითი როლი მოცემული მოვლენის განვითარებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გერონტი ხარაიშვილმა საქართველოს მთის ტყეებისთვის დაადგინა მდგრადი კორომების ოპტიმალური სტრუქტურები ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთის ტყეების წყალდაცვითი ფუნქციების გაძლიერების, ეროზიული პროცესების აღკვეთისა და მდინარეთა წყლის რეჟიმის სტაბილიზაციისათვის.

პროფესორ გერონტი ხარაიშვილს გამოქვეყნებული აქვს 130 სამეცნიერო შრომა, მათ შორის ექვსი მონოგრაფია და ერთი ბროშურა, რითაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სატყეო მელიორაციის მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტისა და პოპულარიზაციის საქმეში. მან, 1980 წელს, ქალაქ ვოლგოგრადში საკავშირო აგროსატყეო მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - “ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების მეცნიერული საფუძვლები საქართველოში”, რისთვისაც მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გერონტი ხარაიშვილს 1964 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის სამეცნიერო წოდება “ტყეთმცოდნეობის” სპეციალობით, 1992 წელს - პროფესორის წოდება აგროსატყეო მელიორაციისა და დაცვითი ტყის გაშენების სპეციალობით, 1992 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1995 წელს - საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 2000 წელს - საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

გერონტი ხარაიშვილის შრომებს აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. მის მიერ შედგენილი რეკომენდაციები წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიასთან ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებებზე, შეტანილია საქართველოს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გენერალურ სქემებში და საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემებისათვის შემუშავებულ ყველა რეკომენდაციაში.

გარდა მეცნიერული კვლევებისა, გერონტი ხარაიშვილი ნაყოფიერ შრომას ეწევა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების მხრივ. იგი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. არის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი.

სახელოვანი მეცნიერი გერონტი ხარაიშვილი რვა ათეული წლის მიუხედავად ახლაც ახალგაზრდული შემართებით, ინტერესითა და ენთუზიაზმით უძღვება მრავალმხრივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

კვლავაც ჯანმრთელ სიცოცხლესა და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მას შემდგომ ნაყოფიერ შემოქმედებით შრომაში.

**გიორგი გიგაური, ვ.გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.**

## TV პროგრამა

4 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.20** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ძია ვანია" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა. **22.45** ჩემპიონთა ლიგა. **01.20** პატრული

### [პირველი არხი]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ბერლინზე შეტევის დასაწყისი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.55** საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩი. "ზესტაფონი" - "თბილისი". **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "უდაბნოს შვილები" **19.40** "შიდსი მეგობრობით არ გადადის" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ბერლინზე შეტევის დასაწყისი" **23.00** ახალი პროექტი - "აშტოობა დანოში" **23.30** კინოსამყარო "მაილოს დაბრუნება" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "მეამბოხე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" მე-2ს. **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება **23.10** კრიმ. სერიალი "სთშ" მე-3 ს. **00.00** მხ. ფილმი "საიდუმლო აგენტები" (გ)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის თავგადასავლები" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "წმინდა ელენეს კუნძული" **21.45** დოკ. ფილმი "დიზაინი" **22.10** კინოსეანსი "ინდოჩინეთის თოვლი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 17.10, 02.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 00.55** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი ":ანდარმი ნიუ+-იორკში" (გ) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.30** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "ზვიგენის სამფლობელო" (15) (დ. კოხსანი) **01.25** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.20** კომედია "პროფესიონალები" **13.00** მხ. ფილმი "წინააღმდეგი ხომ არა ხარ, დედას რომ ვაკოცო" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **14.50** ბოევიკი "ომი" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "ლაშქარი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** თრილერი "ექვსი" **23.00** დოკ. ფილმი "ბანკები" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** რომანტიული კომედია "სიყვარულის ისტორია" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **“ЗВЕЗДА ЭПОХИ”.** **10.30, 18.40** Сериал **"КЛОН".** **11.40** Дисней-клуб: “Лило и Стич”. **12.20** Кирилл Лавров в фильме **“ЖИВЫЕ И МЕРТВЫЕ”. 2**-я часть. **14.10** “Гении и злодеи”. Ольга Берггольц. **14.30** “Угадай мелодию” **15.20** Сериал **“НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ”. 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. “Крысоловы”. **19.50** Сериал **“НА БЕЗЫМЯННОЙ ВЫСОТЕ”. 21.00** Время. **22.40** Лубянка. “Операция “Березино”. **23.30** Ночное “Время”. **23.50** Крылья. “Воздушные амазонки”. **00.20** Теория невероятности. “Привидения”. **01.00** Тьерри Лермитт в комедийном боевике **“ТОТАЛЬНАЯ СЛЕЖКА”.** Для всех окружающих и даже для собственной жены Элен, Франсуа Вуазен - скромный государственный служащий министерства связи, уставший от бесперспективной работы. В действительности же он - секретный суперагент, выполняющий наисложнейшие задания правительства. Ему недосуг заметить, что Элен, заскучав от монотонной семейной жизни, завела знакомство с Симоном, продавцом подержанных машин, выдающим себя за суперагента. Случайно узнав об этом, Франсуа раздумывает не долго: Элен хочет пощекотать себе нервы - что ж, он знает как это устроить... **03.05** Рассел Кроу в фильме **“ГЛАДИАТОРЫ ЛЬДА”.** Маленький городок Мистери - одно из самых малодоступных и холодных мест в Штате Аляска. Здесь все все друг о друге знают. Но есть общая страсть - хоккей. Хоккейные матчи случаются каждую субботу на льду озера: команды меряются силами, а болельщики получают море удовольствия. Заметка об игроках из Мистери попадает в популярный спортивный журнал и игроки-любители получают предложение сыграть с профессиональной командой “Нью-Йорк Рэйнджерс”. Матч будет транслироваться по телевидению. Подготовка начинается полным ходом. **05.05** Сериал **“МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ”.**

### НТВ

**06.00** “Сегодня утром”. **09.05** Сериал **“СКОРАЯ ПОМОЩЬ”. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** Сегодня. **10.20** Особо опасен! **10.55** Сериал **“УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6”. 11.55** Сериал **“КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ...” 13.40** Худ. фильм **“БИТВА ЗА МОСКВУ”.** Фильм 1. **“АГРЕССИЯ”. 2**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу “Принцип домино”. **17.25** Сериал **“ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ХИМИЯ И ЖИЗНЬ”. 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **“КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ...”. 20.45** Сериал **“УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ОСНОВНАЯ ВЕРСИЯ”. 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **“ТАКСИСТКА-2”. 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Дольф Лундгрен в боевике **“СОЛДАТЫ ФОРТУНЫ”.** Бывшего морского пехотинца Николаса Гуннара находят двое дельцов и предлагают провернуть операцию на одном из островов Южнокитайского моря. Ник собирает старых боевых друзей и отправляется на остров. В их задачу входит заставить местное племя подписать соглашение на разработку недр острова. Но гостеприимные местные жители отказываются подписать бумагу - для них это подобно смерти. Они убеждают Ника и часть его друзей в том, что их ввели в заблуждение. На острове появляются вооруженные головорезы во главе с бывшим командиром Ника и одним из его бывших сослуживцев, неким Киффером, садистом и убийцей. Ник и его друзья вместе с местными жителями вступают в смертельную схватку с бандитами, защищая остров... **02.25** Бильярд. **03.00** Сериал **“ПРЕКРАСНАЯ НЕЗНАКОМКА”. 04.15** Сериал **“ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3”. 05.05** Сериал **“МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ”.**


სახელი ____ მისამართი ____
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ____
სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____ თარიღი____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

თქვენი ფოტოსურათი

## ICCROM-ის დელეგაცია მცხეთის ჯვარისა და ვარძიის ძეგლების მდგომარეობას შეისწავლის



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მოწვევით, თბილისში კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციის საერთაშორისო ცენტრის "იუნესკოს" საკონსულტაციო ორგანო - ICCROM-ის დელეგაცია ჩამოვიდა. დღეს ექსპერტები მინისტრის მოადგილესთან, ნიკოლოზ ვაჩეიშვილთან ერთად მცხეთის ჯვრის სანახავად გაემგზავრნენ; საღამოს სტუმრები მინისტრს, გიორგი გაბაშვილს შეხვდებიან.

ექსპერტები ქათველ სპეციალისტებთან ერთად, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების (მცხეთის ჯვრისა და ვარძიის) სადიაგნოსტიკო პროცედურების შესახებ კონსულტაციებს გამართავენ და დაგეგმავენ აღნიშნული ძეგლების სარეაბილიტაციო პროექტს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები განიხილავენ ხელნაწერთა კოლექციის დაცვისა და თბილისში რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრის დაფუძნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ხვალ დაგეგმილია ვარძიის კლდეში ნაკვეთი მონასტრის მონახულება. აღსანიშნავია, რომ "იუნოსკოში" კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტმენტს აღმოსავლეთ ევროპაში ერთადერთ მთავარ პარტნიორად მოიაზრებენ.

## ჰენრი კუპრაშვილს ორ ფილმს მიუძღვნიან

კინოსტუდია "მემატიანეში" ბუბა ხოტივარმა და ალექსანდრე პაპავამ დაიწყეს მუშაობა ფილმზე, რომელიც ცნობილ მოცურავეს ჰენრი კუპრაშვილს ეძღვნება. როგორც რეჟისორმა ალექსანდრე პაპავამ განაცხადა, ფილმში აისახება ჰენრი კუპრაშვილის მიერ ცურვის უძველესი ორიგინალური ქართული სახეობების აღორძინების, მსოფლიოში პოპულარიზაციისა და დამკვიდრებისათვის გაწეული საქმიანობა, მათ შორის, ქართული სამხედრო საწვრთნელი ყაიდით დარდანელის სრუტის 2002 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული უნიკალური გადაცურვა. ფილმში საუბარი იქნება აგრეთვე, 2005 წლის 17 ივლისისთვის დაგეგმილი ბოსფორის სრუტის გადაცურვაზეც. 26-წუთიანი ფილმი "დისქავერის" არხზე ჩვენებისათვის არის განკუთნილი.

მეორე ფილმს, რომელიც ასევე "ადამიან დელფინს" - ჰენრი კუპრაშვილს ეძღვნება, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გიორგი დოლიძე (უმცროსი) იღებს.

სულ უფრო იზრდება ქართული კულტურული მემკვიდრეობის - ცურვის უძველესი ორიგინალური სახეობის აღორძინებისაადმი ინტერესი. არ არის გამორიცხული, რომ მალე ქართული ცურვის საერთაშორისო ტექნიკის, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დამუშავებას და სახელმძღვანელოს გამოცემისთვის ფინანსები ფონდმა "ღია საზოგადოება - საქართველომ" გამოყოს. ***მედიანიუსი***

## ოდისეი დიმიტრიადი ოპერის თეატრის ეზოში დაკრძალეს

ცნობილი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ეზოში დაკრძალეს. "ოდისეი დიმიტრიადი ადამიანურობისა და დიდი ნიჭის სინთეზი იყო", - ასე შეაფასა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა დიდი მაესტროს პიროვნება. "...მის გარდაცვალებასთან ერთად დასრულდა ქართული კულტურის მთელი ეპოქა, რომლის შექმნაშიც თავად დირიჟორს უდიდესი წვლილი მიუძღოდა", - აცხადებენ მაესტროს კოლეგები.

ოდისეი დიმიტრიადი 28 აპრილს 97 წლის ასაკში თბილისში გარდაიცვალა.

ცნობილი დირიჟორი 1908 წელს ბათუმში დაიბადა. დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, ლენინგრადის ასპირანტურა. იყო თბილისის საოპერო თეატრის დირიჟორი, სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული აქვს თითქმის ყველა ქართული ოპერა. იყო რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი. ***მედიანიუსი***

## ჩექმებიან კატას ახალ ფილმში იღებენ

"შრეკის" მესამე სერია მიუზიკლთან ერთად გამოვა

როგორც ჩანს, "შრეკის" შემქმნელებს ამ ანიმაციური შედევრის სერიალად გადაქცევა აქვთ განზრახული. თითქმის დასრულებულია მუშაობა ფილმის მესამე სერიაზე და ჯერი მხოლოდ პერსონაჟების გახმოვანებაზეა.

როგორც ცნობილია, შრეკი, პრინცესა ფიონა, მოლაპარაკე ვირი და დანარჩენი გმირები ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობების ხმებით მეტყველებენ. "შრეკის" მესამე სერიაში მაიკ მაიერსს, კამერონ დიასს, ედი მერფისა და ანტონიო ბანდერასს მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკიც შეუერთდება. იგი პრინც არტის - მომავალ მეფე არტურს გაახმოვანებს. "შრეკი 3-ის" სიუჟეტის მიხედვით, მწვანე კაციჭამია, პრინცესა, ვირი და კატა პრინც არტის სამეფო წესებს ასწავლიან. შემდეგ კი მეფე არტურსა და მრგვალი მაგიდის რაინდებს შეებრძოლებიან.

ცნობილი მულტფილმის "ცხოვრებაში" სხვა სიახლეებიცაა. შრეკი ბროდვეის მიუზიკლის გმირობისთვის ემზადება. მიუზიკლის პრემიერა 2006 წლისთვისაა დაგეგმილი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მისი სამხატვრო ხელმძღვანელი "ამერიკული სილამაზის" რეჟისორი სემ მენდესია, ხოლო რეჟისორი ჯეისონ მურია. ამ უკანასკნელმა შარშან მიუსიკლისთვის Avenue Q პრემია "ტონი" მიიღო.

"შრეკის" ეკრანიზაციის ლიცენზია კინოკომპანია Dreamworks-ს ეკუთვნის. როგორც სემ მენდესმა განაცხადა, კომპანიის ხელმძღვანელობა (მათ შორისაა სტივენ სპილბერგი) მიუზიკლზე მუშაობაში არ ერევა და არც რეჟისორს ზღუდავენ. მთავარია, რომ ჯგუფი ვადაში ჩაეტიოს, რადგან მიუზიკლის პრემიერა ფილმის მესამე სერიის ეკრანებზე გამოსვლამდე რამდენიმე კვირით ადრე უნდა შედგეს.




"შრეკი 2-ის" გმირი - კატა ახალი პროექტისთვის ემზადება. კომპანია Dreamworks-მა მის შესახებ ცალკე ფილმის გადაღება გადაწყვიტა. მას "ჩექმებიანი კატა" ერქმევა, თუმცა ჯერ არ არის ცნობილი, რამდენად იქნება მიახლოვებული ცნობილი ზღაპრის სიუჟეტთან. თუმცა უკლვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კატას ამჯერადაც ანტონიო ბანდერასი გაახმოვანებს. ბანდერასის თქმით, ანიმაციურ პერსონაჟებს შვილების ხათრით ახმოვანებს. თუმცა იმას კი არ ამბობს, რომ თითო ფილმში 5 მილიონ დოლარს უხდიან.

## შტატებში 11 სექტემბრის ტერაქტზე ფილმს იღებენ

ნათია ლურსმანაშვილი



ამერიკული ტელეკომპანია ABC 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტზე ტელესერიალის გადაღებას იწყებს.

მომავალი მინი საპნის ოპერის სცენარი გასაიდუმლოებულია. ტელეპროექტი ამერიკაში ტერორიზმის თანამედროვე ისტორიას ასახავს 1993წლის მსოფლიო სავაჭრო სახლის დაბომბვიდან 2001 წელს ნიუორკსა და ვაშინგტონში მომხდარ მოვლენებამდე.

ტელესერიალის მთავარი გმირი 50 წლის ჯონ ო`ნილი იქნება - გამოძიების ფედერალური ბიუროს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ყოფილი ხელმძღვანელი. ტერაქტამდე რამდენიმე დღით მან ადრე სმსახური დატოვა და 2001 წლის 10 სექტემბერს პირველად გავიდა ახალ სამსახურში - მსოფლიო სავაჭრო სახლის დაცვის უფროსის თანამდებობაზე. 11 სექტემბერს კი ტერაქტის დროს დაიღუპა.

ტელესერიალს ტრადიციული ჰოლივუდური სცენარით გადაიღებენ - "მთავრობას რომ ერთი ადამიანისთვის დაეჯერებინა". გამოძიების ფედერალური ბიუროს სუპერაგენტი, მომავალი საფრთხის შესახებ ერთადერთი ინფორმირებული ადამიანი ხელისუფლებისთვის ცნობის გადაცე-

საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი:
95 30 81
96 71 78

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**წინა საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**













წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.